ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, მარტი, 2010 წ. ფასი 3 ლარი

№3 (5)

ქართველ მეფეთა მიმოწერა რუსეთის სამეფო კართან 6

სოლომონ ლიონიძის სიტყვა თქმული ერეკლე მეორეს დაკრძალვაზე 10

კირილონ მეორე ივერიის კულტურულ როლზე რუსეთის ისტორიაში 16

22 რა საიდუმლოს მალავს თბილისის მე-9 საავადმყოფო

ქართველი, რომელიც გვარდიული არმიის სარდალი გახდა 24

30 გიორგი ნაჭყებიას მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე, მოხუც პატრიოტებსა და 1945 წლის 9 მაისზე

სტალინი — ღვთის მოშიში თუ ღვთის მგმობელი? 34

გაერთიანებული საქართველოს პირველი დიდი მეფე ბაგრატ III 4

გ.გეგეჭკორის ნახატი

აკურა, IV-V საუკუნეები,
ბოლნისის რაიონი

გ.ძოძიაშვილის ფოტო

სარჩევი

დიდი მეფეები
გაერთიანებული საქართველოს პირველი დიდი მეფე ბაგრატ III 4

დიპლომატიის ისტორიიდან
ქართველ მეფეთა მიმოწერა 6

ვაჰ, დრონი, დრონი
სოლომონ ლიონიძე: სიტყვა თქმული ერეკლე მეორეს დაკრძალვაზე 10

ერისკაცი
ვახტანგ ორბელიანი 14

ერთმორწმუნეობის შესახებ
კირიონ II: „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ 16

გოლგოთა
სქიმარქიეპისკოპოსი დიმიტრი — დავით აბაშიძე 19

ძველი თბილისის ისტორიიდან
რა საიდუმლოს მალავს თბილისის მე-9 საავადმყოფო 22

ჩვენი ისტორია
საბჭოთა კავშირის გმირი — ქართველი, რომელიც გვარდიული არმიის სარდალი გახდა 24

მემუარები
გიორგი ნაჭყებიას მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე, მოხუც პატრიოტებსა და 1945 წლის 9 მაისზე 30

მართალი ისტორია გვჭირდება
სტალინი — ღვთის მოშიში თუ ღვთის მგმობელი?.. 34

ისტორიის გაკვეთილები
ქართული კალაპოტი 39

კლასიკოსი
გრიგოლ რობაქიძე: ტოლსტოის დღეები 41

სცენის დიდოსტატი
ვახტანგ ჭაბუკიანი 44

უცხო თვალით
გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში 48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
მთავარი რედაქტორი თემურ ქორიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97

გაერთიანებული საქართველოს პირველი დიდი მეფე ბაგრატ III (975–1014)

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ დასავლეთ საქართველო და შიდა ქართლი. კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სახით არსებობდნენ. თბილისი და ქვემო ქართლის ნაწილი კი თბილისის მაჰმადიან ამირას ემორჩილებოდა. დმანისი, ლორე, ტაშირი, სამშვილდე, ბოლნისი, კვირიკე სომეხთა მეფეებს ეკავათ.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელთა ხელში იყო. მის ერთ ნაწილს (სამხრეთ ჯავახეთი, შავშეთ-კლარჯეთი, ამიერტაო და სხვა) ჯერ ბაგრატ III-ეს პაპა ქართველთა მეფე ბაგრატ მეორე (რეგვენი) ფლობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (994 წ.) მისი ძე (ბაგრატ III მამა) გურგენ მეფეთ-მეფე.

სამხრეთ საქართველოს მეორე ნაწილს ბაგრატიონთა შორის ყველაზე ძლიერი და სახელმოხვეჭილი ტაოს მეფე დავით III კურაპალატი (961-1001 წ.) განაგებდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს გაერთიანების საქმეს სათავეში ჩაუდგა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე. ამ პერიოდში აფხაზთა სამეფოს მეფე იყო უსინათლო თეოდოსი; ის მეტად სუსტ მმართველად ითვლებოდა.

იოანე მარუშიძემ კარგად იცოდა, თუ რამდენად მძიმე იქნებოდა ქვეყნისათვის უსინათლო კაცის მეფობა, რომელსაც შვილიც არ ჰყავდა.

ქვეყნის გაერთიანების საქმე დაყოვნებას ვეღარ ითმენდა და ამიტომ მან „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა. აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე“ („მატიანე ქართლისა“). ამ პერიოდში ქართლის საერისთავო უსინათლო თეოდოსის სამეფოში შედიოდა.

გარდა ამისა, რადგან დავით კურაპალატს, შვილი არ ჰყავდა, მას თავისი ახლო ნათესავი — „ბაგრატ გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად“. ესე იგი, გამოდიოდა, რომ ბაგრატი არა მხოლოდ „ქართველთა მეფეთა“ შთამომავალი იყო, არამედ — ტაოსიც (დავით კურაპალატის ხაზით). ამასთან ერთად, ბაგრატი აფხაზთა მეფის, უშვილო და უსინათლო თეოდოსის დისშვილიც იყო და, თუ მის ადგილს ბაგრატი დაიჭერდა, იგი მთელი საქართველოს მეფე ხდებოდა (კახეთისა და ჰერეთის ერთი ნაწილის გარდა).

სწორედ ამიტომ იყო, რომ იოანე მარუშისძე ასე დაბეჯითებით „ეძებდა მეფედ ბაგრატს“.

დავით III კურაპალატი დათანხმდა იოანე მარუშისძის წინადადებას და ჯარით ქართლისაკენ გაეშურა. ქვახვრელთან მას მიეგება იოანე მარუშისძე და უფლისციხე გადასცა, დავითმა კი უფლისციხე ბაგრატს ჩააბარა. ბაგრატი ამ დროს მცირეწლოვანი იყო და ამიტომ მას თანაგამგებლად მამამისი — გურგენი დაუნიშნეს.

დავით კურაპალატმა ქართლიდან წასვლის წინ შეკრიბა ადგილობრივი დიდებულნი და უბრძანა: **„ესე (ბაგრატ) არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“** („მატიანე ქართლისაი“).

მაგრამ მალე ქართლის მოღალატე აზნაურებმა კახეთიდან ლაშქარი გადმოიყვანეს და ბაგრატ III დაატყვევეს. ამ ამბის შეტყობისთანავე დავით კურაპალატი კვლავ გადმოვიდა ქართლში და უმალ აღადგინა წესრიგი.

მალე აფხაზეთში უსინათლო თეოდოსის უძლურების გამო აირია ქვეყანა, ხალხი ფრიად შეწუხდა, აზნაურნიც კი გადაუდგნენ მეფეს. ამით შეწუხებულმა იოანე მარუშისძემ „ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა და ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“. 978 წელს ბაგრატი აფხაზეთს ჩაიყვანეს და მეფედ აკურთხეს.

მაგრამ ახლადგამეფებული ბაგრატი მაშინვე არ შესდგომია ქვეყნის მოწესრიგებას, ჯერ საქმის მდგომარეობისა და ცხოვრების ვითარების შესწავლა დაუწყია.

980 წელს ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა თეოდოსი ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და თვითონ ქართლისა და აფხაზეთის ერთადერთი მმართველი გახდა.

ახალგაზრდა ბაგრატი მალე წესრიგის დამყარებას შეუდგა.

განსაკუთრებით საჩქარო იყო ქართლის აზნაურთა ალაგმვა. ქართლს ამ მომენტში ფორმალურად ბაგრატის დედა — გურანდუხტ დედოფალი განაგებდა, მაგრამ რეალურად ქართლის მიწა-წყალი დი-

დაზნაურებს ჰქონდათ დანაწილებული. დიდებულთა ამ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა ქავთარ ტბელი, რომელიც ვერ ურიგდებოდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას.

980 წელს ბაგრატ III აფხაზეთიდან ქართლში გადმოვიდა და თიღვას დადგა. მალე მოღრისთან მან დაამარცხა ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით. ბაგრატმა დედისაგან ჩაიბარა უფლისციხე, განამტკიცა ხელისუფლება შიდა ქართლში. მან ქართლში თავისი ერთგული მოხელეები დანიშნა და კვლავ აფხაზეთს გადავიდა. სულ მალე ბაგრატმა აფხაზეთშიც მოარჯულა ურჩი ფეოდალები და მათ ადგილას „დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“.

989 წელსვე ზამთარში, ბაგრატ III მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ერისთავ რატის და ადვილად დაიმორჩილა. რატიმ მეფეს ციხე კლდეკარნი მისცა და თვითონ „დაჯდა მამულსა თვისსა არგვეთს“. კლდეკარის საერისთავო ბაგრატ III-მ თავის ერთგულ მოხელეს ზვიად მარუშიანს გადასცა სამმართველოდ.

994 წელს გარდაიცვალა ბაგრატ II რეგვენი (ბაგრატ III-ს პაპა). მისი შვილი გურგენი მეფეთა მეფედ იწოდა, რადგან მეფის ტიტული უფრო ადრე მის შვილს ბაგრატ III-ს ჰქონდა მიღებული.

1001 წელს გარდაიცვალა ტაოს მფლობელი დავით კურაპალატიც, რომლის მემკვიდრე, წესით, ბაგრატ III უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ მოხდა დასანანი ამბავი, რომლის ძალითაც ტაო დაიკარგა.

979 წელს დავით კურაპალატი მიეხმარა ბიზანტიის მცირეწლოვან კეისარ ბასილი მეორეს, რომელსაც თავისი სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. დავითმა ბიზანტიას გაუგზავნა 12-ათასიანი ჯარი თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის სარდლობით. ამ ჯარმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და ტახტი შეუნარჩუნა ბასილი მეორეს. მადლიერების ნიშნად ბასილი II-მ დავით კურაპალატს ბასიანს გადაღმა ქვეყნები აჩუქა და დიდი პატივით ეპყრობოდა.

მაგრამ 987 წელს დავით კურაპალატი ბასილი II-ს წინააღმდეგ აჯანყებულ სარდალს — ბარდა ფოკას მიემხრო.

989 წელს აბიდოსთან ბარდა ფოკა მოკლეს. მემატიანე იაჰია ანტიოქიელის ცნობით, ბასილი მეორემ დავით კურაპალატის დასჯა გადაწყვიტა და 990 წელს ტაოში შემოვიდა. დავითმა მორჩილება გამოაცხადა და იძულებული გახდა, დაედო პირობა, რომლის ძალით, გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი სამფლობელო ბიზანტიას გადაცემოდა(!).

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ III (ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲤᲠᲔᲡᲙᲐ)

ამრიგად, როცა დავითი III კურაპალატი 1001 წელს გარდაიცვალა, ბასილი II შემოვიდა ტაოში და „დაიპყრო მამული დავით კურაპალატისა“. ბასილი მეორესთან გამოცხადნენ ბაგრატ III და მამამისი გურგენი იმ იმედით, რომ ბასილი მათ ამ სამფლობელოს გადასცემდა. მაგრამ კეისარმა ტაო თვითონ დაიტოვა, ხოლო მამა-შვილს მხოლოდ კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულები უწყალობა. ამრიგად, დავითის შეცდომისა და დაუკვირვებლობის წყალობით, მთელი მისი მემკვიდრეობა ბიზანტიას დარჩა, რის გამოც დიდი ომი ატყდა ბიზანტია-საქართველოს შორის გიორგი I დროს.

1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფეთ-მეფე და ბაგრატ III-მ მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხეჯავახეთი და ბაგრატ III იწოდებოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

1008 წელსვე ბაგრატ III-მ კახეთის ქორეპისკოპოს დავითს მოსთხოვა ადრე წართმეული ციხეების — წირქუალისა და გრუას დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო. ბაგრატმა მალე კახეთიც დაიპყრო, დაიკავა ჰერეთიც და იქ თავისი მოხელე დატოვა.

1010 წელს ბაგრატმა ქვეყნისათვის აუცილებელი ნაბიჯი გადადგა. მან „მოიყვანნა კლარჯი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისა, თავისი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა ფანასკერტელისასა“ და სადარბაზოდ მიწვეულნი შეიპყრო, ციხეში ჩაყარა (სადაც დაიღუპნენ კიდეც), მათი ქვეყანა კი თვითონ შემოიმტკიცა.

1010-1014 წლებში ბაგრატმა დალაშქრა განძის ამირა ფადლონი. 1013 წელს მან დაიმორჩილა კავკასიონს გადაღმა ქვეყნები „ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე“ (კასპიის ზღვამდე).

1014 წლის 7 მაისს, პარასკევს, ფანასკერტის ციხეში ბაგრატ III გარდაიცვალა. ზვიად ერისთავთ-ერისთავმა მეფე ბაგრატის გვამი წამოასვენა და ბედიას დამარხა.

ბაგრატ მესამე დიდ აღმშენებლობას ეწეოდა. იგი დაუცხრომლად აგებდა ეკლესია-მონასტრებს, ციხეებსა და სხვა კულტურულ ძეგლებს. 996 წელს აიგო მარტვილის ტაძარი, 1002 წელს — ხცისის ეკლესია, 1003 წელს კი დამთავრდა ბაგრატის ტაძრის ძირითადი მშენებლობა. 1010-1014 წლებში აიგო ნიკორწმინდის უნატიფესი ტაძარი. 1010 წელს ბაგრატმა სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა განიზრახა და ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ 1029 წელს განასრულა იგი.

ბაგრატის მეფობის პერიოდში აშენდა ატენის, ბედიის, წვიმოეთის, ვერიის ეკლესია-მონასტრები.

„მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს: „ესე ბაგრატ აფხაზთა მეფე წარემართა ყოველთავე ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისად მოაჯედ და შემპოვნედ შეიქმნეს ყოველნი მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი და მოლაშქრედ, ვითარცა თვითნი დიდებულნი და მისანდომელნი, დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყნისა“. მატიანეები მას ვახტანგ გორგასალს ადარებენ: „ვსთქუ ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა ყოველითა განგებითა“.

ბაგრატ მესამემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას, იგი იყო გაერთიანებული ქვეყნის პირველი დიდი მეფე.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მიხედვით მოამზადა
ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქართველ მეფეთა მიმოწერა

ვაგრძელებთ ქართველ მეფეთა წერილების პუბლიკაციას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორეს და გიორგი XII-ეს, აგრეთვე იმერეთის მეფის — სოლომონისა და დავითის მიერ რუსეთის სამეფო კარისთვის გაგზავნილ ოფიციალურ მიმოწერას. ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან კარგად ჩანს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის ქართულ-რუსულ დიპლომატიურ და სამხედრო თანამშრომლობას.

ორ სამეფოს შორის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობის საფუძველზე მეფე ერეკლე გულწრფელ და შეულამაზებელ აწვდიდა ინფორმაციებს ეკატერინე მეორეს, სადაც დეტალურად იყო მოთხრობილი აღა მაჰმად-ხანის მოსალოდნელი აგრესიის შესახებ. მეტიც: ქართველი ხელმწიფე იმპერატორს აუწყებდა, თუ რა სავალალო შედეგებით შეიძლებოდა დასრულებულიყო საქართველოსთვის ირანთან სამხედრო კონფრონტაცია. აქვე გავეცნობით რუსული სამეფო კარის მიერ გამომჟღავნებულ სათანადო რეაქციის ამსახველ მასალასაც, საიდანაც კარგად ჩანს, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთისა და მეორე მხრივ — რუსეთის ხელისუფალნი ზედმიწევნით აცნობიერებდნენ მეზობელ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას.

წარმოდგენილ პუბლიკაციებში მკაფიოდ იგრძნობა ეპოქის მძაფრი სულისკვეთება და ორი ერთმორწმუნე ხალხის სწრაფვა ერთობისაკენ. ამ ფაქტორმა უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა ამ ქვეყნების მომავალ ურთიერთობებშიც.

(წინამდებარე წერილები წარმოადგენს ორიგინალური ქართული დოკუმენტების რუსულენოვან თარგმანს და მოძიებულია რუსეთის ფედერაციის არქივებში).

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ СОЛОМОНА ИМП. ЕКАТЕРИНЕ II.

(15 Августа 1782 г.)

Вашему до небес вознесенному и.в. с благоговением и подобострастием моим осмеливаюсь всенижайше донесть в.в. раб Соломон, царь всея Имеретии, что Турки вознамерились вновь подвергнуть под свое его православной наш народ, божественным вашим милосердием избавленный от варварских рук, за что и обязаны мы вечно приносить нашу всенижайшую благодарностью.

От Султана прислан в крепость Поти Капчи-баши, которой начал строить новыя крепости на границах нашего владения, в Анаклии и около того места, а по окончании оных вся цель турецкая клонится к тому, дабы завладеть и всею нашею областью и тем совершить беззаконное желание неверных магометан. Мы, имеем достоверное известие о таковых их намерениях от тех самых, коим они препоручены ко исполнению. И по таковым нужным нашим обстоятельствам, в.и.в., осмеливаюсь всенижайше молить о защищении нас, избавленных милосердием вашим от рук магометан, дабы они православных нас християн не подвергнули опять под свое порабощение.

Всем. монархиня, всевысочайшему в.и.в. повелению должны и обязаны мы вечно оказывать нашу всенижайшую покорность и верность, и потому находимся мы в готовности пролить кровь нашу.

Прим. Грузинский оригинал того представления не имеется в Деле. Переводчик его кн. Моуравов в записи говорит, что оригинал остался у вице-канцлера и в Коллегию не возвращен. Ред.

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ ИРАКЛИЯ ИМП. ДВОРУ.

(21 Декабря 1782 г.)

Всенижайше осмеливаемся мы просить, дабы всем. е. в покровительством защищены были мы и области наши, чтоб турецкой Султан и персидской государь (Шах не признавали нас за своих неприятелей тогда, когда с е. в. монархинею будут они находиться в своюзе. А когда обявится война против их, то тогда, как е. в. мы рабы, должны помощию е. в. оказывать наши услуги. По повелению всем. государыни всероссийской, что будет принадлежать со стороны нашей, то я с детьми моими и областями и со всею моею силою и возможностью оказывать услуги нахожусь в готовности, не щадя притом ни себя, ни детей, ни областей моих.

Картли издревле принадлежала предкам моим, а потом и Надыр-Шах пожаловал оную отцу моему; в то время была она неприятелями разорена и опустошена, но отец мой и я прилагали старание наше с крайним попечением о приведении ее в лутчее состояние. Неоднократно побеждали мы Персидския и Дагестанския великия войска, кои желали раззорить Картли, также и Турецких войск до раззорения не допускали и над ними одерживали верх, и по таким обстоятельствам, Божией помошию и счастием е. и. в., и попечением нашим привели Картли в лучшее состояние и присовокупили еще к нашим областям принадлежащия Персидским государям места реван и Ганжа. В прошедших годах сын Бакара (царевич)

Александр прибыл в Имеретию и старался привесть наши области в замешательство. Я принужден был потому присовокупить еще к себе дагестанския и других мест войска, на которых тоже принужден был издержать много. И по таким обстоятельствам тот Александр, сын Бакара, не возмогши ничего предпринять, оправился в Дагестан просить начальников бакинских и Фет-Али-Хана, при которых он и ныне находится. В таком случае всем. мою государыню прошу я оказать мне милость такую, дабы дети мои и потомки не лишены были с древних времен принадлежащих нам наших областей, защищенных толикими нашими трудами и попечениями, и чтоб е.в. соизволила указом утвердить и признать всех нас и наших потомков за верных Российской монархини рабов, дабы когда другой, такой же сумашедший как сын Бакара Александр, оказавшись, не привел в смятение народ по невежеству. С теми народами, с которыми всем. государыня имеет мир, то и мы будем признавать их без сомнения за своих приятелей. А когда от е.в. государыни повелено будет делать диверсию турецкому Султану и е.и.в. войски соединятся с нами, тобудем находиться в готовности ко оказанию таких наших услуг, сколько мы и области наши в состоянии. И потому просим милости, дабы лишены мы не были областями Ахалцихскою и Карскою, кои прежде принадлежали к нашему отечеству.

Ежели когда по повелению е.в. всем. государыни воспоследует война против Персиян, то ко услугам е.в. находимся мы в готовности со всею нашею силою и возможностью, и себя не пощадим, и потому просим милости, дабы помощию е.в. оружия могли мы вновь завоевать те наши места, которыми ныне владеют лезгинцы. Ежели в нынешное время со стороны наших областей не воспоследует война, то пожаловать зделать милость прислать к нам два полка регулярных с их денежным жалованием, а правиантом имеем мы снабдевать их, ибо содержим мы ныне при себе дагестанския войска, на которых принуждены употреблять много денег, и потому об определении из России тем двум полкам. жалованья - просим и осмеливаемся мы утруждать.

Грузинскаго подлинника не имеется в Деле. Ред.

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ СОЛОМОНА ИМПЕРАТРИЦЕ ЕКАТЕРИНЕ II. (1782 г.)

Вам. матери всех православных восточных християн и областей, осмеливаюсь я, Абхаз - Имеретинской царь Соломон с коленопреклонением принесть всенижайшее мое почтение. В. в. соизволили упомянуть о преждем нашем представлении и всем. в.в. указом соизволили удостоисть меня орденом (св. Андрея и сильным вашим покровительством, чего я с давных времен усердно желал. Всеавгустейшая монархиня, в.в., в таковыя ваши материнския щедроты, кои возсияли над нами и коими воскресли совершенно упование и состояние наше, осмеливаюсь с земным поклоном принесть мою благодарность. Я должен вечно молитьь Всевышшаго, дабы вашим счастием и помощию, пожалованной мне, орден заслужить пролитием крови неприятелей ваших и положить жизнь свою со всею моею областью там, где от в.в. повелено будет. Пред сим не однократно вознамеривать Турки напасть на нас, но, Божиею помощию и счастием вашим, истребил я их и разсыпал. Всем. монархиня, по повелению вашему должны мы оказывать во всем наше послушение в.в. генерал-аншефу князю Потемкину, коему препоручены дела наших областей.

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ ИРАКЛИЯ ИМП. ЕКАТЕРИНЕ II. (28 Июня 1783 г.)

Воспоследовавшая из всемилостивейшаго призрения в-го и. в-а высочайшая и премудрая Конфирмация, которою возсияла над нами небесная благостыня, объявлена нам, за что в настоящем веке благоденствия моего, преемников моих и владения моего приношу в-у и. в-у всеми моими душевными мыслями чистосердечную всенижайщую мою благодарность. Именем в-го в-а предложенное мне от его светлости генерала князя Потемкина исповедую все к исполнению, и потому имею я владение мое под верховную власть вашего Императорскаго величества и всех в-го в-а высоко монаршего престола высоких наследников, с таким притом моим обещанием, как и пред сим с утверждением клятвою о верности моей доносил в-у в-у, дабы я, наследники, преемники и владении мои пребывали непорочными и верными рабами в-го в-а. По сему осмеливаюсь препоручить порфире в-го и. в-а себя, наследников моих и род мой. При сем дерзаю еще всенижайще просить, да-бы наследники и преемники мои, какой бы счастливой успех ни имел я и как бы ни распространил владение мое, навсегда находились под покровительство в-го в-а.

Тифлис

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ИМЕРЕТИНСКАГО ЦАРЯ ДАВИДА ИМП. ЕКАТЕРИНЕ II.

(Апрель, 1784 г.)

Душевным желанием, нелицемерным упованием и с достодолжным благоговением приношу всенижайшее мое почтение вашему неудобоизьясняемому величеством престолу; припадая ко всем. имп. стопам, и препоручая себя, подношу чувствительнейшую молитву мою о возстановлении и о избавлении нас. Всевыс. государыня, настоит время и час ко изъявлению монаршего вашего милосердия для вторичнаго избавления нашего и утешения. Область наша освобождена милостию вашею многое уже тому время от неверных Турок; мы имеем упование на в.в. и прославляем неудобоизьясняемую вашу щедроту, помилуйте Имеретию. Ваш вернейший раб, покойной наш царь Соломон, кончил жизнь свою. Злые неприятели наши Турки, узнав об оном, окружили войсками своими границы наши. Пишут к нам ежедневно, стращают нас раззорением и истреблением, и стараются завоевать нас,что из самых от них писанных писем, печатей и от самого Султана присланнаго фирмана вашему в-у донесено быть имеет. Хотя мы находимся в готовности пролить кровь нашу за православную христианскую веру, не подвергать себя по всей нашей возможности рабству их и не покоряться их поносной власти, да невозможно уже нам быть их подданными, от чего Боже сохрани, по однакож умножили они войска свои, и так приближаются к нам, что всегда ожидаем стражения.

Представляя при сем господина архипыстыря нашего Максима, святейшаго Католикоса Имеретинскаго и Апхазскаго, а при нем нашего первейшаго Сардала, гофмаршала и зятя моего, князя Зураба Церетели и Мдиван-бега князя Давида, коим препоручена от нас, от мала до велика, общим согласием, доверенность во всех наших прошениях, имеют подробно изьяснить нужды е. св. фелдмаршалу и знаменитейшему князю Гр. Ал. Потемкину. Как покойном брату моему, царю Соломону, повелено было, так и мне всенижайше волю в.в. о изьявлении нам той же милости, дабы находились и мы под его рукою, чтоб он учреждал нужныя дела наши по доношениям нашим. Я имею к нему преданность и покорность по всей моей возможности, Полагаю на него надежду мою и при сем усердии мои прошении представлены будут обстоятельно е. св-ти, а общим нашим согласием утверждении нашими руками и печатьми обещании вам. всемилостивейшей Государыне, всенижайше поднесены имеют быть.

Прим. При сем приложена чернильная печать Имеретинскаго царя Давида.

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ИМЕРЕТИНСКАГО ЦАРЯ ДАВИДА И ЕГО САНОВНИКОВ ИМП. ЕКАТЕРИНЕ II

(Апрель, 1784 г.)

Неизщетными уничижениями и прегрешениями нашими порабощенные и доведенные до крайнейшаго проступка все Имеретийския обыватели, то есть святейший Каталикос, преосвященные митрополиты, епископы и весь церковной причь, также купно со оными верховные воеводы, военачальники, князья, дворяне и светское воинство общим согласием дерзаем принесть наиглубочайший поклбон всевыс. престолу и горькими слезами доносим о нуждах наших: сильнаго нашего попечителя и избавителя государя, царя Соломона, лишила нас немилосердая смерть; оставшись же мы после его в сиротстве, оплакивая его подолгу, молим все с воздыжанием - да будет благословено вечно имя его от Господа!

Преданные мы благочестивейшей и милосерднейшей власти вашей, по духовной покойнаго царя, избрали себе царем и патроном Имеретийскаго Багратиона, из старших царских сыновей, царевича Давида, сына царевича Георгия, утвердили ему царской его дом и целое отечество. Мы, по завету покойнаго царя, обще с царем нашим исповедуем чистосердечно и признаем на вечныя времена вашу власть, и пребываем верными подданными. Для оказания нам себя верными подданными так, как прилично природным Российской Империи подданным, предаем себя и повергаем, как и нынешн-

ий царь наш с наследниками своими, так и мы все духовныи и светский всевыс. вашей державе и престолу, и всех всевыс. наследников и преемников всероссийских; кроме всевысоч. вашей власти и покровительства не желаем мы других владетелей и держав, что все утверждаем самим делом сими нашими словами. Всем. государыня, молим всем. вашим указом утвердить нашим царем и патроном помянутаго светлейшаго царя, просветить его царское достоинство и пожаловать ему такия царския знаки, какими удостоен царь Карталинский и Кахетинский. Наш царь полагает всю свою надежду на всевыс. вашу милость и щедроту; он находится в готовности пролить кровь свою в службу под властью вашею. Он верноподданный всех Российских монархов и исповедует верность в.в., а для отечества своего имеет по всей своей возможности старание и попечение. Всевыс. монархиня, избавленное непобедимым оружием вашим отечество наше окружено ныне неприятелями, кои угрожают оное раззорением церквей, Презлейшии Татары-турки, образовавшись чрез меру коничиною покойнаго нашего царя Соломона, прислали войска свои на наши границы и намерены, как и сперва, раззорять нас тиранским образом. Всем. государыня, избавте попечением в.в. святыя церкви, монастыри, священнической народ и христолюбивое воинство, кои приносят с земным поклоном и воздыханием мольбу всевыс. престолу. Великая монархиня, призри милосердым оком, приими моление светлейшаго нашего царя, тне оставте стадо христово хищным волкам на разтерзание и изьявите монаршую вашу милость всему нашему народу. Для приобретения нам таковаго монаршего милосердия по прошениям нашим, избрали мы и представили в.в., благочестивейшей Императрице, архипастыря нашего, Апхаз-Имеретинскаго Католикоса Максима, коему препоручена нами доверенность благоденствия нашего и жизни, да при нем находящегося вернаго царю и отечеству нашему Сардала и гофмаршала князя Зураба Церетели и кн. Мдивань-бега Давыда, которой оказывал всегда нашим царям усердыя и верныя услуги. В утверждение сего, как сам светлейший царь руку свою и царскую печать приложил, так и мы подписали. утверждаем и исповедуем на вечныя времена подданство и верность нашу. В воскресенье, №: Сентября 1783 г.

Прим. У подлинного приложены чернильныя печати с изображением имян:
Первая, Имеретинскаго царя Давыда.
Вторая, племянника его Александра, сына Имеретинскаго царевича Арчила.
Третия, Католикоса Максима.
Четвертая, Кутайскаго митрополита Доситеоса.
Пятая, Генератинскаго митрополита Ефтимия.
Шестая, Архиепископа Хонскаго Антона.
Седмая, Князя Григория Цулукицева.
Восьмая, Кранскаго Еристава Ерисбая (Елизбара).
Девятая, Князя Папуна Церетелля.
Десятая, Кназя Бери Цулукидзева.

ПРЕДСТАВЛЕНИЕ ОТ ЦАРЯ ГЕОРГИЯ ИМП. ПАВЛУ.

(Июня, 1798 г.)

Всему свету известно, что величие и знатность ваша одинаково сияют как и доброта сердца вашего. Хотя с юных лет я имел желание более сильное, чем у предков моих, прибегнуть с искреннею преданностию к покровительству порфиры вашей, но до сего времени средостением я имел свое положение, которое мешало желанию моему осуществиться, и так как завеса та ныне же спала, посему, подняв очи, исповедую тебя за своего августейшаго монарха и своего государя, и уповаю, что рука, простертая мною к в.и.в., не будет отвергнута: чтобы мои просьбы всегда были услышаны вами, чтобы мы не лишились той милости, которая в ратификованном Договоре была обещана мне и блаженной памяти отцу моему, чтобы подобно мне и наследник мой Давид не был лишен той милости. Если же я и царство мое лишимся покровительства в. и. в., тогда я и царство мое тим несчастием будем обречены на крайнее испытание, ибо тогда должны будем постоянно опасаться мусульманских держав, будучи мы совершенно обезсилены. После того как по праву законнаго Наследника я получил трон и вступил на царский престол, - я об том в свое время в. в-у чрез графа Гудовича представлял, но таковое мое послание не застало графа Гудовича на линии, и не знаю куда оно делось.

Телав.

სოლომონ ლიონიძე

სიტყვა თქმული ერეკლე მეორეს დაკრძალვაზე

XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით ტექსტი დაადგინა ნიკოლოზ კანდელაკმა

სოლომონ ლიონიძე და მისი მჭევრმეტყველება

სოლომონ ლიონიძე

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე XVIII საუკუნის დიდ ქართველთა შორის გამოირჩევა თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივი დამსახურებით. ის ერეკლე მეორეს სამეფო კარის დიპლომატი, გავლენიანი მრჩეველი და ერთგული კარისკაცია. საქართველოს სახელმწიფო სათავეში მას ეჭირა მსაჯულისა და მდივნის მაღალი თანამდებობანი. თანამედროვეთა შორის ის ცნობილი იყო თავისი გამჭრიახი გონებით, ფართო განათლებითა და პატრიოტული სულისკვეთებით — მან სახელი გაითქვა ჭკუით, ცოდნით, გმირობითა და მჭევრმეტყველებით.

საკუთარი სიტყვითა და საქმით უკვდავყოფილი ს. ლიონიძე დიდებისა და მადლიერების სხივით შემოსა მისი მომდევნო თაობის უდიდესმა წარმომადგენელმა ნ. ბარათაშვილმა. პოემა „ბედი ქართლისა“ ერთგან ასე გვაუწყებს:

თან ახლდა მეფეს
თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად
მორჭმული.
ვის არ გახსოვთ
სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!

აქ ს. ლიონიძის წარუშლელი სურათია დახატული.

ს. ლიონიძე დაიბადა 1754 წელს. მისი სიყრმის მშობლიური კუთხე კახეთია. ზოგიერთი ცნობით ირკვევა სოლომონის ურთიერთობა ქსნის ხეობასთან. გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, ქსნის ხეობიდან იყო ს. ლიონიძის მეუღლე — ასული ქსნის ერისთავისა. სარწმუნო ცნობებით ს. ლიონიძე კახელ ლიონიძეთა შთამომავალია, სოფელ კონდოლიდან.

სოლომონის გვარი არის ლიონიძე, რაც დასტურდება ბევრი საისტორიო პირველწყაროთი. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ერთი ავტოგრაფული ხელნაწერი, რომლის ხელრთვა ასე იკითხება: სოლომონ ლიონიძე. ბევრგან ის მოხსენებულია სოლომონ მსაჯულის სახელით. ასევე იხსენიება პირად ბეჭედზე, რომლის სრული ანაბეჭდი მოღწეულია ჩვენამდე. აქ ვკითხულობთ: „მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ“.

სოლომონის გვარის ფორმა ლეონიძე გვიანდელია — მისი დამკვიდრება მოხდა XIX საუკუნის მიწურულში; ერთხანს ის ძველი ფორმის პარალელურად იხმარებოდა, ხოლო შემდეგ ია მარუშიძის (ზ. ჭიჭინაძის) მონოგრაფიული ნარკვევი — „სოლომონ ლიონიძე, მსაჯული მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების მომზადების წვლილნი“ — ფართოდ ავრცელებს ამ ახალ ფორმას ჩვენში.

სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა. თავისი მაღალი სასულიერო თანამდებობის გამო ანდრია ლიონიძე მეფის მახლობელი კარისკაცი უნდა ყოფილიყო.

ს. ლიონიძეს განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. აქ მას შეეძლო მოესმინა ცნობილ ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერებით აღჭურვილ ადამიანთა ლექცია-ქადაგებანი და წაეკითხა სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. აქვე შეეძლო მას შეესწავლა რუსული, სომხური, სპარსული და თურქული ენები, რომელთა ცოდნას იგი იჩენდა და იყენებდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო სარბიელზე.

მეფის მახლობელთა და სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა შორის ს. ლიონიძეს დიდხანს ეჭირა მეტად საპატიო ადგილი. იგი XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი სამშობლოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივ მანძილზე ის წარმოადგენდა მეფის უახლოეს კარისკაცს, რომელიც უანგარო ერთგულებითა და დაუშრეტელი ენერგიით გამოირჩეოდა.

ს. ლიონიძე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონაწილეობდა ჩვენი სამეფოების საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებას.

ს. ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის „მეგობრობითი პირობა“, რომლის ძალით ქართლ-კახეთი მოექცა რუსეთის მფარველო-

ბაში და საფუძველი ჩაეყარა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიულ გაერთიანებას.

1790 წელს ს. ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა საკავშირო ხელშეკრულება.

ს. ლიონიძის პირადი ხელმძღვანელობით შესრულდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო მისია — დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა.

ამ საქმეებით სახელგანთქმული ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და ტრიბუნი ს. ლიონიძე თანამედროვეთა შორის დიდი გავლენითა და პატივით სარგებლობდა. ამას გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ბევრი სარწმუნო ცნობა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის გამონათქვამი ს. ლიონიძის შესახებ: „ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი“. ინტერესმოკლებული არ არის, აგრეთვე, პლატონ იოსელიანის გვიანდელი ცნობა, რომლის მიხედვით ს. ლიონიძე იყო „მაღალის გონების კაცი, ერთგული ქვეყანისა, დიდი მრჩეველი და უცთომელად შემმეცნებელი საქმისა“.

წარჩინებული ჯარისკაცის დიდი წარმატება მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შურით აღინიშნა და შემდეგ გამჟღავნებული შულლითა და მტრობით. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყვა მათი გათიშვა. ეს გათიშვა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი — მეფემ შეიცნო კარისკაცის სიმართლე, მისი უანგარო ერთგულება და შეირიგა ის. ამ ფაქტს გულისხმობს ს. ლიონიძე თავის სამგლოვიარო სიტყვაში ერეკლეს მიმართ, როცა ლაპარაკობს: „იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავისს უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა“.

ერეკლე მეორეს გარდაცვალების (1798) შემდეგ ს. ლიონიძე ერთხანს ისევ ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური ცხოვრების უახლოესი მონაწილეა. ის საქართველოს სამეფო კარზე ისევ თვალსაჩინო და გავლენიან მოღვაწედ მოჩანს. პოლიტიკურ ძალთა ჭიდილის არენაზე, როცა ბაგრატიონთა დინასტიის შიგნით გაჩნდა შეურიგებელი დაჯგუფებანი, ს. ლიონიძე ქვრივი დედოფლის მომხრეთა შორის აღმოჩნდა. დარეჯან დედოფლის ჯგუფის საპირისპიროდ დაირაზმა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტეს ძის დავით ბატონიშვილის დაჯგუფება. მოწინააღმდეგეთა შორის ჯერ ფარული და შემდეგ აშკარა ბრძოლა გაჩაღდა. მეფის რუსეთის მაღალი მოხელეები ამ ბრძოლაში დავით ბატონიშვილს თანაუგრძნობდნენ. ასეთ ვითარებაში 1801 წელს ს. ლიონიძე დააპატიმრეს.

საპატიმროდან ს. ლიონიძე წერილით მოაგონებს მთავარმართებელ კნორინგს იმ დამსახურებას, რაც მას უმაღლესი კარის წინაშე მიუძღოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში, კვლავინდებურად ერთგულ სამსახურს ჰპირდება და მოითხოვს განთავისუფლებას. ს. ლიონიძის ენერგიულ ცდასა და გავლენიან პირთა ჩარევას, როგორც ეტყობა, გაუჭრია და ის პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ.

1802 წლიდან ს. ლიონიძეს იმერეთში ვხედავთ. აქ, სოლომონ მეორეს სამეფო კარზე, ის დიდი პატივით მიიღეს. იმერეთის მეფემ ს. ლიონიძეს შეუნარჩუნა მაღალი თანამდებობანი და უბოძა ადგილ-მამულები იმერეთსა და რაჭაში — კაცხის, მინდასა და ბარაკონის მიდამოებში.

1803 წელს იმერეთის მეფე აძლევს ს. ლიონიძეს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში, ალექსანდრე პირველის კარზე.

მეფის სურვილს შეადგენდა იმერეთის რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისე, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა. ამ სურვილს იზიარებდა ს. ლიონიძეც.

მეფის ელჩი იმპერატორმა თუმცა პატივისცემით მიიღო, მაგრამ უპასუხოდ გამოისტუმრა. ამის მიზეზს წარმოადგენდა მეფისა და მისი ელჩის პირადი მტრების ფარული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

1804 წელს ს. ლიონიძე პეტერბურგიდან ბრუნდება იმერეთში. ის ერთხანს კვლავ სამეფო საქმეებს ასრულებს და 1810 წელს — იმერეთის რუსეთთან შეერთებისა და სოლომონ მეორეს თურქეთში გაქცევის შემდეგ — ისიც მეფის კვალს გაჰყვება და ქ. ახალციხეს გადაიხვეწება.

აქ, უცხოობასა და სიმარტოვეში, გაატარა ს. ლიონიძემ თავისი უკანასკნელი დღეები. ის გარდაიცვალა 1811 წელს ახალციხეში და იქვეა დაკრძალული.

ს. ლიონიძის ოჯახი — მეუღლე და შთამომავლობა — აქა-იქ ნახსენებია ჩვენს საისტორიო წყაროებში. ნ. ბარათაშვილმა თავის პოემაში, სოლომონის პორტრეტის გვერდით, რამდენიმე სიტყვით დაგვიხატა მისი მეუღლე „სათნო სოფიო, სულისა, ტოლი“ და იქვე, ცნობილი ხოტბით შეამკო ის:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა,
ტკბილსახსოვარნო!“

ს. ლიონიძეს ჰყავდა ორი ვაჟი: იოანე და ალექსანდრე, რომელთაგან უმცროსი — ალექსანდრე — ტრაგიკულად დაიღუპა ჯირითის დროს, 22 წლის ასაკში. მას შთამომავლობა არ დარჩენია.

ს. ლიონიძის უფროსი შვილი იოანე, რომელიც მამას თან გაჰყვა ახალციხეში, 1811 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დიდი ისტორიული ცვლილებების დასასრულს, მცირე გაბრძოლების შემდეგ, შეურიგდა თავის უჩინარ ხვედრს და დამკვიდრდა სოფელ კაცხში, მამისეულ მამულში. მან ცოლად შეირთო ცნობილი თავადის — ივანე აბაშიძის ასული თამარი და ახალი პოლიტიკური ვითარების მყუდრო ჭერქვეშ განაგრძო ცხოვრება.

იოანე ლიონიძეს ჰყავდა შვიდი შვილი: იოანე, სოლომონ, ალექსანდრე, სიმონ, დავით, სოფიო და მარიამ.

მათ შორის დავით იოანეს ძე ლიონიძე, შვილიშვილი სოლომონ მსაჯულისა, საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და ჟურნალისტია გასული საუკუნის 80-იანი წლებისა. მას ეკუთვნის პატრიოტულ, სოციალურ და სატრფიალო მოტივებზე დაწერილი ლირიკული ლექსები და ისტორიულ ქარგაზე აგებული ორი ნაწარმოები: პოემა „ელიავა“ და დრამა „სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა“.

დავით ლიონიძეს ცოლად ჰყავდა უცხოელი ქალი, პარიზელი კომუნარის — ემილ სიგვარტის ასული იზაბელა, რომელიც პარიზის კომუნის დაცემის შემდეგ სამშობლოდან ლტოლვილ მამას შვეიცარიაში გაჰყვა, მერმე რუსეთში ჩამოვიდა და გათხოვების შემდეგ საქართველოში ცხოვრობდა.

დავით ლიონიძე გარდაიცვალა 1921 წელს, 73 წლის ასაკში. ის დასაფლავებულია სოფელ კაცხში.

დავით ლიონიძეს დარჩა ვაჟი სოლომონ (ბებე), სოლომონ მსაჯულის შვილიშვილის შვილი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ცხოვრობდა ქალაქ ზესტაფონში და ეწეოდა სამოსამართლო მოღვაწეობას.

ჩვენამდე მოღწეულია ს. ლიონიძის სურათი. ის წარმოადგენს ფანქრით შესრულებულ ნახატს, რომელზედაც აღბეჭდილია ქართულ სადარბაზო ტანსაცმელში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი. მას აცვია ახალუხი, ზემოთ — ყურთმაჯიანი კაბა, წელზე ახვევია ქსოვილის სარტყელი, წამოსხმული აქვს გრძელი ქულაჯა და ხელში უჭირავს ჯოხი.

ეს სურათი დაცული ყოფილა ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონია ქვათახევის მონასტრის მღვდელ-მონაზონს ვინმე ნიკონ ჯობინაშვილს. 1916 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ს. ლიონიძის პორტრეტი, გადმოხატული მწიგნობარ იასონ ციციშვილის მიერ ხსენებული ხელნაწერიდან.

სასახლე, სადაც სოლომონ ლიონიძე მოღვაწეობდა

ს. ლიონიძის პორტრეტის შესახებ ჩვენ გვაქვს სხვა ცნობაც. მას შეიცავს ლიონიძის მოურავის — გუგუნა ბაზღაძის ნაამბობი, რომელიც ჩაუწერია ორატორის შვილიშვილს დავით იოანეს ძე ლიონიძეს (1848-1921). გ. ბაზღაძეს უთქვამს: „იმპერატორ ალექსანდრემ გადააღებინა იმერეთის მეფის დესპანის სურათი თავის კაბინეთში დასაკიდებლად. ეს სურათი სოლომონ ლიონიძისა დღემდის იპოვება თურმე ერმიტაჟის არხივში“.

შესაძლოა, ეს სურათი იყოს ნ. ჯობინაშვილის ხელნაწერის პირველწყარო. ყოველ შემთხვევაში ამ ხელნაწერში უსაფუძვლოდ ვერ შევიდოდა საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების პორტრეტი და ისიც მისი სიცოცხლის მახლობელ პერიოდში.

ამრიგად, ს. ლიონიძის შემონახული პორტრეტი, ვფიქრობთ, ავთენტიკურია.

ნიკოლოზ კანდელაკი

გლოვა მეფის ირაკლი მეორისა თქმული სოლომონ მსაჯულისაგან

მეფის ერეკლეს დასაფლავების დღეს, 22 თებერვალს, 1798 წ. მცხეთის საკათალიკოზო ტაძარში.

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა იცხებს ყოვლად უფასოსა სისხლსა, — სახსარსა ქართველთა გვარისასა. ცამან მოსტაცა ქვეყანას სიმდიდრე, ძლიერთა ძალი. ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავარი და თვით-მპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა. დიდნო მეფენო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა, ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკვდა ღერკულესი, უძლეველი მეფე — ერეკლე და მზისა ქვეშ იხილეთ, რამეთუ ყოველი ამაოა.

და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინოზთაგანნო უძლეველნო მხედარნო, გიძღოდათ მეფე მოსებრ ისრაელთა, გესმოდათ ხმა პატრონისა თქვენისა, მახარებლად თქვენდამი იყო ბიბლია: — „არა მოაკლდესო მთავარი იუდისაგან“. იუდას ლომი სახლსა სადავითოსა მტერთა თქვენთა მყვირალი დღემდე ლაშქრიდა სამთა იმპერიათა: ოსმალთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა. დღეს გაილაშქრა ციურ ურიცხვთა ზედა ერთმან მარტომან უძლეველმან — რაინდმან, ძველი ღერკულესი, ძველის ახილესი-თურთ. თქვენიც ციურთა ძალთა უცვდავთა სძლევდა და განავლო სამყარონი ცათანი, თუმცა დააკლდით საზოგადოსა მამასა და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყო ესე დიდებად თქვენდა ვიდრემდის იგი იყო და საიქავოდ აქ ადიდა სახელი.

ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიმხნე თქვენ ქართველთა ცათმდე და აწ აღვიდა ანგელოსთა ღვთისათანა. გარნა აქაც და მუნ ცხოველ არს იგი, რათ სტირით, ძენო ობოლნო მამისაგანო?

და შენ შესაკრებელო სასო ქართველთა ნათესავთაო, ტაძარო ათთორმეტისა სკიპტრისაო! რად სტირ, სადავითოვ სახლო, დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულო სახლო, წმიდის ქეთევან დედოფლისა სისხლით ცხებულო სახლო, სადაც ხმა იყო, სიხარული და ცხოვრება, და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზედ იხარებდენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს სადღესასწაულო შობა ადიდებოდა.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, თუ ოსმანთ დაიპყრეს საყდარი მეფობისა შენისა, საკურთხეველი წმინდა, მეფე ღვთისა ირაკლი სიმრთელით ბრძანდებოდეს, რომელმანც ხერთვისის დამპყრობელისა და ასპინძის მტრის სისხლში გამოწრთო-

ბილის ხმლით ხვანთქარს, სპარსეთის ხელმწიფეს, ქარმიხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო“. ქარმიხან იტყოდა: „მეფე ერეკლემ ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო. მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა“.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, თუ სპარსთა დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენთა წინაპართ შობილი, მეფეთ შარავანდედი, მეფე ერეკლე ცოცხლებდინ საუკუნოდ. რომელმანც საქართველო ნადირ ავშარისაგან გამოიხსნა და ფათალიხან და ავშრის მეფე აზატხან ათასი ერთით წარაქცივა; რომლისაც დიდება მეორემ ალექსანდრემ, პრუსიის მეფემ, ფრიდერიკოსმა თეთრზედ დასწერა: — „ევროპაში მე ვარო ღერკულესს უძლეველი — და საქართველოში — გიორგიანთ მეფეო“.

რათ სტირი, სადავითოვ სახლო, ვიდრემდის ახალი მოსე ისრაელთა, მეფე ერეკლე საქართველოს მხედრობას წინ უძღვის და საქართველოს რათ ამბობ, ამ სახელოვანს სახლს, დიდის როსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ცინბირიდამ მოჰყავს სამხედრო გუნდი.

ვის შეუძლიან შენი დამდაბლება, როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღისტანელნი ლაშქრად მორბიან, ოსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ?

იგლოვდი ქვეყანავ, რომელიცა უძვირფასესითა სპეკლითა ამდიდრებ სიტყვიერთა, გარნა სიმდიდრე გრძნობათა და საცნაურთა მეფე ერეკლე შენსა სიღრმეში დაჰფარე, განკრთი, განკვირდი; სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთაცა აბრაამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნელდი მზევ, რომელსა გაქვს მოსწავებული დაბნელებით ჭირის უფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალებას ველარ ხედავს.

მაღალო და ძლიერო ღმერთო, დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა. ჩვენ ვსტირით და მეფე ერეკლე, თავი განმგებელი ერისა, ხელი, მზრდელი ობოლთა, მკლავი მომგეგრებელი მტერთა და გვამი შრომისა მოყვარე მის საფლავში ირღვევა. შენ გევედრებით, იესო, სისხლით ცხებულს მეფის ერეკლეს, კაცთ მოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ, იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედე.

სად დაჰხედ, მზეო, სამეფოთა სირათა და პანკრატით გვართაო, რომლისა დისკოსა ნათელს იღებენ გონიერნი, სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფიური განგება. რად შემოიხსენ ხმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა. რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა, სადა ღერკულეს მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა.

რად ადიდე სახელი უმაღლესი, თუკი საუკუნოდ დასცილდი. რად მიეც სიამაყე დედოფლობისა შენს უმაღლესს ფერცხალსა, თუ ასე დასჩაგრავდი. რა გაწყინა დედოფლის დარეჯანის დიდებულმა სამშობლომ: რად მოსტაცე დიდება დადიანის ოჯახს, რად ადიდე შენს უმაღლესს ტახტზე, თუ ადიდე რადღა დამიწე. რად უღალატე ხელმწიფეს ქმრითა და შვილებით ბედნიერს, რად ატირებ, რად დააქვრივე, უწყალოვ; რად მოუკალ ხელმწიფე ქმარი, უწყალოვ, რად ამიწებ კეისართაგან გვირგვინოსანს შენს უმაღლესს თავს. რად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც თით შემაღლებულს კამარაში მფრინველთ სიცოცხლეს მისტაცებდა, რად ასწავლე საყვარელს ქალებს საქალო კრძალულება, თუკი თავმოხდილთ ატირებდი.

რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი. რად გვასწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟ-კაცობითურთ, თუკი შენ წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი.

მე უღირსი შენგან მოწყალებით გაზრდილი, შენის კარგის ბატონყმობის ტრფიალი სოლომონ, აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამაგდებდი.

ხელმწიფევ, სად დაგიკარგავს ხელმწიფეთაგან საშურველი ზრდილობა. ამ დუმილით პატივსაცემელს სასახლეში რა ამბავია: უჩვეველის ხმის შემაღლება, რას ნიშნავს ამისთანა უბედური სალამი, გადმომხედე ხელმწიფურად შენს მეჯლისში მეინახეთ დარბაისელთა, სახელოვანს სარდლებსა, ხელმწიფევ, ვიცი, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზე აღსვლით გულამაყნი არიან.

ქვეყანას უკვირდა, სოლომონის გული მწუხარებამ ვერ შესცვალაო, და არ დაიჩაგრაო. ჩემი სიამაყე პირველად სიმართლე იყო და მეორედ მეფის ერეკლეს სიმრთელე. მეფეს ერეკლეს ცოცხალს უყურებდი, მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მიმაჩნდა. ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვდილით სოლომონის გული დაიჩაგრა. იმისი ტკბილი ბატონყმობა ვიტირო, თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენანება, რომელიც თავისის უმაღლესის ხელით მომწერა და სოფელმა აღარ დააცალა.

ხელმწიფევ, დედოფალო და მეფის ძენო, გაფიცებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობასა, სიმრთელესა, გამარჯვებასა, ორში ერთი მოწყალება მოიღევით: ან მომაკვლევინეთ და მეფის ერეკლეს უმაღლესის ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს.

ჩემთვის ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიადაგ მარტოკა ვახლდი ხოლმე. იქ ბატონყმობა სადღა იყო. იქ ბატონყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა, უღრმესად იფიქრეთ, უმაღლესნო, და ისე შემიბრალეთ.

ან ამქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს სამხედროს რაინდობაზე თვალი დამრჩომია. სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნია, თუ სადმე იმის წილ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი სალამი შემყვარებია და იმის სახსოვარს მეჯლისში ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის ალერსით ჩემგან ხუმრობა ჰყვარებია, და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია, — ის ადგილები აღარა ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვე; ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ერეკლე, ვის მივცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანისა უზომო ტრფიალება, ვის დროშას ვემსახურო, ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკვდე, ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად დამწარებულმან.

ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანი (1812-1890 წ.) — რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი, 1857-63 წლებში ნალჩიკის ოლქის მმართველი, ფართო ერუდიციისა და ღრმა ეროვნული ცნობიერების მქონე მოღვაწე. თავის ლექსებსა და ისტორიულ ნარკვევებში წარმოგვიდგება, როგორც ქართველთა საბედისწერო „ობლობაზე" გულისტკივილით დაფიქრებული პატრიოტი. პოეტი ხშირად გამოთქვამდა მწარე საყვედურს არსებული მსოფლიო წესრიგის გამო. მისი აზრით, ამ „წესრიგმა" დიდად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მძიმე ხვედრი. როგორც თავის დროზე ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავდა, ვ. ორბელიანი სამართლიანად აღშფოთებულ მამხილებლად წარმოგვიდგება და ცდილობს, ყველას აგრძნობინოს ის „დიდი მოთხრობა", რომელიც არაგვისა და მტკვრის კიდეებში არის „სისხლით ჩართული". ვახტანგ ორბელიანი თითქოს შურსაც იძიებდა საქართველოს შეგინებისთვის და დამნაშავეებს ჩვენი ქვეყნის გარეთაც ეძებდა. საქართველო ხომ, როგორც ის აცხადებდა, მხოლოდ თავის თავს არ იცავდა. იგი აზიასა და ევროპას შორის აღმართული კედელი იყო, რომელიც უდიდეს სამსახურს უწევდა დასავლეთის ქრისტიანობას და ამ ვრცელ რეგიონს მუსლიმთა თავდასხმებს არიდებდა. ასე წამდა პოეტს და მწარე საყვედურსაც შეულამაზებლად გამოხატავდა:

„...და დასავლეთის ქრისტეს
ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის,
თქვენ თვალწინა,
თქვენს კარს ვწყდებოდით?"

პოეტის აზრით, ეს დასავლეთის შუბლზე აღბეჭდილი სირცხვილის ლაქაა, რომელიც პირველ ცოდვასავით მათ შთამომავლობაზეც გადავა:

„და შვილებსაც კი ხშირად
გაზისთ შავი ბეჭედი,
არ დაიდუმებს ისტორია,
ნუ გაქვსთ იმედი.
მართლმადიდებელთ წმიდა
სისხლი კისერთ გედებათ,
მაგრამ მოგკითხვენ,
მაგიერი როსმე გეგებათ!"

ავტორის სამდურავი თვით უფლის სამსჯავროსაც მიემართება და საქართველოს „მწარედ დამხობის" გამო პასუხს ამ სამსჯავროდანაც მოითხოვს.

* * *

„ვახტანგ ორბელიანი ილია ჭავჭავაძის ლექსის გამო: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?" წერს საპასუხოს: „სამშობლო ქვეყნის პასუხი".

„მკითხავ, ჩემო პოეტო,
რაზედ მომიწყენია?
ნება მომეც, მეც გკითხო,
შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ:
„მომავალი ჩვენია!"
მაგ გვარი იმედები ჩემს ყურს
ბევრი სმენია!
. . . . . .
რა მაწუხებს, რა მტანჯავს,
რაზედ მომიწყენია?
ჩემო ტკბილო მგოსანო,
ბევრი მომითმენია!"

და შემდეგ მოდის სურათი სურათზე, თუ „არაბთ, ოსმალთ, სპარსთ, ლეკთა" როგორ უნავარდნიათ საქართველოს გულზე, როგორ უმუსრავთ და უნგრევიათ „ტაძარ-პალატნი", როგორ უბრძოლია ქართველებს და სისხლით როგორ მოურწყავთ თავისი ქვეყნის „გულმკერდი".

„მაგრამ დაცხრა ომის ხმა,
შეიცვალნენ დროები"...

ის ძველი ქართველები ძველ დროს გადაყვნენ, ახლებმა კი იმედები არ გამართლეს. პირიქით, ისე დაეცნენ და დაპატარავდნენ, რომ ყოველგვარი იმედის კვალსაც კი შლიან.

„ამ ძუძუთი გაზრდილნი,
ნაჭერ-ნაჭერ მყიდიანო",

ამ სანახაობით აღშფოთებული, სინამდვილეში ყოველი იმედისაგან გაძარცული და ოცნებაშეგინებული, პოეტსაც მიმართავს: **„ნუ ფრინავ მარად ცაში, ნუ უმზერ მარად მთებსა, ცოტა ძირს დაიხედე, ნახავ მაგალითებსაო".**

ეს მაგალითები კი ისეთი საშინელია და სასოწარმკვეთი, რომ მათი მნახველი „ტკბილ ხმათათვის" ვეღარ მოიცლისო და თავის თავზე ამბობს: „ტკბილის ლექსებისათვის ჩემს გულს აღარ სცალიანო". პოეტს თითქოს სიტყვის თქმაც ენანება, რადგან გამგონეს ვეღარ ხედავს. „მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს ულონო სულს, ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელ გულს, მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს". პოეტი თანამედროვეთ არ ინდობს და მწარე სინამდვილეს სეტყვასავით უშენს:

„ჩვენ არც კი ვიცით,
იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ:
ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი
მამული ვჭამოთ
და ჩვენთ მოყვასთა,
ჩვენთ ნათესავთ-ძმათ
ცილი ვწამოთ;
ოღონდ კი ჩვენთვის
მზე ნათობდეს და
ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენაღვლება,
რაც რომ მოხდა მაშინ
სოღანლუღს!
თუ ნათლად გვქონდეს გულის
გრძნობა და ნათლად პირნი,

ბევრს მოგვითხრობდნენ
არაგვისა და მტკვრის ნაპირნი“.

პოეტი მამხილებლის როლში გამოდის და ცდილობს, ყველას აგრძნობინოს ის „დიდი მოთხრობა“, რომელიც არაგვისა და მტკვრის კიდეებში არის „სისხლით ჩართული“. ვახტანგ ორბელიანი თითქოს შურსაც იძიებს საქართველოს შეგინებისათვის და დამნაშავეებს საქართველოს გარეშეც ეძებს. საქართველო ხომ მხოლოდ თავს არ იცავდა. იგი კედელი იყო, ამართული აზიასა და ევროპას შორის. დასავლეთის ქრისტიანობას საქართველომ უდიდესი სამსახური გაუწია და გადაარჩინა მუსლიმანთა თავდასხმისაგან.

პოეტი ღმერთსაც არ ინდობს, გმობას უგზავნის, რადგან არ ესმის მისი არსებობის აზრი და მნიშვნელობა. თუ იგი არის, მაშ საქართველო რად გაიმეტა? და თუ დაემხო მისი სამშობლო, მაშ ღმერთი არა ყოფილა.

„გონება ხელობს,
გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის
ძალა ერევა,
მაშინ, მოყვასნო, მზად ვარ,
გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუ თუ მართლა გწამთ,
რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?
თუ დაბადება სამყაროსი იყო
მის ნება,
და თუ ეს აზრი არ არს შრეტთა
და ცრუთ ზმანება,
თუ მართლა მნათობთ,
ცას და ზღვათა,
მთათა და ველებს
თავის შუქითა, სიუხვითა
ის აცხოველებს;
თუ მან დაგვბადა,
მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა.
თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი
აღმოაცენა,
თუ ქვეყანასა წესი მისგან
მიენიჭების,
თუ ნათელი არს და
ნათელი ჭეშმარიტების,
მაშ საქართველო ასე მწარედ
რისთვის დაემხო?“

თითქოს პოეტს შეეშინდება ამ გმობისა და ცდილობს გაიგოს: სხვასაც უგმია ღმერთი თუ არა. და იმავ „პატარა კახს“ მიმართავს როგორც უდიდეს ავტორიტეტს:

„შენ არ მოგსვლია გულს
ეს გმობა, პატარა კახო,
როს გადაავლე შენს
ქალაქსა ავლაბრით თვალი
და დაინახე, ოთხის კუთხით
ავარდა ალი?“

აქ იშლება პოეტის უდიდესი ტრაგედია, — ღმერთთან შებრძოლების საშინელება ადამიანისათვის, რომელსაც ღმერთი ღრმად სწამს. „მაგრამ რას ვროტავ უბედური და რას ვყბედავ, მე შემომქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავო“. მაგრამ ორი ღმერთის მოთაყვანე, ღვთისა და საქართველოსი, ვეღარ ერკვევა, თუ ვის მისცეს უპირატესობა, თუმც საქართველოს უფრო მწვავედ განიცდის. ღმერთი — მაინც განყენებული იდეაა, საქართველო კი კონკრეტული არსია, რომელთანაც სისხლით და ხორცით არის დაკავშირებული.

„რა ვქნა ცოდვილმა,
გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული
მომელანდება...“

მაგრამ მიუხედავად ამ გლოვისა და მწუხარებისა, მიუხედავად სინამდვილის გარყვნისა და გავერანებისა, პოეტში მაინც იმედი აღიმართება, გრძნობით სახე გაუბრწყინდება და გულაძგერებული, თვალებანთებული იმეორებს იმ გრძნეულ სიტყვებს, რომლებიც იმედმა, მშვიდი ასულის სახით, ჩასძახა:

„გწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ
არ განქრებიან,
გწამდეს ეს შთენნი დიდებულნი
კვლავ აღსდგებიან;
. . . . . .
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული,
კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული
კვლავ აღყვავდება“.

* * *

ძველისა და ახლის დაპირისპირებას ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი ამ პრობლემას ზოგადი თვალსაზრისითაც უცქერის და ორი კულტურის დაპირისპირებასა ცდილობს. მართალია, ეს ლექსიც საქართველოს გამო არის დაწერილი, მაგრამ პერსპექტივა უფრო შორს მიდის და აქ ჩანს ვახტანგ ორბელიანის ნამდვილი, რომანტიული ბუნება. აქ იგი ორ შენობას უპირისპირებს ერთმანეთს. ერთია ძველი, შვიდასი წლისა, მეორე — ახალი, ტურფად ნაგები. ძველი თვალსა ზარავს და ვეღარ იზიდავს, ახალი კი — ხიბლავს და იმორჩილებს. ძველი მტკიცეა და ღონით სავსე, ახალი კი — სუსტია და ნაზი. ძველი საუკუნეების გრიგალს თავზე ივლებს და უკვდავებას უსწორებს თვალს, ახალი კი — წვიმა-სეტყვისაგან ათეული წლების მანძილზე იშლება. ახლის კედელს, „მისს კირსა და ქვას, ვით სუსტს ასულსა, არც ძალი და არცა ღონე აქვს; ძველი კი, — „ის მოხუცი შვიდასი წლისა, მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა“.

„და თუ ოდესმე მის კედელნი
დაინგრევიან,
შთენნი კი მისნი საუკუნოდ
მთლად დარჩებიან...“

ამ ლექსით ვახტანგ ორბელიანმა მეტად კარდინალური საკითხი აღძრა და სწორი კუთხით წარმოგვიდგინა, როგორი უნდა იყოს ძველისა და ახლის ურთიერთობა, როგორი არის ან უნდა იყოს, კულტურის შეძენის თუ შექმნის ისტორიული პროცესი. კიტა აბაშიძე სწორად შენიშნავს, რომ ეს ლექსი „კრიტიკაა მთელის დღეინდელის ცხოვრებისა, დღეინდელის უნიადაგობისა, რადგან უნიადაგოა და მსწრაფლ წარმავალი ყოველივე, რაიცა არ არის შეკავშირებული წარსულთან, შეწონილი და შეჯაჭვული ისტორიულ ტრადიციებთან... ეს ღრმა აზრი და ძლიერი გრძნობა, შეზავებული მწარე სევდითა და ფრთა-შესხმულის იმედით „ორი შენობის“ სიმბოლოთი აქვს გამოთქმული ავტორს“.

ვახტანგ ორბელიანმა თითქოს შეიგნო და განიცადა თანამედროვე კულტურის აცდენილობა, რომელიც მოწყდა ძველ გზას და „მეშჩანურ“ ცივილიზაციად იქცა, რომელსაც საფუძვლად აღარ უძევს ძველი სული, ანტიკურ ნანგრევებზე გადმოვლილი და განმტკიცებული. მისი ინტუიცია ღრმად შეეჭრა თანამედროვეობას და დაინახა ის ეფექტებზე დევნა, რაც საფუძვლად უდევს დღევანდელ „ბრწყინვალებას“; დაინახა ის ზერელობა, რომელიც გამძლეობის გარეშე არის დარჩენილი, და რომელსაც მხოლოდ ერთი დღის ეფექტი ასაზრდოებს“.

ვახტანგ კოტეტიშვილი

კირიონ II

„ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“

„ყველაფერი მობეზრდება მამულიშვილს მამულიშვილობის გარდა“ — ეს სიტყვები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, კირიონ მეორეს ეკუთვნის.
მთელი თავისი ცხოვრება პატრიარქი ამ სულისკვეთებით ემსახურა თავის სამშობლოს, როგორც ერისკაცობაში, ასევე შემდგომ, როდესაც სასულიერო პირი გახდა. კირიონი ყოველთვის ქართულ საქმეს ემსახურებოდა, რუსეთში მოღვაწეობის პერიოდში ქართველ ახალდგაზრდებს მატერიალურ დახმარებას უწევდა.
მისი დახმარებით რუსეთსა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში 300-მდე ახალგაზრდამ მიიღო განათლება.
მოწამებრივად აღსრულებული კირიონი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2002 წლის 18 ოქტომბერს წმინდანად შერაცხა. ღვაწლმოსილი პატრიარქის მეცნიერული კვლევებისადმი ინტერესი დღესაც არ განელებულა. ამჯერად მისი ნაშრომიდან „ივერიის კულტურის როლი რუსეთის ისტორიაში“ შემოგთავაზებთ ამონარიდს, რომელიც ენას, ხალხურ სიტყვიერებას, ხალხურ შელოცვებს, ლეგენდებს, გამოცანებს, გადმოცემებსა და ა.შ. ეხება.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2-4)

რუსული აგიოლოგიური ძეგლები

ჯერ კიდევ ი. ი. სრეზნევსკი ჩიოდა დიდ სიძნელეთა შესახებ, რომელთა გადალახვა ძველი რუსული მწერლობის იმ საკითხთა მკვლევარს უხდება, რომლებიც ბიზანტიურ მწერლობას ეხება. ძველი რუსული ლიტერატურის უახლესი ისტორიკოსი, პროფესორი პ. ვ. ვლადიმიროვი წუხს, რომ საკითხი კიევ-პეჩორის პატერიკის წყაროების შესახებ აქამდე ამოუხსნელია. არცთუ იშვიათად ვარაუდობენ, რომ ბერძნული ორიგინალი ან პროტოტიპი ჯერ კიდევ ნაპოვნი არ არის. შეგვიძლია დაგარწმუნოთ: თუ ამგვარი ორიგინალები აქამდე ვერ იპოვეს, მაშინ მომავალში მათი აღმოჩენის ნაკლები შანსი არსებობს. ამ შემთხვევაში მაძიებლებს დაეხმარება უძველესი ქართული ძეგლების გამოცემა და მეცნიერული გამოკვლევა, რაც დღესდღეობით მთლიანად უგულებელყოფილია. ამ ძეგლებს შორის უეჭველად არცთუ მცირე რაოდენობის ისეთი ორიგინალიც მოინახება, რომლებსაც ისინი ბერძნულ ლიტერატურაში ამაოდ ეძებენ.

მეფე ალექსი მიხეილის ძის „ძეგლისდებანი“

მეფე ალექსი მიხეილის ძის „ძეგლისდებათა“ სახელით ცნობილი კოდექსის შემდგენლები, როგორც სხვადასხვა ხალხის სამართლის ძეგლების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე ზოგიერთები ვარაუდობენ, მუშაობის პროცესში ქართულ კანონთა კრებულებითაც სარგებლობდნენ, რადგან აქ მოცემული ზოგიერთი სტატია ბიზანტიურ კანონმდებლობაში საერთოდ არც მოიპოვება და განწყობილებითა და ფორმულირებით ქართული იურიდიული ძეგლების შესატყვისია.

რუს მეფეთა საზეიმო ტიტული. ივანე მრისხანისა და სხვა **მეფეთა საზეიმო ტიტული და მის დასაწყისში ღვთისმეტყველების გამოყენება უეჭველად ქართველ გვირგვინოსანთა სიგელებიდანაა გადმოღებული. ამაზე ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვიც მიუთითებს და ადასტურებს, რომ „ივანეს მოსწონდა დიდებული გამოთქმები სიგელებისა, რომლებიც აღმოსავლელ გვირგვინოსანთაგან ეგზავნებოდა და ზოგიერთ ამ გამოთქმას ჩვენ მის სიგელებში ვხვდებით.**

წარმართული დღესასწაულები და თამაშობები

რუსეთში წარმართული ღვთაებების: კუპალას — ქართული კოპალეს, იარილის — ქართული იარალოს ან არალოს პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებს ჰქონდათ და ახლაც აქვთ ქართული ელფერი და ისევე ასრულებენ, როგორც საქართველოში. ქართული კოპალე უკრაინელებმა სიტყვის მსგავსების გამო კოპალოდ გადააკეთეს, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ იოანე ნათლისმცემლის (ᲙᲣᲐᲗᲝᲛ) დღესასწაულს შეუთანხმეს. კუპალო (მიწის ნაყოფთა ღვთაება), უკრაინაში უძველესი სახალხო დღესასწაული, იოანე წინამორბედის შობის კვირაძალს იმართება. ამ ღამეს შიშველ

მთაზე კუდიანები იკრიბებიან. უკრაინელები თითქმის ყოველი მხრიდან აჩაღებენ ჭიაკოკონებს, რომელთაც განმწმენდ მნიშვნელობას ანიჭებენ. საქართველოში კუდიანები იალბუზზე იკრიბებიან. ოთხშაბათს, დიდი ხუთშაბათის დამდეგს ჩვენთან ყველგან ჭიაკოკონებს აჩაღებენ. სამეგრელოში ჭიაკოკონას წელიწადში ოთხჯერ: **ამაღლების, ელიას, ფერიცვალებისა და მიძინების** დღესასწაულთა წინადღეებში ანთებენ და მასზე გადახტომისას „არურური (არული) კუდიანებსა!" ანუ „ალი კუდიანებს!" — იძახიან. ჭიაკოკონას გალიციის უკრაინაში დიდ ოთხშაბათ საღამოსა და ხუთშაბათს, ადრე დილას, სწორედ გუცულობის დღესასწაულზე ანთებენ. წინარე ქრისტიანული ხალხური დღესასწაულებიდან, თავისი წმიდა წარმართული ატრიბუტებით, თავისი პირველსაწყისი სიწმინდით, არც ერთი ისე არაა შემორჩენილი, როგორც კუპალას დღესასწაული ჭიაკოკონათა გაჩაღებითა და მათზე გადახტომებით, მიუხედავად ტულის საეკლესიო კრების მკაცრი განჩინებისა.

ჩვენი წინაპრები საგუნდო სიმღერებს ჯერ კიდევ უძველეს დროში მღეროდნენ. უკრაინული ალილო — შობის დღეებში სიმღერით კარდაკარ სიარული — ქართულ ალილოს გვაგონებს.

„გ. ვესელოვსკის აზრით, — აღნიშნავს ოლენა პჩილკა, — ალილოს სხვა სიმღერებსაც მემკვიდრეობით მოჰყვება რომაული ზეგავლენა. ამ მტკიცებულებას ალილოთა სფეროში ფოლკლორული ძიებებით ამყარებს და განსაკუთრებით მიუთითებს რუმინულ და ჩვენს (უკრაინულ) ალილოებს შორის მსგავსებაზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ მსგავსება ჯერ კიდევ არაა უშუალო მემკვიდრეობითობა, შესაძლოა ეს იყოს ნათესაობა, რასაც უფრო შორეული და ღრმა ფესვებიც აქვს. ამ კუთხით ძალზე მჭევრმეტყველურია გამოკვლევები კავკასიურ ეროვნებათა წარმომადგენლების წეს-ჩვეულებებისა ალილოს სფეროში, რაზედაც იხილეთ ა. ხახანაშვილის საინტერესო სტატია „ახალი წლის დღესასწაულობა ქართველებში". სხვათა შორის, აფხაზები ახალ წელს კოლანდას" უწოდებენ, რის გამოც რომაულ კელენდებთან მსგავსების ძებნა აზრს კარგავს. კავკასიაში უახლოესი არქეოლოგიური გათხრები შესაძლებლობას იძლევა, დამაჯერებლად დაახლოვდეს კულტურათა მონაცემები ძველი ერებისა, რომლებიც აქ ძველად სახლობდნენ მსგავსივე მონაცემებით, როგორიც ჩვენთან სამხრეთ რუსეთშია მოპოვებული.

საქართველოში ღვთაებათა წარმართული სახელწოდება — არალო და იარალო, სუფრულ და გუნდურ სიმღერებში დღევანდლამდეა შემორჩენილი. ამ მისამღერში ზოგიერთები გაზაფხულის ღვთაებისადმი მოწოდებას ხედავენ. არალო, ჰარიარალოს ა. ს. ხახანაშვილი ალილოს უდარებს. ალილოს ჰიმნთან დაკავშირებით თავს ნებას მივცემთ შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: ეს ჰიმნი, რომელშიაც წარმართული შინაარსი უცილობლად ქრისტიანულითაა შეცვლილი, ხომ არაა შექმნილი შორეულ წარსულში თანადაქვემდებარებული კლასების, შვიდიდან ერთ-ერთი, წყვდიადის სულის — ალალოს პატივსაცემად, რომელიც გამანადგურებლად, მსოფლიო წესრიგის მტრად გამოისახება? ეს სული ჩვენს წინაპარ ქალდეველთა მითოლოგიაშია მოხსენიებული. ალალო ბავშვებს იტაცებდა. ჩვენში აქამდე ასეთი ჩვეულება არსებობს: როცა ჭამის დროს ბავშვებს ყელზე ლუკმა დაადგებათ, ალალი, ალალის ეუბნებიან. უეჭველია, აქ საქმე გვაქვს ბავშვების მტაცებელი ალალოს ქმედების შესახებ ერთ-ერთ უძველეს შეხედულებასთან, რაც ჩვენი წინაპარი ჰალდისაგან მემკვიდრეობით გადმოგვეცა.

ამავე ხერხით გადმოგვეცა სიმღერები მისამღერით: ანუნი, დალალე, ლალე, თალლი თულაი ლალე. ყოვლადწმიდად წოდებული პირველი მეერგასე შვიდეული რუსულ ხალხურში უძველესი წარმართული კოსტრობონკისა და იარილოს თამაშობებისა და სეირობების სიცოცხლისუნარიან, უკვდავ ხსოვნას ემთხვევა. ეს თამაშობები, კოსტრობონკისა და იარილოსი, წყალში გადაგდებითა და წუწაობით, ქართულ კარნავალ ყეენობას ძლიერ ჩამოჰგავს. იგი ყველიერის ორშაბათს ეწყობა.

მისამღერი დიდი ლადო. რუსეთში მისამღერი **დიდი ლადო** ვის არ გაუგია. დიდი ქართულ ენაზე დიდს ნიშნავს, ლიტვურადაც დიდის-დიდია, ხოლო ლადო რა თქმა უნდა, მხიარულების, სიხარულის, სინათლის, სილამაზისა და სიყვარულის ღმერთია. ვლადიმირის სამხრეთ რუსული ცხოვრების მიხედვით ლადოს რუსების ღვთაებებს შორის მეოთხე ადგილი ეჭირა. «სჯეროდათ, რომ იგი მხიარულების, ლხინისა და კეთილ ქცევათა ღმერთი იყო, — გვეუბნება ცხოვრება; ცოლს ვინც ირთავდა, იმას ოინბაზობებს უწყობდნენ, რათა სიყვარულითა და მხიარულებით სავსე ცხოვრება ჰქონოდა. ზოგიერთ მხარეში დღესაც მხიარულების დროს ხელების შემოკვრითა და მაგიდაზე დარტყმებით „ლადო-ლადოს" მღერიან და თავიანთ ხალისიან სიმღერებში მას ხშირად მოიხსენიებენ".

ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი სახელწოდებას Дедъ, Диди რუსულ სიმღერათა მოწოდებებში ბაბუასთან (жеж) აიგივებს და მისამღერი „ლიულ, ლელი" მისი აზრით, ასევე ბაბუას ნიშნავს (Деда). ჩვენ კი „ობოტ, ოეოტ" მისამღერის წარმომავლობის ახსნა უფრო საფუძვლიანად მისამღერ ლალესაგან (ლალე, ლალე) გვესახება. ნ. ი. კოსტომაროვის მიერ მოყვანილ უკრაინულ საკალანდო სიმღერაში: „Ей доловъ, доволъ" — ჩვენ ქართული საგუნდო სიმღერის „ო დელია ო დელა"-ს მიმსგავსებას ვხედავთ; ეს სიმღერა საქართველოში ამჟამადაც იმღერება. სავსებით შესაძლებელია „Ей доловъ, доволъ" განთიადის ქართული ჰიმნის დასაწყისის გახსენებაა ავრორას, დილის ცისკრის ღვთაების პატივსაცემად: „ახ, დილავ, დილავ".

ადათ-წესები

ზოგიერთი სლავის მიერ პურის მოსავლის აღების შემდგომ ღმერთისთვის მამლის შეწირვის ადათ-წესი ასეთსავე ქართულ ადათ-წესს გვახსენებს, რასაც საქართველოში კვირიკესა და ივლიტეს (15 ივლისს) და ალავერდის (14 სექტემბერს) დღესასწაულებზე იცავენ. უკრაინის ველებზე

გადაჭიმულ სოფლებში ყველიერის პირველ ერბოიან ბლინს სახლის სხვენის სარკმელზე მშობლების სულებისთვის ალაგებენ. საქართველოშიც შემორჩენილია ასეთივე უძველესი წეს-ჩვეულება— ჩიტი ფაფაობა (ჩიტისთვის დაფქული ხორბლის ფაფა).

ასევე არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ ფაფით ფარავენ ფიცრებსა და ნაფოტებს და სახლის სახურავზე ჩიტებისთვის დგამენ. ამ წეს-ჩვეულებას საფუძვლად უდევს გარდაცვლილი მშობლებისა და ნათესავების სულის ხსენება. რუსეთში უბრალო ხალხი მთქნარების დროს ბაგეზე სამი შეტყუპებული თითით მცირე ჯვარს გამოისახავს ხოლმე. **ეს ჩვეულება უეჭველად ქართველებისაგან აქვთ გადაღებული. რუსეთში წვრილი ნიჟარების, როგორც თილისმების ტარება, ასევე უძველესი ქართული ჩვეულებაა.**

შობის კვირაძალს ქართლში ბედნიერების კვერებს „ბედის კვერს“ აცხობენ, ხოლო ახალი წლის დამდეგს — ბასილას, რომელსაც ადამიანის გამოსახულება აქვს.

ბასილას ბასილი დიდის სახელზე ამზადებენ, რომლის ხსოვნასაც წმ. ეკლესია 1 იანვარს აღნიშნავს. მღვდელმთავარ ბასილი დიდს საქართველოში განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ; მისი საგვარეულო მამული, გადმოცემით, მდინარე ჭოროხის პირას, ისპირის პროვინციაში იყო. პური ბასილა სერბიულ ვასილისას შეესატყვისება. საქართველოში აღდგომის მეორე დღეს სასაფლაოზე მიდიან და წითელ კვერცხებს საფლავზე ამოთხრილ ორმოებში მარხავენ. ზუსტად ასეთი ჩვეულება აქვთ სლავებსაც. ბელორუსიაში იმის შემდეგ, რაც მიცვალებულის საფლავზე ორმოში კვერცხებს ჩაფლავენ, ამბობენ „святые радзицели“. სიტყვა радзицели-ში ქართული სიტყვა წითელი ხომ არ იგულისხმება?

დარიგებაში, რომელიც წმ. თეოდოსს მიეწერება, ნათქვამია: „...ნადიმში სამ სადღეგრძელოზე მეტი არ უნდა წარმოითქვას; სუფრის დასაწყისში ადიდებენ ქრისტეს, დასასრულისას ქება-დიდებას ასხამენ ქალწულ მარიამს, ბოლოს მასპინძელს ადღეგრძელებენ“. რუსების ნადიმის აღწერისას ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი აღნიშნავს, რომ ნადიმობისას სვამდნენ მეფის, ბოიარების, მხედრობის, მასპინძლისა და სტუმრების ჯანმრთელობის სადღეგრძელოებს სიმღერით: „მრავალსა წელსა“. ეს უძველესი ქართული ეროვნული ჩვეულებაა, რომლის გარეშეც ჩვენში არც ერთი მხიარული ნადიმი არ ტარდებოდა და არ ტარდება.

— ისტორიკოსი ნ. ი. კოსტომაროვი ასევე ახსენებს ერთ ჩვეულებას ქელეხთან დაკავშირებით, როცა სასაფლაოზე და მიცვალებულთა საფლავებზე ღვინოს (ან არაყს) მოასხამენ. ამით გარდაცვლილი თითქოს ქეიფის მონაწილე ხდება. ეს ჩვეულებაც ქართველებისაგანაა გადაღებული, მხოლოდ ჩვენთან გარდაცვლილის საფლავზე მარტოოდენ ყურძნისგან დაწურულ ღვინოს მოასხამენ უმანკოთა საუფლოში მისი სულის მოსახსენიებლად.

ცხრაობითი თვლა

საქართველოში უძველესი დროიდან ცხრაობით ითვლიდნენ, ძველ

საქართველოში თაყვანს სცემდნენ სამებას. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები სამ კერპს აღმართავდნენ და სამჯერ სამიც წმიდათაწმიდად მიაჩნდათ. ეს ცხრაობითი თვლა სოფლის მოსახლეობაში ახლაცაა შემორჩენილი. როცა ახლობლებს დღესასწაულებზე ანდა ოჯახის რაიმე ზეიმთან დაკავშირებით ძღვენს უგზავნიან, ჩვეულებრივად ასე ანგარიშობენ: ორჯერ ცხრა პური, ერთჯერ ცხრა ნაზუქი, სამჯერ ცხრა ჩურჩხელა და ა. შ. ასევე ცხრაობით ითვლიან წიწილებს, კვერცხს. **მსგავს ანგარიშს რუსულ წერილობით ძეგლებშიაც ვხვდებით, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე საქართველოდანაა ნასესხები.** ყირიმში მეფე მენგლი-გირეისთან ელჩად წარგზავნილი ბოიარი ვასილი მოროზოვი ამბობს: „მე წავედი მეფესთან და ცხრიანები (საჩუქრები) ჩემს შემდეგ მიიტანეს“.

ენა

ქართველთა ზეგავლენა რუსების ენაზეც უნდა ასახულიყო, რომელთაც განსაკუთრებით ძველ დროში არ შეიძლებოდა ცნებათა გამოსახატავად საკუთარი სიტყვების საკმარისი მარაგი ჰქონოდათ. სამწუხაროდ, რუსულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში უზარმაზარი ხარვეზია, კერძოდ, რუსული ენის ისტორიული ლექსიკონის არარსებობა, რის გამოც ჩვენთვის ძნელი იყო ქართველთაგან ნასესხები ყველა სიტყვა დაგვესახელებინა.

ექვს ნაწილად გამოცემულ ახალ რუსეთის სახელმწიფო სრულ გეოგრაფიულ ლექსიკონში (მოსკოვი 1878-89 წ.წ.) ჩვენ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები აღმოვაჩინეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნასესხებმა სახელწოდებებმა ახალ სამშობლოში დიდი სახეცვლილებები განიცადეს: მათ ან რუსულ ენაზე თარგმნიდნენ, ანდა მათ რუსიფიკაციას ახდენდნენ — ძირებზე თავიანთ ადგილობრივ დაბოლოებებს უმატებდნენ. ასევე გვხვდება სიტყვები ორმაგი — ქართული და რუსული დაბოლოებებით.

ზოგიერთმა სიტყვამ კი პირველადი სახე ისე შეიცვალა, მათი წარმოშობის დადგენა მხოლოდ ფილოლოგიური შესწავლის შედეგად თუა შესაძლებელი. ზოგიერთმა ქართულმა სიტყვამ, რომლებიც წინა ისტორიულ ჟამსაა შესული რუსულ ენაში, თავისი უცხოური ხასიათი ფონეტიკური ან მორფოლოგიურ ცვლილებათა მიზეზებით დაკარგა.

ასევე მივუთითებთ რუსეთში გამოყენებულ ჭურჭლეულობასა და სამოსზე, რომლებიც უდავოდ საქართველოდან გადავიდა ამ ქვეყანაში.

სქიმარქიეპისკოპოსი დიმიტრი — დავით აბაშიძე

1919 წლის ტრაგიკულ მაისში, 90 წლის წინათ, სტავროპოლში შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო სამმართველო. მისი შექმნის აუცილებლობა (მიმდინარე საეკლესიო საკითხების გადაჭრის მიზნით) განაპირობა საპატრიარქოსთან კავშირის ხანგრძლივმა გაწყვეტამ. ყირიმში მთავარსარდლის — გენერალ პ.ნ. ვრანგელის დროს სამმართველოს სათავეში ჩაუდგა თავრიზის ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე). ის აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი მაშინდელ სამმართველოში, რომელიც თეთრი გვარდიის გაქცევის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა...
დიმიტრი, ერობაში დავით ილიას ძე აბაშიძე, გახლდათ თავრიზისა და სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის საეკლესიო კრების თავრიზის განყოფილების საპატიო თავმჯდომარე; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უფალს დაუკავშირა, უარი თქვა ყველა პრივილეგიაზე, რაც მას, როგორც შეძლებულ თავადიშვილს, უპრობლემოდ შეიძლებოდა ჰქონოდა; სამაგიეროდ მზად იყო, უყოყმანოდ გაეწირა თავი სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსათვის.

დავით ილიას ძე აბაშიძე დაიბადა 1867 წლია 2 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ვეძისში (რომელიც მაშინ ტფილისის გუბერნიაში შედიოდა) ცნობილი და მდიდარი კახელი თავადის ოჯახში; 1891 წელს ოდესაში დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მაგრამ, ოჯახის წევრთა გასაოცრად, იურისტობაზე უარი თქვა და იმავე წელს კიევის სასულიერო აკადემიას მიაშურა. პირველივე კურსზე სწავლისას, 1892 წელს, 24 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა და წმ. დიმიტრი როსტოველის პატივსაცემად მისი სახელი მიიღო. ეს ის პერიოდია, როცა რევოლუციის სუნთქვა უკვე იგრძნობა ყველგან — ოდესაში, კიევსა და კავკასიაშიც. რამდენიმე წელი რჩებოდა სანამ „ნაპერწკალი“ „აალდებოდა“.

მამა დიმიტრიმ 1896 წელს დაასრულა აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და იმავე წელს დაინიშნა **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** მასწავლებლად. აქ მან გაიცნო სემინარიელი იოსებ ჯუღაშვილი. მოძღვარი ამაოდ ცდილობდა, რევოლუციური მოძრაობისათვის ჩამოეშორებინა ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც იმ პერიოდში პოეზიით იყო გატაცებული, გულწრფელად უმღეროდა თავის ბედკრულ ივერიას და მის აყვავებაზე ოცნებობდა. ღვთისმსახური პედაგოგის ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდა (გავა წლები და სტალინისა და მამა დიმიტრის გზები ერთხელ კიდევ შეიყრება, მათ ურთიერთობაზე ათასი მითქმა-მოთქმა გაჩნდება). ნებით თუ უნებლიეთ მათი გზები გადაიკვეთა. თუკი აბაშიძის გზა დიდგვაროვანი მამის სახლიდან ზეციურ სასუფეველში არსებული მამა ღმერთისკენ მიდიოდა, ჯუღაშვილი ამაღლდა და აღზევდა უდიდესი უღმერთო ზესახელმწიფოს შექმნით, რომელშიც იგი „მთელი ხალხების მამად“ მონათლეს.

წლების შემდეგ, 1935-ში სტალინი ჩამოვიდა თბილისში ავადმყოფი დედის მოსანახულებლად, რომელიც ვერა და ვერ დაითანხმა მოსკოვში გადასვლაზე. მან ჰკითხა შვილს: „იოსებ, ვინ ხარ ახლა შენ?“ მას, ალბათ, გულით უნდოდა, გაეგო, რად მიაჩნდა თავი მის უძლეველ შვილს. იმ დროისთვის მართლმადიდებელ საქართველოში არც ერთი მოქმედი ეკლესია არ იყო. სტალინმა უპასუხა, თან, ალბათ, ულვაშებშიც ჩაეღიმა: „მეფე გახსოვს? ჰოდა, მეც რაღაც მასეთი ვარ“. ღვთისმოშიშმა დედამ, შეებრალა რა შვილი, ამოიოხრა: „ჯობდა, მღვდელი გამხდარიყავი“.

ეპოქას, რომელიც მეოთხედ საუკუნეში დადგა რუსეთში, აბაშიძეც სხვა სახელით შეხვდა, მაგრამ წმინდა სახელით; მასში მან ბერის ცხოვრებით იცხოვრა, მოხეტიალე ბერისა, კურნავდა რა ადამიანებს.

1897 წელს აბაშიძე ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად გადაიყვანეს; ერთი წლის შემდეგ ისევ ტფილისის სემინარიაში დაბრუნდა — ამჯერად ინსპექტორად; 1900 წელს არქიმანდრიტი გახდა და ალექსანდროვის მისიონერთა სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა ვლადიკავკასთან ახლოს. 1902 წლის 23 აპრილიდან ალავერდის ეპისკოპოსი იყო, 1903-დან — გურია-სამეგრელოსი, 1905-დან — ბალტის, 1906-დან — თურქმენეთისა და ტაშკენტის, 1912-დან — თავრიზისა და სიმფეროპოლის.

პირველი მსოფლიო ომის დროს ეპარქია აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს, სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილ ჯარისკაცებს.

1914 წელს აბაშიძემ გადაწყვიტა, შავი ზღვის ესკადრის რიგითი

ღვთისმსახური გამხდარიყო. იგი მოხალისედ წავიდა ლინკორ „პანტელეიმონზე“, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა „პანაგიით გიორგის ლენტზე“. მიუხედავად ამისა, 1915 წელს კადეტთა და ოქტომბრელთა გამოცემებში მისი საწინააღმდეგო კამპანია გაიშალა.

მას ბრალს სდებდნენ გერმანოფილობაში და რუსეთში გერმანული ძალადობის მხარდაჭერაში.

არქიელის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ეპარქიის ღვთისმსახურებმა. ნ. ბორტოვსკიმ (რომელიც შემდგომ წამებით აღესრულა) გამოსცა ბროშურა, რომელშიც გამოააშკარავა „მემარცხენე პატრიოტთა“ მხრიდან დიმიტრიზე ბინძური თავდასხმის ფაქტები. 1915 წელს მას თავრიზისა და სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსის წოდება მიენიჭა. არქიეპისკოპოსი დიმიტრი „მემარჯვენეებში“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი მზად იყო, სიამოვნებით გაეწირა თავი სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსათვის. მეფის ჩამოგდების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ მან მიმართა თავრიზის ეპარქიის მრევლს, რომ არ მისცემოდნენ სასოწარკვეთას და შეენარჩუნებინათ რწმენა:

„გავუფრთხილდეთ ამ უძვირფასეს საგანძურს, ჩვენს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენას, რამეთუ ის ამჯერადაც დაამარცხებს ყველა მტერს; მოსპობს ყოველგვარ მზაკვრობას და ჩვენს მრავალჭირნახულ ქვეყანას ახალი ცხოვრებისკენ წაიყვანს, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში“.

იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის კერძო საქმედ გადაქცევისა, სახელმწიფოსა და სკოლისაგან ეკლესიის გამოყოფისა.

1917 წელს იგი, როგორც საეპარქიო კრების დელეგატი, მოსკოვში გაემგზავრა. აბაშიძე აირჩიეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით მართლმადიდებლური ეკლესიის მოწყობის განყოფილების თავმჯდომარედ; ღვთისმსახურებისა და ტაძრების, მონასტრებისა და ბერ-მონაზვნობის განყოფილებათა წევრად.

საომარ მოქმედებებში მონაწილეობისას მიღებული საბრძოლო გამოცდილება და საოცარი ბუნებრივი სიმამაცე დაეხმარა მას 1917 წლის ნოემბერში, წითელარმიელთა მიერ კრემლის აღების ტრაგიკულ დღეებში, კამჩატკის ეპისკოპოს ნესტორთან ერთად დამდგარიყო მართლმადიდებლური სიწმინდეებისა და ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად: „ჩემთვის დიდი ბედნიერება და პატივი იქნებოდა იუნკერებთან ერთად დაღუპვა“.

მონაწილეობდა საეკლესიო კრების დელეგაციაში, რომელიც მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს ეწვია და სასჯელის შესამსუბუქებლად შუამდგომლობდა მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთ. 1918 წელს რუსეთის სამხრეთში აღმოჩნდა, სადაც 1919 წლის მაისში სტავროპოლში მონაწილეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის საეკლესიო კრების ორგანიზაციაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის უმაღლესი საეკლესიო დროებითი სამმართველოს შექმნაში. იგი მოუწოდებდა ძმათამკვლელი ომის შეწყვეტისაკენ, ერთ-ერთ მის გზავნილში „რუსი მართლმადიდებელი ხალხისადმი“ ნათქვამია: „ბევრი მძიმე ცოდვით წაიბილწა ჩვენი ხალხი ამ ცუდ დროში, როგორიცაა: შეთქმულება და ღალატი, სისხლისღვრა და ძმათაკვლა, უღმერთობა და სატანიზმი, შური და ქურდობა, გაურკვევლობა და ყაჩაღობა, უსაქმურობა და ლაყბობა... მართლმადიდებლებო! მოიკრიბეთ ძალა და გონი და ფეხზე დააყენეთ სამშობლო საქმით, სიტყვითა და აზრით, განაგდეთ თქვენგან ანტიქრისტეს ცდუნებანი, რამეთუ უფალი დაიფარავს და შეუნდობს თავის რჩეულთ“.

1918 წელს, როცა ყირიმი ცალკეული პოლიტიკური ძალების გააფთრებული ბრძოლების არენად იქცა, იგი ყირიმში დაბრუნდა. მასიური დახვრეტები, დაპატიმრებები, ქონების კონფისკაცია, გლეხებისათვის პროდუქტების წართმევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მოკლეს ოთხი მღვდელი. 1918 წლის მარტში ყირიმის აღების მუქარით უკრაინაში შეჭრილმა გერმანულმა ჯარებმა შექმნეს თავრიზის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. დიმიტრიმ წერილი მისწერა სრულიად რუსეთის არქიეპისკოპოს ტიხონს, რომელშიც სწორედ იმ დღეების შესახებაა მოთხრობილი. მასში გადმოცემულია ამ უდიდესი ღვთისმსახურის სულიერი განცდა და ტკივილი დატრიალებული ანტიქრისტიანული ქარიშხლის გამო, რომელიც თავს დაატყდა ყირიმის ეკლესიამონასტრებს.

წერილის დასასრულს იგი თხოვდა პატრიარქს, ელოცა უბედური თავრიზისათვის, რომელიც მთლიანად გაპარტახდა და განადგურდა, არადა, სულ ცოტა ხნის წინათ მთელი ყირიმი წარმოადგენდა აყვავებულ და კეთილმოწყობილ მხარეს. იმ პერიოდში უცხო იყო საერთო სახალხო მონანიება. ბევრს ეს მაშინ სასაცილოდაც კი ეჩვენებოდა.

1920 წლის ნოემბერში წითელმა არმიამ აიღო ქერჩი და სამხრეთი ფრონტი ლიკვიდირებული იქნა.

ყირიმში მასობრივი რეპრესიები დაიწყო. ათასობით ადამიანი, რომელთაც ან არ სურდათ, ან არ შეეძლოთ ევაკუირება (სამხედრო თუ სამოქალაქო პირები, ქალები თუ კაცები, მოხუცები თუ ბავშვები) დახოცეს...

20-იანი წლებიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტაძრებიდან თითქმის მთელი ვერცხლეულობა გაიტანეს, დაკეტეს მონასტრები და ეკლესიები. 30-იანი წლების ბოლოსთვის ყირიმში მხოლოდ ქალაქის სასაფლაოებთან და სოფლებში არსებული ეკლესიებიღა იყო მოქმედი.

ცხადია, მისი პოზიციის გამო აბაშიძეს რუსეთის ახალი მთავრობისაგან კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ, მიუხედავად დაჭინებული თხოვნისა თუ მოთხოვნისა, მან არ დატოვა რუსეთის საზღვრები თეთრგვარდიელებთან ერთად. მიტროპოლიტმა ანტონმა მის საქციელს „თვითმკვლელობა“ უწოდა.

არსებობს მოსაზრება, რომ აბაშიძეზე იზრუნა სტალინმა. ვერსია ლეგენდარულია, მისი დამამტკიცებელი არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. ცნობილია, რომ ძველ ნაცნობობას სტალინისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში — უარყოფითი. სტალინი თავისი რევოლუციური საქმიანობის დასაწყისში ხშირად სტუმრობდა თურმე მემედ აბაშიძეს. 1933 წელს მას საბჭოთა ხელისუფლებამ პერსონალური პენსიაც კი დაუნიშნა და ბათუმში 10-ოთახიანი ბინაც მის ცა. ის ხშირად სტუმრობდა სტალინს კრემლში. მიუხედავად ყველაფრისა, 1937 და მემედი გაუსამართლებლად დახვრიტეს.

1922 წლის 22 ნოემბერს გაიმართა სასამართლო პროცესი. საქმე საეკლესიო საგანძურის გადამალვას ეხებოდა. რევტრიბუნალმა არქიეპისკოპოს დიმიტრის ცოდვებიც გაიხსენა.

ბრალი მას პოპულარობაშიც ედებოდა — იგი მრევლის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

წითლებს ის ტელეგრამაც ჩაუვარდათ ხელთ, რომელიც კოლჩაკის არმიისთვის აბაშიძის ფულად დახმარებას ნათელს ჰფენდა.

ამჯერად, აბაშიძეს ერთი წელი მიუსაჯეს. ის მაშინვე ამნისტირებული იქნა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დააპატიმრეს და „კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისთვის“ დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი დასამტკიცებლად სტალინს გაუგზავნეს. ამ უკანასკნელმა თავადს დახვრეტა დაპატიმრებით შეუცვალა. არავინ იცის, ეს სემინარიელი სოსო ჯუღაშვილის წყალობა იყო, თუ სსრ კავშირის „ფოლადის“ მეთაურის — სტალინისა.

ამ დროს არქიეპისკოპოსი დიმიტრი უკვე ავად იყო. ორი წლის წინათ სისხლდენის შემდეგ ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. ავადმყოფობამ უდროოდ დააბერა. იგი საპყრობილიდან საპყრობილეში გადაჰყავდათ, ბოლოს სიმფეროპოლის ციხის საავადმყოფოში აღმოჩნდა, საიდანაც მან ყირიმის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნა, რომლითაც ცდილობდა, დაერწმუნებინა თავმჯდომარე, რომ იგი არ წარმოადგენდა საფრთხეს მმართველი რეჟიმისათვის. საპრობილეში არქიელმა ორი წელი დაჰყო, დაკარგა მხედველობა. ბრმა არქიეპისკოპოსი 1924 წელს გაათავისუფლეს.

რადგან აბაშიძე ძალიან პოპულარული იყო ყირიმში და მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით სარგებლობდა, ხელისუფლებამ მას საცხოვრებლის არჩევა მისი ეპარქიის გარეთ შესთავაზა. მან კიევი აირჩია, რამეთუ აქ, ისევე როგორც მშობლიურ ივერიაში, ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილი ეგულებოდა.

კიევი იყო მისი სულის ნავსაყუდელი. ციხიდან გამოსულმა ორი წელი იხეტიალა და კიევ-პეჩორის ლავრამდე მიაღწია, სადაც მრავალი დღის განმავლობაში პეჩორის წმ. მამების საფლავებთან ლოცვის შემდეგ სასწაული მოხდა: უფალმა მას ნაწილობრივ დაუბრუნა მხედველობა.

1926 წელს შეიმოსა სქიმით და ეწოდა ანტონი (რუსული ბერობის დამაარსებლის პატივსაცემად) და დაეყუდა ბერად ჩინეთის უდაბნოში. ამ დროს მისი სულიერი შვილი გახდა მეზობელ სენაკში მცხოვრები არქიმანდრიტი ერმოგენი (გოლუბევი), კალუგის მომავალი არქიეპისკოპოსი.

1930 წელს ლავრის დაკეტვის შემდეგ წმ. სქიმოსანი იძულებული გახდა, ამქვეყნიურ ცხოვრებას დაბრუნებოდა — ცხოვრობდა კიევში, მორწმუნეთა ოჯახებში.

გერმანელთა მიერ კიევის ოკუპაციის წლებში კვლავ ლავრის ქვაბულებში გადასახლდა და ლოცვები განაახლა. აქვე გარდაიცვალა 1942 წლის 1 ნოემბერს (ზოგიერთი ცნობით 1943 წელს). კიევში მას მიიჩნევენ განსაკუთრებულ მოღვაწედ, მლოცველად და შორსმჭვრეტ ბრძენად, ცნობილია მისი ლოცვებით განკურნების შემთხვევებიც.

როგორც ბეწვის ხიდზე, ისე გაიარა დავით აბაშიძემ ყველა რეჟიმში, მათ შორის ყველაზე არაადამიანურშიც; გაუძლო ყველა გამოცდას, სრულიად მიენდო უფალს და საკუთარ ტკივილებზე გავლით მიაღწია დიდ სულიერ თავისუფლებას.

მისი ცხოვრებიდან ჩანს, რომ ყველა მმართველი რეჟიმის (ყველაზე კაციჭამია და ყველაზე ლიბერალურისაც კი) დამარცხება შეიძლება, რომლებიც, თუმცა სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც უქმნიან საშიშროებას ყველაზე მთავარს — ადამიანის სულს.

დარეჯან ანდრიაძე

უფალმა დაიბრუნა თავისი სახლი

რა საიდუმლოს მალავს თბილისის მე-9 საავადმყოფო

თბილისელთა უმრავლესობამ, ალბათ, არც იცის, რა საიდუმლოს მალავს ვაკეში მდებარე შენობა, რომელშიც დღეს ქალაქის მეცხრე საავადმყოფოა განთავსებული. აქ საქართველოს გასაბჭოებამდე სასულიერო ქალაქი იყო. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის გუმბათები დღემდეა შემორჩენილი. თავის დროზე კომუნისტებს მხოლოდ ჯვრების მოხსნა გაუბედავთ და ტაძრის მისაჩქმალად უკანა მხრიდან უსახური ნაგებობაც მიუშენებიათ. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და უღმერთოთა მიერ მონდომებით დამალული სიმართლე გაცხადდა. ყველაფერი კი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწყებულა.



საქართველოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, დეკანოზ ეპიფანე ჯაოშვილს დაევალა დღევანდელი საავადმყოფოს ტერიტორიაზე მინების ყიდვა ახალი სასულიერო სემინარიის, ლაზარეთის — შეჭირვებულთა საავადმყოფოს, სამრეკლოსა და სამლოცველოს ასაშენებლად. იმ დროისთვის აქ უკვე იდგა სასულიერო სემინარიის ძველი შენობა და პატარა ეკლესია. სინოდს სწორედ სასულიერო კერის გაფართოება და, როგორც ჩანაწერები იუწყება, „ახალი გელათის“ აშენება განუზრახავს.

პოლონელი არქიტექტორის — ალექსანდრ როგოისკის პროექტით აგებულა რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა. ლაზარეთი რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს დედის, მარია ფიოდოროვნასა და „წითელი ჯვრის“ პატრონაჟით მუშაობდა.

ქვრივი იმპერატრიცა ცოლად გაჰყოლია იმ დროს თბილისის გუბერნატორს, ბრწყინვალე ქართველ თავად შარვაშიძეს და ამიტომაც დიდად ზრუნავდა ქართველებზე. აქვე ყოფილა ბერებისა და მონაზვნების სენაკები. ეზოში ბერ-მონაზვნებისა და მღვდელმთავრების სასაფლაოც იყო.

სასულიერო ქალაქიდან დღემდე შემორჩენილი მხოლოდ სამი შენობა. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით კვლავაც მოქმედებს (პირადად უწმინდესმა არა ერთხელ ჩაატარა აქ წირვა).

მას შემდეგ, რაც ტაძარში წირვა-ლოცვა განახლდა, მრევლმა ეკლესიის დარბაზისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება განიზრახა. უკვე გამოჩნდა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით უნიკალური ფრაგმენტები.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გრანდიოზული მოცულობის ეკლესია პირველი, მეორე და მესამე სართულების დონეებს მოიცავს. სართულებზე განთავსებულია ლოჟები მგალობლების, მეფისნაცვლისა და იმპერატრიცისთვის. სასულიერო ქალაქის მშენებლობა იმდენად სასიხარულო ყოფილა საზოგადოებისთვის, რომ მუშები და ხუროები, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

მაშინდელი პრესა წერს, რომ „მეორე გელათის“ მშენებლობაზე ილია ჭავჭავაძეც კი მისულა.

სემინარიის პრორექტორად და ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი ეპიფანე ჯაოშვილი** დაუნიშნავთ.

1906 წელს იგი ერთ-ერთი ყოფილა თექვსმეტ მღვდელმსახურს შორის, რომელთაც პეტიცია გაუგზავნიათ მეფისნაცვლისთვის საქართველოში სიკვდილით დასჯისა და წამების გაუქმების მოთხოვნით.

ეპიფანე ჯაოშვილს სასულიერო ქალაქში უნიკალური ბიბლიოთეკა დაუარსებია. სტუდენტებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ განათლებული და ჰუმანურობით გამორჩეული პროექტორი, რომელიც არაერთ ამბოხებულ სტუდენტს აფარებდა ხელს. გადმოცემით, ერთი-ორჯერ იოსებ ჯუღაშვილიც გადაურჩენია სემინარიიდან გარიცხვას. როგორც ამბობენ, დეკანოზი ეპიფანე სტალინის საყვარელი მასწავლებელი ყოფილა, მაგრამ ამან მაინც ვერ იხსნა — ბოლშევიკებმა ეპიფანე ჯაოშვილი რამდენჯერმე დააპატიმრეს და სასტიკად აწამეს.

1912 წელს ღვინის პირველ ქარხანასთან სემინარიის რექტორთან ერთად აღმართზე ეტლით მიმავალი დეკანოზი კინაღამ თავდასხმის მსხვერპლი შეიქნა. როგორც ცნობილია, ქართველ სტუდენტებს სძულდათ რეაქციონერი რექტორი ჩუდეცკი და მისი თავიდან მოშორება განიზრახეს. არავინ იცის, სტუდენტის ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა თუ დაქირავებულმა მკვლელმა დაახალა ტყვია რექტორს. ეტლში მჯდომ ეპიფანე ჯაოშვილს მკვლელობამდე ორიოდე წუთით ადრე გაუგონია, როგორ დაიძახა ვიღაცამ, ეტლში ეკონომიც (პრორექტორი) ზის, შორიდან არ ისროლო, ახტი ეტლში და ჩუდეცკის ისე დაახალეო.

ამის შემდეგ, სულ მალე, ეპიფანეს თელავში ფერისცვალების ტაძრის წინამძღვრობაც უბოძეს.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე ბოლშევიკები სასულიერო ქალაქს მიადგნენ, ლაზარეთი ერთხანს საავადმყოფოდ გადააკეთეს, ეკლესია კი დაკეტეს და ეპიფანეს თბილისსა და თელავში საეკლესიო მსახურებაზე ხელის აღება უბრძანეს, მაგრამ ამაოდ. ეკლესიების წინამძღვარი ბოლშევიკების მიერ ჩარაზულ ურდულს ხსნიდა ტაძრის კარს და მრევლთან ერთად ღვთის სადიდებელს აღავლენდა.

შეუპოვარი დეკანოზისთვის ჭკუის სწავლება კომუნისტებმაც დააპირეს და რამდენჯერმე დააპატიმრეს.

„პაპას ცივ, ყინვიან ზამთრის ღამეებში ტუალეტში ამწყვდევდნენ. ეგონათ, გატყდებოდა ტანჯვისგან და დილით უარს იტყოდა მღვდლის სამოსზეც და რწმენაზეც, მაგრამ ამაოდ... ნატანჯ-ნაწამები პაპაჩემი ციხიდან გამოვიდოდა თუ არა, ღამ-ღამობით ურმით დადიოდა აოხრებული ეკლესიების ეზოებში და გადაყრილ და ხანძარს გადარჩენილ ხატებსა და საეკლესიო ნივთებს აგროვებდა, თელავში აჰქონდა და საგანგებოდ გაკეთებულ სამალავში ინახავდა. ერთ დღესაც ავაზაკებივით იარაღით შეცვენილან ტაძარში ღვთისმგმობელნი და ხალხის დასაშინებლად სროლა აუტეხიათ. წარბი არ შეუხრიათ არც ეპიფანესა და არც დიაკვან იოსებს. მოძღვრის სიმამაცით გულმოცემულ მრევლსაც არ მოუცვლია ფეხი. თელავში თურმე დიდხანს იხსენებდნენ, ტყვიების კაკანში როგორ სრულდებოდა წირვა ტაძარში. ნატყვიარებიც რესტავრაციამდე ეტყობოდა ტაძრის კედლებს.

ერთხელაც მორიგი პატიმრობიდან გათავისუფლებული, მაღალი სიცხით გათანგული პაპა პირდაპირ ეკლესიაში მისულა ლოცვის ჩასატარებლად. რას იფიქრებდა, რომ უკანასკნელად აღასრულებდა ვალს ღვთის წინაშე. შინ დაბრუნებისას კიდევ უფრო აუწევია სიცხეს, დამართნია კრუპოზული ანთება, გამოუძახიათ ექიმები. ამ შემთხვევით უსარგებლიათ ბოლშევიკებს, ერთ-ერთი ექიმი დაუყოლიებიათ და იმ უღმერთოსაც ავადმყოფისთვის დახმარების ნაცვლად სტრიქნინი გაუკეთებია და მოუკლავს. ოჯახს პანაშვიდების გამართვისა და ქრისტიანულად დასაფლავების უფლებაც კი არ მისცეს. ოთხმა კაცმა გვიან ღამით აიღო ჩასასვენებელი და ორღობეების გავლით მალულად მიასვენეს სასაფლაოზე... მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოგვეცა საფლავზე ქვის დადების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ტანჯავდნენ, სამდურავი არ დასცდენია. მხოლოდ **ერთხელ უთქვამს, ნეტავი შემეძლოს სტალინისთვის ხმის მიწვდენა, რომ იცოდეს, მის საყვარელ მასწავლებელს როგორ ექცევიანო.** პაპაჩემის გამო მამაჩემი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ხომიზურაშვილიც არ დაინდეს. 1937 წელს ერთ-ერთ ბრალდებად სწორედ ეპიფანე ჯაოშვილის სიძეობა წაუყენეს“, — იხსენებს დეკანოზის შვილიშვილი ეთერ ხომიზურაშვილი.

უცნაურია, წმიდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვრის ბედი ლამის ტაძარმაც გაიზიარა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში უფლის სანთელი ისევ დაინთო, მისი ჩაქრობის საშიშროება რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა.

საავადმყოფოს პერსონალი იმთავითვე მომხრე იყო, ღვთის სახლი ისევ ეკლესიას დაუბრუნებოდა, საავადმყოფოს ნაცვლად კი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში კვლავ ემოქმედა სემინარიასა და ლაზარეთს, სადაც ისევე დაეხმარებოდნენ გაჭირვებულ მოქალაქეებს, როგორც ადრე.

დეა სვანიძე

საბჭოთა კავშირის გმირი

ქართველი, რომელიც გვარდიული არმიის სარდალი გახდა

მეორე მსოფლიო ომში ასეულ ათასობით გაგზავნილ მეომართაგან, რომლებიც მაშინ საქართველოს მთელი მოსახლეობის მეხუთედს შეადგენდნენ, 60-ზე მეტი გენერალი და ადმირალი, 23 ათასი ოფიცერი და მეთაური იყო. ისინი მამაცურად იბრძოდნენ ხმელეთზე, ზღვასა თუ ჰაერში. არსებობს მოსაზრება, რომ გენერალ პეტრე ბაგრატიონის შემდეგ ისეთი გამბედავი, მამაცი და ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე, როგორც პორფილე ჩანჩიბაძე იყო (კ. ლესელიძესთან ერთად), ქართველ ხალხს არ ჰყოლია (მხედველობაში თუ არ მივიღებთ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს — ი.ბ. სტალინს). აღსანიშნავია, რომ სამი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე — პ. ბაგრატიონი, პ. ჩანჩიბაძე და კ. ლესელიძე დაიღუპნენ 50 წლის ასაკამდე, თავიანთი ნიჭისა და ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. არც ერთ მათგანს არ დასცალდა თავის შესაძლებლობათა ზენიტამდე ასვლა, თუმცა, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, სამივემ სამუდამოდ უკვდავყვეს თავიანთი სახელები. პირფილე ჩანჩიბაძის მიერ განვლილი საბრძოლო გზა საინტერესო მაგალითია ქართველი და რუსი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობისა. სიმამაცითა და გაბედულებით პ.ჩანჩიბაძემ უმაღლესი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა. ქართველი მხედართუფროსებიდან იგი მეორე იყო (კ.ლესელიძის შემდეგ), რომელმაც გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება დაიმსახურა.

პორფირე (პარმენ) გიორგის ძე ჩანჩიბაძე დაიბადა 1901 წლის 9 ნოემბერს ოზურგეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზია. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა შემდგომში სახელმოხვეჭილ სარდალ კ. ლესელიძეს; ერთად სწავლობდნენ, ერთად თამაშობდნენ, ერთად დადიოდნენ საბანაოდ.

1921 წელს შეიქმნა „ქართული სამხედრო მეთაურთა კურსები“. პორფილემ, კოტე ლესელიძემ და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდამ მოილაპარაკეს ამ სასწავლებელში შესვლა, რადგან პორფირეს მამას სურდა, მისი შვილი ექიმი გამხდარიყო, შვილმა მხოლოდ დედას გაუმხილა თავისი გადაწყვეტილება და მამის დაუკითხავად თბილისში გაემგზავრა.

აქ ის თავიდანვე მუყაითად შეუდგა სწავლას. სასწავლებლის დასრულების შემდეგ პ. ჩანჩიბაძემ სამსახური დაიწყო პირველ ქართულ მსროლელ დივიზიაში ოცეულის მეთაურად.

1932 წელს პ. ჩანჩიბაძე გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ის ბატალიონს მეთაურობდა წლების მანძილზე. შენაერთს, რომელშიც პორფილე გიორგის ძე მსახურობდა, დავალებული ჰქონდა როგორც სამშენებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო საქმეების შესრულება. პ. ჩანჩიბაძის ბატალიონი სამხედრო ყაზარმებს აშენებდა. 1933 წლის ზამთრის პირი იდგა. პ. ჩანჩიბაძე და მისი ჯარისკაცები ჩქარობდნენ, რათა ბოლომდე მიეყვანათ დაუმთავრებელი ყაზარმების მშენებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში წითელარმიელებს მოყინვის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ სამშენებლო მასალები არ ჰყოფნიდათ და უახლოეს ხანში მისი მიღების შესაძლებლობაც არ ჩანდა. ამის გამო პ. ჩანჩიბაძე ძალიან ღელავდა. მალე იგი იძულებული გახდა ვლადივოსტოკისაკენ მიმავალ მასალებით დატვირთულ ეშელონს იარაღით ხელში გადადგომოდა და გაეჩერებინა. შემდეგ გამოიძახა თავისი ჯარისკაცები და გადმოატვირთვინა ერთი ვაგონი მასალა. მემანქანეს კი, პასუხისგებაში რომ არ მიეცათ, შეუდგინა აქტი და მოუწერა ხელი. თვითონ მაშინვე გამოცხადდა დივიზიის მეთაურ ანუფრიევთან და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. დივიზიის მეთაურმა უთხრა: „ამხანაგო ჩანჩიბაძე, ხომ იცოდით, რაც მოგელოდათ ამისათვის და რად იღუპავდით თავსო“. პორფილემ ასეთი პასუხი გასცა: „ჩემი თავის დაღუპვა მირჩევნია მთელი ათასეულის მოყინვასო“. ამ სიტყვებმა მას სასჯელი შეუმსუბუქა და პირად საქმეში შეტანით საყვედური გამოუცხადეს.

გავიდა დრო, შორეულ აღმოსავლეთში მყოფმა ანუფრიევის დივიზიამ დაამთავრა მშენებლობა. შედგა კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა შესრულების ხარისხი. კომისიის გადაწყვეტილებით, დივიზიაში პირველი ადგილი პ. ჩანჩიბაძის ბატალიონს მიეკუთვნა, რისთვისაც პორფილე გიორგის ძეს პირად საქ-

მეში შეტანით მადლობა გამოუცხადეს და ჯილდოც მისცეს. ამაზე პ. ჩანჩიბაძემ განაცხადა: „ამისათვის შემიტანეთ პირად საქმეში საყვედური და ახლა კი მადლობას მიცხადებთო?!“. ასეთი გამბედაობისა და შეუპოვრობის გამო იყო, რომ ახლობლები და მეგობრები მას „შორეული აღმოსავლეთის ყაჩაღს“ ეძახდნენ.

1936 წელს პ. ჩანჩიბაძემ დაგვიანებით შეიტყო მამის გარდაცვალება. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მეუღლესთან ერთად ჩავიდა მახარაძეში, მოინახულა მშობელი დედა, და-ძმები, მამის საფლავი და ახლობლები.

პ. ჩანჩიბაძის შორეულ აღმოსავლეთში სამსახურის პერიოდი დაემთხვა საერთაშორისო მდგომარეობის უკიდურეს დაძაბულობას. საშიში ვითარება იქმნებოდა შორეულ აღმოსავლეთშიც. დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რათა იმპერიალისტური იაპონია წაექეზებინათ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის.

მრავალგზის საომარი პროვოკაციის და კონფლიქტის შემდეგ იაპონიის მხედრიონმა 1938 წლის ივნისში შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო საბჭოთა ტერიტორიაზე ხასანის ტბის რაიონში.

იაპონელებმა შეძლეს დაეპყროთ ეს სიმაღლეები. პოლკმა, რომელშიც ბატალიონის მეთაურად იყო პ. ჩანჩიბაძე, მიიღო ბრძანება — სასწრაფოდ დაძრულიყო მტრის წინააღმდეგ. პ. ჩანჩიბაძის ბატალიონი მარშით დაიძრა მტრის შესამუსრად, მას დანარჩენი ნაწილებიც მიჰყვნენ. კაპიტან პ. ჩანჩიბაძის ბატალიონმა მუსრი გაავლო სამურაებს. მტრისაგან გაიწმინდა ზაოზერნაიასა და ბეზიმიანაიას მაღლობები. პორფილე გიორგის ძის საბრძოლო ნათლობა წარმატებით დაიწყო.

იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მამაცობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კაპიტანი პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძე დაჯილდოვდა **წითელი ვარსკვლავის ორდენით. ეს იყო პირველი საბრძოლო ორდენი მის მკერდზე.**

1939 წელს პ. ჩანჩიბაძე მოტომსროლელი პოლკის მეთაურად დანიშნეს და მალე პოლკოვნიკის სამხედრო წოდებაც მიიღო. ამის შემდეგ ის მოსკოვში გაგზავნეს სასწავლებლად. 1940 წელს მან დაამთავრა მ.ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის „ვისტრელის“ კურსები.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინ პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძეს — 40 წლის მეთაურს ოცწლიანი სამხედრო სამსახურის კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი.

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ (ივლისში) პოლკოვნიკი პ. ჩანჩიბაძე დაინიშნა 107-ე მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად. **სამამულო ომის ფრონტებზე გაწვეულ ქართველი ხალხის შვილთაგან პ. ჩანჩიბაძე პირველი იყო, რომელსაც დივიზიის მეთაურობა ხვდა წილად თითქმის ომის დაწყების პირველსავე დღეებიდანვე.**

პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით 107-ე მოტომსროლელი დივიზიის მიერ 1941 წლის ივლის-აგვისტოში ქ. ბელისა და კრაპივნია-მიხაილოვშჩინის რაიონებში გერმანელ ფაშისტთა დამარცხებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლების შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა გერმანელთა მე-20 სატანკო „პანტერის“ დივიზია, ხოლო მტრის ქვეითმა 106-ე დივიზიამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. **ეს იყო პირველი დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება შენაერთისა, რომელმაც სათავე დაუდო დივიზიის შესანიშნავი საბრძოლო ტრადიციებს.**

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ წარმატებითმა ბრძოლებმა მოქანცა დივიზია. საჭირო გახდა ბრძოლიდან მისი დროებით გამოყვანა, რათა დივიზიის პირად შემადგენლობას მისცემოდა დასვენების საშუალება, ხოლო მწყობრიდან გამოსული საბრძოლო ტექნიკა გამართულიყო.

ამ მიზნით, დასავლეთის ფრონტის სარდლის ბრძანებით, 1941 წლის 31 აგვისტოდან 107-ე მოტომსროლელი დივიზია გადავიდა ფრონტის რეზერვში და დაიკავა თავდაცვა ქ. ბელის რაიონში. აქვე მიიღო დივიზიამ შევსება პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის მხრივ.

1941 წლის 2 ოქტომბერს პ. ჩანჩიბაძემ 30-ე არმიის სარდლისაგან მიიღო ბრძანება: 107-ე მოტომსროლელ დივიზიას ბელის რაიონიდან უნდა დაეწყო შეტევა.

ჩანჩიბაძელთა წინააღმდეგ ოთხი დღის განმავლობაში წარმოებული შეტევითი ბრძოლების შედეგად მტერმა დაკარგა: 150 ტანკი, 16 ჯავშნიანი და 70 ავტომანქანა, 54 მოტოციკლეტი, 22 ქვემეი, 18 საზენიტო ქვემეხი, 30 ტყვიამფრქვევი, 14 ნაღმსატყორცნი, 4 თვითმფრინავი და 500-მდე ჯარისკაცი.

შენაერთის პირადი შემადგენლობა გმირულად ებრძოდა რიცხობრივად ჭარბ მოწინააღმდეგეს. 107-ე მსდ-იის შემადგენლობაში მყოფმა 118-ე საარტილერიო პოლკმა ქვემეხების ცეცხლით გაანადგურა მოწინააღმდეგის 46 ტანკი, 4 ჯავშნოსანი, 8 ნაღმსატყორცნი და 2 ქვემეხი.

დიდი დანაკარგების მიუხედავად, მოწინააღმდეგე შეტევას განაგრძობდა და ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა, გაერღვია 107-ე მოტომსროლელი დივიზიის თავდაცვა, მაგრამ პირდაპირი იერიშებით ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინ გერმანელებმა ხერხს მიმართეს და თანაც თავიანთი რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს. მტერმა მთელ ფრონტზე შეტევასთან ერთად ჭარბი ძალების ნაწილი მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე გადაისროლა. პ. ჩანჩიბაძის 107-ე მოტომსროლელი დივიზია ალყაში მოექცა და მას სრული განადგურების სიფრთხილე შეექმნა. დადგა ისეთი კრიტიკული მომენტი, რომელიც არც პ. ჩანჩიბაძესა და არც მის მებრძოლებს აქამდე არასოდეს არ შეხვედრია.

ხსნის ერთადერთი იმედი დივიზიის მეთაურისა და მთელი პირადი შემადგენლობის მამაცობა და ოპტიმისტური განწყობილება იყო, რომელსაც შეეძლო პირველსავე ბრძოლებში საკმაოდ სახელმოხვეჭილი, ახლა კი ალყაშემორტყმული, დივიზიის გადარჩენა. თუკი ეს მოხდებოდა, დივიზიის პირადი შემადგენლობაც და მისი მეთაურიც ლეგენდარული სახელით შეიმოსებოდა.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ 1941 წლის ოქტომბერში ალყაში მოექცა 50-ე არმია, არმიის სარდალი გენერალ-მაიორი მ. პეტროვი და არმიის არტილერიის უფროსი, პ. ჩანჩიბაძის სკოლისა და სამხედრო სასწავლებლების განუყრელი მეგობარი კ. ლესელიძე. **განგებამ ერთნაირი ბედი არგუნა ორთავეს და მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა ისინი. მაგრამ ოქტომბრის თვე მარტო უმკაცრესი გამოცდისა და ხიფათიანი კი არ აღმოჩნდა, არამედ ბედნიერიც. მეგობრებმა შეძლეს სხვადასხვა არმიების შემადგენლობაში თითქმის ერთსა და იმავე დროს ცხარე ბრძოლებით გაერღვიათ მტრის რკალი და**

უვნებელი გამოეყვანათ ათიათასობით წითელარმიელი და გადაერჩინათ საბრძოლო ტექნიკა.

მტრის გარემოცვაში მყოფმა 107-ე მოტომსროლელმა დივიზიამ დაიწყო უთანასწორო ბრძოლები.

დივიზიამ პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით ალყიდან გამოსვლის დროს ფეხით გაიარა 400 კილომეტრი სმოლენსკის, კალინინისა და მოსკოვის ოლქის ტერიტორიები და 31 ოქტომბერს საბოლოოდ დააღწია თავი მტრის გარემოცვას ქ. კლინის რაიონში. ამასთანავე შეინარჩუნა პირადი შემადგენლობა და შეიარაღება.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის — მოსკოვის აღება ჰიტლერელთა სარდლობამ საგულგადუგლოდ მოამზადა (მისი კოდური სახელწოდება იყო „ტაიფუნი"). მოსკოვის დაპყრობას, მტრის ვარაუდით, მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირთან ომის დასასრული. მოსკოვისათვის ბრძოლა რთული საბრძოლო კომპლექსისაგან შედგებოდა, იგი 1941 წლის შემოდგომიდან 1941-1942 წლის ზამთრის პერიოდში მიმდინარეობდა უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამ გრანდიოზულ ბრძოლაში ორთავე მხრიდან მონაწილეობდა ორ მილიონზე მეტი კაცი, დაახლოებით 2,5 ათასი ტანკი, 1,8 ათასი თვითმფრინავი და 25 ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.

მოსკოვისათვის ბრძოლები 2 პერიოდად იყოფა — თავდაცვითი და შეტევითი. თავდაცვითი პერიოდი მოიცავს 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერს.

1941 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში სამი საბჭოთა ფრონტის გერმანელ ფაშისტებზე კონტრშეტევით იწყება მოსკოვისათვის ბრძოლის შეტევითი პერიოდი.

მტერზე შეტევის პროცესში ოპერატიული წარმატების განვითარებისათვის 30-ე არმიაში შეიქმნა მოძრავი ჯგუფი 107-ე მსდ-ისა და 82-ე ცხენოსანთა შემადგენლობით. 82-ე ცხენოსანთა დივიზიაში ბევრი ბაშკირელი იყო. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა მაიორ სავჩენკოს 145-ე ცალკე სატანკო ბატალიონი. ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა პოლკოვნიკ პ.გ. ჩანჩიბაძეს.

პ. ჩანჩიბაძის დანიშვნა 30-ე არმიის მოძრავი ჯგუფის სარდლად მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტია. პ. ჩანჩიბაძეს სარდლობა უნდა გაეწია საკმაოდ მსხვილი საჯარო შენაერთისათვის, რომელიც ორ დივიზიას აღემატებოდა. მამაც ქართველ მეთაურს, რომელსაც მაშინ პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა, დაუქვემდებარეს შემადგენლობით სხვადასხვა სახეობის შენაერთები — საკავალერიო და მოტომსროლელი დივიზია (ცალკე სატანკო ბატალიონით). მართალია, პორფილე გიორგის ძე ბრძოლებში უკვე საკმაოდ გამოცდილი და სახელმოხვეჭილი დივიზიის მეთაური იყო და, გადახდილი ბრძოლების თვალსაზრისით, ტაქტიკურად მდიდარი არსენალი ჰქონდა, მაგრამ ახლა მას საკავალერიო შენაერთის ბრძოლის ტაქტიკის ცოდნაც სჭირდებოდა და მისი შეხამებაც — მოტომსროლელი დივიზიის საბრძოლო დავალება მისცა პ. ჩანჩიბაძეს. მოძრავი ჯგუფის საბრძოლო წარმატებები მტერზე შემოვლითი მანევრითა და შეტევით აუცილებელი პირობა იყო 30-ე საერთო-საჯარისო არმიის საბრძოლო ოპერაციების წარმატებით განხორციელებისათვის. **წითელი არმიის კონტრშეტევაზე გადასვლის მომენტისათვის მოსკოვთან არც ერთ ქართველ მეთაურს ასეთი საპასუხისმგებლო საბრძოლო დავალება არ ჰქონია როგორც პ. ჩანჩიბაძეს. აღნიშნული საბრძოლო დავალების შესრულების ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მოძრავ ჯგუფს, რომელიც ფაქტიურად არმიის ავანგარდის როლში გამოდიოდა, წინ უძღოდა ნიჭიერი მეთაური თუ პ. ჩანჩიბაძე.**

ახლოვდებოდა მოსკოვთან საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის დრო. ფრონტისა და არმიის სარდლები, კორპუსისა და დივიზიის მეთაურები საბოლოოდ ამოწმებდნენ და აზუსტებდნენ ყველა „წვრილმანს". იმის გამო, რომ 30-ე არმიას 5-6 დასვენებული დივიზია ურალიდან და ციმბირიდან ჯერ კიდევ არ მიეღო, ხოლო გერმანელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ ტანკებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის მხრივ, არმიის სარდალი, გენერალი დ. ლელუშენკო მოსალოდნელი შეტევის წარუმატებლობის ეჭვებმა შეიპყრო. ამის თაობაზე მან მიმართა დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ვ.დ. სოკოლოვსკის და რჩევა ჰკითხა კონტრშეტევის გადადების თაობაზე.

არმიის სამხედრო საბჭოზე პ. ჩანჩიბაძე დაჟინებით მოითხოვდა კონტრშეტევაზე გადასვლას, რაც სავსებით სწორი აღმოჩნდა.

1941 წლის 8 დეკემბერს პ. ჩანჩიბაძემ 30-ე არმიის სარდლობისგან ბრძანება მიიღო, გადასულიყო ხაზაროვის რაიონში, სადაც უნდა ემოქმედა ტერიაევა-სლობოდას მიმართულებით. აქ მოპოვებულ საბრძოლო წარმატებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩანჩიბაძემ აიძულა მტერი, ხელი აეღო კლინთან წინააღმდეგობის გაწევაზე. მტერს მოესპო უკან — დასავლეთისაკენ დასახევი გზა.

1941 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა კავშირის საინფორმაციო ბიურომ ქვეყანას მეტად სასიხარულო ამბავი ამცნო — გარმანელებისაგან მოსკოვის აღების გეგმის ჩაფუშვა.

მტრის განადგურების დაუოკებელი სურვილი, გამბედაობა, სიმტკიცე და მამაცობა, შენაერთის უნარიანი ხელმძღვანელობა იმის საფუძველი გახდა, რომ პ. ჩანჩიბაძეს „ქართველი ჩაპაევი" შეარქვეს.

დიდ სამამულო ომში მონაწილე მეთაურთაგან ცოტანი იყვნენ ისეთები, რომელთა განკარგულებაში მყოფ ნაწილებსა და შენაერთებს წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის პერიოდში გვარდიული სახელწოდებისთვის მიეღწიოს. ქართველ მეთაურთაგან პ. ჩანჩიბაძე პირველი იყო, რომლის შენაერთმაც „გვარდიის" საპატიო სახელწოდება მოიპოვა.

1942 წელს პ. ჩანჩიბაძე ორი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. ამავე წელს გენერალ-მაიორის წოდებაც მიენიჭა. ფაშისტური ავიაცია ბომბავდა არტემოვოს, ანდროსოვოსა და კაზულინოს.

მოსკოვ-მინსკის ავტომაგისტრალისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების პერიოდში მოწინააღმდეგეს საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა.

მიუხედავად ძალთა ასეთი თანაფარდობისა, პ. ჩანჩიბაძის გვარდიული შენაერთის მეომრები დიდ ზიანს აყენებდნენ ფაშისტებს და აიძულებდნენ, ხელი აეღოთ ავტომაგისტრალის დაპყრობაზე. თითქმის ორთვენახევრის განმავლობაში იცავდა პ. ჩანჩიბაძის დივიზია უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო გზას — მოსკოვ-მინსკის ავტომაგისტრალს და ცოცხალი ძალისა თუ საბრძოლო

ტექნიკის მხრივ, უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგეს მისი გამოყენების საშუალებას არ აძლევდა. მტრის ღრმა ზურგში მყოფი პ. ჩანჩიბაძის დივიზია მოწყვეტილი იყო წითელი არმიის ძირითად ნაწილებს და განიცდიდა სურსათისა და საბრძოლო მასალის მწვავე ნაკლებობას. ადგილობრივი მოსახლეობიდან დახმარება და ღამღამობით პარაშუტებით ჩამოყრილი სურსათი თუ საბრძოლო მასალები იყო მთავარი საშუალება, რომლითაც დივიზიის მებრძოლები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, რადგანაც იმ მომენტში სხვა უკეთესი გამოსავალი მათი უზრუნველყოფისათვის არ არსებობდა.

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი პ. ჩანჩიბაძე (შუაში)

პ. ჩანჩიბაძის მეთაურობით მე-2 გვარდიულმა მს დივიზიამ გერმანელ ფაშისტებს გადაუჭრა მოსკოვ-მინსკის მაგისტრალი და მოუსპო მტერს მისი გამოყენების შესაძლებლობა.

ქ. რჟევისათვის ბრძოლაში გენერალ ჩანჩიბაძის მებრძოლებმა გაათავისუფლეს 8 დასახლებული პუნქტი.

1942 წლის 13 ოქტომბრიდან გვარდიის მე-2 მოტომსროლელი დივიზია წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის რეზერვშია და რკინიგზით გადაისროლეს რიაზანის ოლქში, სადაც დაიწყო მისი დაკომპლექტება. პ. ჩანჩიბაძეს წილად ხვდა, სტალინგრადის დიადი ისტორიული ბრძოლების დროს ჩვეული ენერგიითა და მამაცობით გასძღოლოდა უფრო მსხვილ საჯარისო შენაერთს — მე-13 გვარდიულ მსროლელ კორპუსს. სწორედ, უშუალოდ სტალინგრადთან ბრძოლების დაწყების წინ დატოვა მან დივიზიის მეთაურის პოსტი. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში მეთაურობდა პორფილე გიორგის ძე მოტომსროლელ დივიზიას. ამ ხნის მანძილზე შენაერთმა მისი მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. პ. ჩანჩიბაძის შენაერთის საბრძოლო დამსახურებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მისი დივიზია რიგით მეორე იყო, რომელიც გვარდიულის საპატიო სახელით შეიმოსა. დაუვიწყარია პ. ჩანჩიბაძის ღრმა რეიდი მტრის ზურგში, რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა მკაცრ ზამთარში ტექნიკის გარეშე, პარტიზანებთან კავშირის დამყარება, გმირული ბრძოლები მოსკოვ-მინსკის ავტომაგისტრალის დაცვისათვის, ბრძოლები რჟევისათვის და სხვ. ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილთაგან არც ერთს ისეთი დიდი საბრძოლო წარმატებისა და დამსახურებისათვის არ მიუღწევია გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორსაც მიაღწია პ. ჩანჩიბაძემ. სწორედ დიდი სამამულო ომის წლებში იწყო გაფურჩქვნა პორფილე გიორგის ძის სამხედრო ნიჭმა, რომელიც შემდგომ ბრძოლებში მეტი სიკაშკაშით გამობრწყინდა.

რთული ამოცანა ჰქონდათ დასახული ჩანჩიბაძის გვარდიელებს. მათ უგზოობაში, უამინდობაშში, 20-30 გრადუს ყინვაში უნდა გაევლოთ 200 კმ მანძილი. თეთრ ხალათებში გადაცმული, მხარზე ავტომატგადაკიდებული გვარდიელები შეუჩერებლად მიიწევდნენ დღისით და ღამით. უახლესი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი მეომრები გვარდიულ პოლკებად მიეშურებოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის. მათ შეძლეს ნაბრძანები თავდაცვითი ზღუდეების დაკავება და მტრის წინსვლის შეჩერება. ჰიტლერელებმა დიდი ზანალი განიცადეს. ამის შემდეგ ბრძოლები მდინარე აქსაისთან გადავიდა. მოწინააღმდეგემ ვერ შეაჩერა წითელარმიელთა წინსვლა.

1942 წლის 29 დეკემბერს გენ. ჩანჩიბაძის კორპუსი კარაჩაევ, პიშენსა და ჩერნეს საზღვარზე გადავიდა. 31 დეკემბრის ღამით კორპუსმა მთლიანად გაწმინდა ფაშისტებისაგან ვერხნი-ვასილიევკა და კომისაროვსკი. 1943 წლის 1 იანვარს წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს დუბოვსკოე და განაგრძეს წინსვლა დასავლეთის მიმართულებით. ამ მეტად მძიმე ბრძოლებში გენერალს არ დაუკარგავს მხნეობა. ეს დაუშრეტელი ენერგიის კაცი, რომელიც თითქმის არასოდეს ისვენებდა, ყველას აცვიფრებდა. ღრმად არასოდეს იძინებდა, ადგენდა და აზუსტებდა გეგმებს, ანგარიშობდა ყოველ წვრილმანს. ეძინა 3-4 საათით; ზოგჯერ, როცა განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო, ბატონ პორფირეს საერთოდ არ მოუხუჭავს თურმე თვალი რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში.

1943 წლის 25 სექტემბერს ჩანჩიბაძეს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა. ამის შემდეგ იყო ოპერაცია ხერსონის ხიდწინა პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ვჩერიშნეს ტბის რაიონში, შემდეგ ყირიმის დასავლეთის დაჯგუფების ლიკვიდაცია.

1944 წლის 14 აგვისტოს გერმანელებმა მეორედ გააფთრებით შეუტიეს პ. ჩანჩიბაძის არმიის მარცხენა ფლანგს, ხოლო ერთი დღის შემდეგ მტერმა 115 კმ-ის მანძილზე — არმიის მოქმედების მთელ ფრონტზე გააჩაღა ბრძოლები.

აგვისტოს ბრძოლებში პ. ჩანჩიბაძის გვარდიელებმა გაანადგურეს 6170 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 268 ტანკი, 38 ქვემეხი, ამასთანავე, მწყობრიდან გამოიყვანეს 392 ტანკი.

აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარს მე-2 გვარდიული არმიის გარღვევის უბანზე კეტავდა ხუთი ძლიერი თავდაცვითი ზოლი, ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ისეთი პოზიციებით, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, ძლიერ გამაგრებულ თავდაცვის ზონას წარმოადგენდა.

1944 წლის 24 სექტემბერს ბალტიისპირეთის I ფრონტის ხელმძღვანელობამ მიიღო უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივა, რომლის შესაბამისადაც მთავარი დარტყმა რიგის მიმართულებიდან მემელზე უნდა გადატანილიყო. ფრონტის სარდლობისაგან მიღებული საბრძოლო ამოცანის შესაბამისად გენერალმა პ. ჩანჩიბაძემ ბრძანა: მე-2 გვარდიული არმია გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყო, გაერღვია გერმანელთა თავდაცვა კელმის მიმართულებით, რომელიც მტრის თავდაცვის მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა და იცავდა გასასვლელს ბალტიის ზღვისა და აღმოსავლეთ პრუსიისაკენ; მიზანსწრაფული გვარდიული დარტყმით უკუეგდო მტერი და მისი თავდაცვა გაერღვიათ მთელ სიღრმეზე; დაენაწევრებინათ მტერი, მოექციათ ალყაში და გაენადგურებინათ მისი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა; ბალტიისპირეთიდან ცოცხლად არ გაეშვათ არც ერთი ფაშისტი დამპყრობელი. 1944 წლის 5 ოქტომბერს, 10 საათსა და 40 წუთზე მიცემულ იქნა საარტილერიო მომზადების დაწყების ნიშანი. ზუსტად 11 საათზე მოწინააღმდეგე სამწუთიანი ცეცხლის შემდეგ ჩვენი სადაზვერვო ბატალიონი გადავიდა შეტევაზე. სწრაფი შეტევით ქვეითებმა დაიკავეს მტრის ტრანშეის I წყება.

წითელარმიელებმა თავზარი დასცეს ფაშისტებს. ისინი ტოვებდნენ იარაღს, საბრძოლო ტექნიკას და გარბოდნენ. გვარდიელთაგან დატყვევებულმა ფაშისტებმა განაცხადეს: „არტილერიის ცეცხლი ისე ზუსტი იყო, რომ ჩვენი ოფიცერთა შემადგენლობა განცვიფრდა, ხოლო ჯარისკაცთა ნაწილმა დაყარა იარაღი და გაიქცა ზურგში“.

ჩვენმა სადაზვერვო ჯგუფებმა ისარგებლეს მტრის რიგებში შექმნილი პანიკით და, მიუხედავად მათი საცეცხლე წინააღმდეგობისა, სწრაფად წაიწიეს წინ და შეიჭრნენ მეორე ტრანშეიში. გადამწყვეტი და მამაცური მოქმედებით სადაზვერვო ბატალიონმა აიძულა გერმანელები, უწესრიგოდ დაეხიათ უკან — დასავლეთის მიმართულებით. 6 ოქტომბერს აიღეს ქალაქი კელმი.

პ. ჩანჩიბაძის არმიის ნაწილებმა მომდევნო დღეებში დაიკავეს 90-მდე დასახელებული პუნქტი და მიადგნენ მოწინააღმდეგის დარკემენის თავდაცვით სიმაგრეებს.

დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე დღეებიღა რჩებოდა. ძლევამოსილი წითელი არმია ამ მომენტისათვის უკვე მეორე დღე იყო, რაც ბერლინის იერიშს აწარმოებდა. აღმოსავლეთ პრუსიაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე მოქმედმა საბჭოთა ჯარების დაჯგუფებამ რაიხსტაგის შენობაზე წითელი დროშის აფრიალებამდე დაამთავრა ბრძოლები ნაცისტური ვერმახტის ნაწილების გასანადგურებლად. ამაში, ისე, როგორც მომავალ მნიშვნელოვან საბრძოლო-ოპერაციებში, დიდი წვლილი შეიტანა გენერალ-ლეიტენანტ პ. ჩანჩიბაძის სახელოვანმა მე-2 გვარდიულმა არმიამ. 1945 წლის 13-დან 17 აპრილის განმავლობაში გერმანელების ზემლანდის დაჯგუფებათა ჯარების განადგურებისათვის წარმოებულ კამპანიაში ჩანჩიბაძელებმა გაარღვიეს თავდაცვის სამი ძლიერ გამაგრებული ზოლი და რამდენიმე შუალედური ზონა, ბრძოლებით გაიარეს 33 კმ და მთლიანად გაანადგურეს ფაშისტთა 551-ე ქვეითი დივიზია, 95-ე ქვეითი დივიზია, 50%-ით განადგურდა: 32-ე ქვეითი დივიზია, 93-ე ქვეითი დივიზია და 30-ზე მეტი ცალკე სპეციალური ბატალიონი და ნაწილი.

ზემანდის ნახევარკუნძულის ოპერაციაში გენერალ-ლეიტენანტ პ. ჩანჩიბაძის მე-2 გვარდიულმა არმიამ წარმატებითი საბრძოლო მოქმედებით დაიპყრო 335 კვ. კმ ფართობის ტერიტორია და გაათავისუფლა 228 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ისეთი მსხვილი ცენტრები, როგორიცაა: ნოიკურენი, რაუშენი, გეორგენსვალდე, გროსს კურენი, გროსს გერშკაიმი, გროსს ჰუბნიკენი, კრაკსტეპელენი, ტალმნიკენი, გერმაუ და ფიშხაუზენი.

ზემლანდის ნახევარკუნძულისათვის წარმოებული ბრძოლების პერიოდში მე-2 გვარდიულმა არმიამ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენა როგორც ცოცხალი ძალის, ისე საბრძოლო ტექნიკის მხრივ. კერძოდ, ჩანჩიბაძელებმა გაანადგურეს მტრის 16802 ჯარისკაცი და ოფიცერი, 473 ცხენი, 3557 შაშხანა, 1938 ავტომატი, 905 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 346 დაზგისა და 31 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 181 ნაღმსატყორცნი, 468 ქვემეხი, 19 ტანკი, 9 თვითმავალი ქვემეხი, 14 ჯავშნოსანი მანქანა, 918 სატვირთო ავტომანქანა, 2 ტრაქტორი, 11 ჯავშანტრანსპორტიორი, 124 მოტოციკლეტი, 1266 ველოსიპედი და 2 რადიოსადგური. ამასთან ერთად, ჩანჩიბაძელებმა დაატყვევეს 19565 ფაშისტი და ხელთ იგდეს: 134 ცხენი, 26316 შაშხანა, 3720 ავტომატი, 1752 მსუბუქი და 316 დაზგისტყვიამფრქვევი, 1274 ნაღმსატყორცნი, 307 ქვემეხი, 39 საზენიტო ქვემეხი, 43 თვითმფრინავი, 49 ტანკი, 18 თვითმავალი ქვემეხი, 80 ჯავშნიანი ავტომობილი, 5325 სატვირთო ავტომანქანა, 47 ტრაქტორი, 75 სპეციალური ავტომანქანა, 12 ჯავშანტრანსპორტიორი, 479 მოტოციკლეტი, 6272 ველოსიპედი, 240 ოთხთვალა, 48 რადიოსადგური, 20800 ჭურვი, 270 ნაღმი, 160000 ვაზნა, 50 ორთქლმავალი, 1035 ვაგონი, 1 ხომალდი, 15 კარპაჭი, 14 საბრძოლო მასალის და 79 სხვადასხვა საწყობი.

გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, პირადი მამაცობისა და გმირობისათვის მე-2 გვარდიული არმიის სარდალს, გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძეს 1945 წლის 19 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

44 წლის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი, არმიის სარდალი პ. ჩანჩიბაძე მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის გმირი გახდა. დიდი სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს წარგზავნილთაგან ასეთი მაღალი რანგის სამხედრო თანამდებობაზე მყოფთაგან არავის დაუმსახურებია საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. **აღსანიშნავია, რომ ქართველებიდან გვარდიული არმიის სარდლობამდე ვერავინ მიაღწია პ. ჩანჩიბაძის გარდა.** ის რჩეული იყო რჩეულთა შორის, როგორც გენერალი და როგორც მოქალაქე. მას ჰქონდა უსაზღვრო რწმენა საკუთარი თავისა და ძალებისადმი. პორფილე გიორგის ძე პატივს სცემდა და სიყვა-

პ. ჩანჩიბაძე ათვალიერებს საბრძოლო ტექნიკას

რულით იხსენიებდა თავის ჯარისკაცებს: „უკვე ტყავი გავაძვრეთ პრუსიელებს. ვენაცვალე ჩემს გვარდიელებს, ორი-სამი დღის ამოცანას ერთ დღეში ასრულებდნენ“, — სიამაყით ამბობდა ის.

გენერალ-ლეიტენანტი პ. ჩანჩიბაძე და მისი სახელოვანი გვარდიელები აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლების დროს ეკრანზე გადაიღო გ. ასათიანმა. ისე, როგორც პირველ დოკუმენტში ფილმში სევასტოპოლის განთავისუფლების დროს, აქაც მრავალი დაუვიწყარი კადრია ისეთი, რომელიც სამუდამოდ რჩება მნახველთა მეხსიერებაში. ამ დოკუმენტურ ფილმს ჰქვია „გენერალ-ლეიტენანტ პ. ჩანჩიბაძის გვარდიელები სამამულო ომის უკანასკნელ ბრძოლებში“.

აღმოსავლეთ პრუსიაში მყოფი პ. ჩანჩიბაძე თავის თანამებრძოლებთან ერთად დიდი სიხარულით შეხვდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის — ი.ბ. სტალინის გადაწყვეტილებით 1945 წლის 24 ივნისისათვის მოსკოვში წითელ მოედანზე დაინიშნა გამარჯვების პარადი, რომლის სარდლობაც დაევალა მარშალ გ. ჟუკოვს.

მეორე დღეს, 25 ივნისს, საბჭოთა მთავრობამ კრემლში გამარჯვების პარადის მონაწილეთა პატივსაცემად ბანკეტი მოაწყო.

როდესაც პორფილე გიორგის ძის სადღეგრძელო შეისვა, ეს უკანასკნელი ი.ბ. სტალინთან მივიდა ჭიქით ხელში. მათ ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს. ი. სტალინმა პ. ჩანჩიბაძის სადღეგრძელო ქართულად წარმოთქვა. პორფილე გიორგის ძემ, თავის მხრივ, უმაღლესი მთავარსარდალი ადღეგრძელა, რასაც ი. სტალინი არ დაეთანხმა: ჩემი კი არა, თქვენი სადღეგრძელო უნდა შევსვათო.

1945 წლის 2 ივლისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საბჭოთა კავშირის გმირ გენერალ-ლეიტენანტ პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძეს გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა. დიდ სამამულო ომში მონაწილე ქართველი მხედართუფროსებიდან **პ. ჩანჩიბაძე მეორე იყო კ. ლესელიძის შემდეგ, რომელმაც გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება დაიმსახურა.**

ომის პერიოდში მეტისმეტად დაძაბულმა მუშაობამ, დღენიადაგ მოწინააღმდეგის განადგურების ფიქრმა, სამშობლოს განთავისუფლების დაუოკებელმა სურვილმა, ხშირმა უძილობამ, ახლო მეგობრებისა და თანამებრძოლების დაღუპვამ უზღვავი ენერგიის მქონე მოუღლელი პ. ჩანჩიბაძეც გატეხა. ჯერ კიდევ 1943 წელს იჩინა თავი მისმა ავადმყოფობამ, რომელიც მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა. თავის ჯანმრთელობაზე პ. ჩანჩიბაძე ნაკლებად ზრუნავდა. რაც უფრო უარესდებოდა პორფილე გიორგის ძის ჯანმრთელობა, მით უფრო მეტს ფიქრობდა ის თავის შვილებზე — მიშასა და მარინაზე...

1950 წლის თებერვალში მძიმედ დაავადებული პ. ჩანჩიბაძე კრემლის საავადმყოფოში მოათავსეს. აქ მოინახულა ის უფროსმა ძმამ ბარნაბამ. ამან დადებითად იმოქმედა ავადმყოფზე, მან მოიხედა, უკეთესად იგრძნო თავი, მდგომარეობა საიმედო ჩანდა. ბარნაბა გულში იმედის სხივ-ჩამდგარი ბრუნდებოდა გურიაში. სრულიად უცნობი მძღოლი სატვირთო ავტომანქანით მოაქროლებდა ძმის ავადმყოფობით დაფიქრებულ ბარნაბას. რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ მძღოლი თანამგზავრს გამოელაპარაკა: „გაიგე, წუხელ რომ გადმოსცა რადიომ საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის გარდაცვალება?“ მგზავრმა გონება დაკარგა... რა თქმა უნდა, მძღოლმა არ იცოდა, რომ მისი თანამგზავრი გარდაცვლილი გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის ძმა იყო.

1950 წლის 14 მარტს 48 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძე გარდაიცვალა.

1950 წლის 17 მარტს საბჭოთა ხალხი სამუდამოდ გამოეთხოვა პ. ჩანჩიბაძეს და მისი ცხედარი მოსკოვის წმინდა მიწას მიაბარა ნოვოდევიჩის პანთეონში.

სამშობლომ დიდად დააფასა ნიჭიერი მხედართუფროსის დამსახურება და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დააჯილდოვა ორი ლენინის ორდენით, სუვოროვის I და II ხარისხის, ბოგდან ხმელინცკისა და კუტუზოვის II ხარისხის ორდენებით, წითელი დროშის სამი ორდენითა და წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ბევრი რამ გაკეთდა პ. ჩანჩიბაძის სახელის უკვდავსაყოფად. მოსკოვში, ნოვოდევიჩის პანთეონში მის საფლავზე აღმართულია თეთრი მარმარილოს ქანდაკება. თბილისში, ერთ-ერთი ქუჩა გმირის სახელს ატარებს. ომის შემდგომ გმირის მშობლიურ რაიონში აღმართეს ქართველი ხალხის საამაყო შვილების, გენერალ-პოლკოვნიკების, საბჭოთა კავშირის გმირების, ორი მეგობრის — პ. ჩანჩიბაძისა და კ. ლესელიძის ძეგლები. პ. ჩანჩიბაძის ძეგლი დადგეს, ასევე, თბილისში, კინოთეატრ „საქართველოს“ წინ.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

გიორგი ნაჭყებიას მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე, მოხუც პატრიოტებსა და 1945 წლის 9 მაისზე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნაჭყებია დიდ ცხოვრებაგამოვლილი კაცია, რომელსაც თავის მთავარ საქმედ ყოველთვის ქართული სიტყვის, ქართული ჟურნალისტიკის მსახურება მიაჩნდა. იგი წლების მანძილზე მთავლიტის სისტემაში მუშაობდა. ძირითადად მთავლიტს ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა ევალებოდა. ამასთან, ცენზორებს სტრიქონებში უნდა ეძებნათ ნაციონალიზმის ნამცეცები ან საბჭოთა იდეოლოგიიდან ოდნავ გადახვევა. მან პირნათლად მოიხადა მამულიშვილური ვალი ქვეყნის წინაშე და ცხოვრების გზაზე ნახულსა და განცდილს ერთ წიგნში მოუყარა თავი, რომელშიც, რა თქმა უნდა, გარკვეული ადგილი მის მშობლიურ წალენჯიხას უჭირავს. გ. ნაჭყებიამ „ჩემი ცხოვრების ქრონიკები“ შარშან გამოსცა. აქვე გთავაზობთ რამდენიმე თავს, რომელიც შორეულ წარსულს — მეორე მსოფლიო ომის მძიმე პერიოდში საქართველოს ერთი მშვენიერი კუთხის — სამეგრელოს მკვიდრთა ტკივილიან ცხოვრებას უკავშირდება.



ომი დაიწყო!..

ჩვენს სოფელში ასაკოვან ადამიანთა საუბარში — ეს იქნებოდა ძიკა ფიფიას საპარიკმახეროში, თუ სისო სამუშაოს წისქვილში — არა ერთხელ მომიკრავს ყური: თურქეთი ომს იწყებს, ანგლია-ფრანცია დარდანელით ბათუმში შემოვა და სხვა. მაგრამ მაშინ მას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა კი სულ სხვა სურათი აღვიქვი. ბურთაობით დაღლილი ბიჭები ზუგდიდი-მესტიის გზის მონაკვეთზე, მდინარე ხუფაიას ხიდის მოაჯირზე იქეთ და აქეთ ერთიმეორეზე მიწყობილი მერცხლებივით ვზივართ. ისიდორე ბერიშვილი გვაფრთხილებს — ნუ ჯიკაობთ, თორემ წყალში ერთად გადაცვივდებითო. სოფლის ცენტრიდან მობრუნებული მოდის ყარამანი. მას ჩვეულებად ჰქონდა მხარზე ცულის გადადება. მაგრამ ამჯერად ცული ხელში ჰქონდა მომარჯვებული და აღშფოთებული ჩანდა. ჩვენ თვალწინ ისიდორეს მიადგა და ეუბნება: **ომი დაიწყო!** ისიდორე ეკითხება, ვინ დაიწყო ომიო. ვიღაც ცოფიანი გერმანია არისო, პასუხობს ყარამანი. ახლა ორივე ბერიკაცი ცულით ხელში ისე დგანან, იფიქრებდით ამ ცულებით ახლავე უნდა ეკვეთონ მტერსო. ჩვენ კი, როგორც კი გავიგეთ, რადიომ თქვაო, მაშინვე გავიქეცით სოფლის ცენტრში, ფოსტაში, სადაც ერთადერთი მრგვალი შავი ფერის რადიო აქამდე თავისთვის ბუტბუტებდა. ახლა კი მის მოსასმენად ხალხი შეგროვილიყო. რადიოში ისმის ვიღაცის ხმა. შეკრებილთაგან რადიოს ბევრი აკურთხებს, ზოგიც იმუქრება. არის ყაყანი. ვის რას გაუგებ... ასე დაიწყო ჩემთვის ზაფხულის მზიან ამინდში დიდი ომი, რომელზეც მე ჯერ კიდევ წარმოდგენაც არ მქონდა.

იმ საღამოს სამუშაოების უბანში დანიშნული იყო ლელო ბურთის თამაში — დაახლოებით თანამედროვე რაგბის მსგავსი. საინტერესო ის იყო, რომ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდები დაოჯახების ნიშნით. კერძოდ, ერთ მხარეზე იყვნენ უცოლოები და მეორე მხარეს — ცოლიანები. ასეთი დაჯგუფებით თამაში მე პირველად ვნახე, ხოლო ზოგისთვის ის უკანასკნელიც აღმოჩნდა. ჩვენი მეზობელი ბიჭები — ბოჩია, ქუჩა, ამირანი, ბერიშვილები, ჟორჟი, გრიშა, ბოჩო ჭანტურიები ამ შეჯიბრებაში უცოლოთა მხრიდან თვითონ მონაწილეობდნენ. ჩვენ, ბავშვები — ვანო, მამია ბერიშვილები, ვანო, ხუტუნია (მიშიკო) ჭანტურიები, მე და ჩემი ძმა მათ უკან მივყვებოდით. თამაშის ადგილი შერჩეული იყო. გრიშა სამუშაოს სახლის გვერდით მდებარე დიდი მინდორი. მიუხედავად კვირა დღისა და ტრადიციისა, მაყურებელი მაინც ცოტა ჩანდა. ალბათ, ამის მიზეზი ომის დაწყება იყო. მაყურებელი და მოთამაშეები ძირითადში სოფლის ახალგაზრდობა — დარჩეული ბიჭები იყვნენ. მათ შორის ბევრი ჩემი ნათესავი იყო. შეჯიბრი თავიდანვე დაძაბული, ნამდვილად თავგანწირული და ძალისმიერი აღმოჩნდა. არ მახსოვს, ცოლიანებმა გაიმარჯვეს თუ უცოლოებმა, მაგრამ დღემდე ვნანობ, რომ შეჯიბრის უშუალო მონაწილეთა, მაყურებელთა საუკეთესო ნაწილი იმ დღის შემდეგ საერთოდ აღარ მინახავს. ომმა შეიწირა ვეფხვივით ბიჭები — ბუჯგა და გაჯა სამუშაოები, კალისტრატე ზარანდია, დომენტი, ბოჩო, საშა, ჟორჟი ჭანტურიები. 1977 წელს ბოჩო ჭანტურიას დედა გარდაიცვალა და პატრონად სახლს არავინ დარჩა. სახლი, ეზო-კარი შინმოუსვლელის სახლ-მუზეუმად გადავაქციეთ. მუზეუმში გამოვფინეთ ორასზე მეტი შინმოუსვლელი ლიელი ჯარისკაცის სურათი. ამ მემორიალის გახსნის დღეს ჯერ კიდევ ცოცხლე-

ბი იყვნენ ზოგიერთის დედები. მახსოვს, გაჯა სამუშაოს დედამ, აგრა ზარანდია-სამუშაომ შვილზე ატირებულმა მკერდზე თავი მომადო, მეფერა და მითხრა: **„დღეს გაჯა და მისი დაღუპული თანასოფლელები ხელახლა გაცოცხლდნენო“**. დიდი ხანია, უკვე ფაშიზმის განადგურებას თავშეწირულთა დედებიც ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ სამარადისოდ ცოცხლობს სამშობლოსათვის თავგანწირულთა ხსოვნა. მარადიულია დედაშვილობა. ვერავინ და ვერაფერი ვერ წაშლის ამქვეყნად ხალხის მადლიერებას, ოღონდ სამშობლოსათვის თავდადება დავიწყებას არ მიეცეს და მადლობის მთქმელი ყოველთვის იქნება. დღეს არ იქნება, ხვალ გამოჩნდება. მთავარია, პატრიოტული მემკვიდრეობის სულისკვეთების ძაფი არ გაწყდეს.

ენგური ბობოქრობს, ბორანი ჭრიალებს

მაისიდან მოყოლებული ივნის-ივლისში ენგურმა საშინელი ადიდება იცის. ალბათ, ასე იყო 1941 წელსაც. ომამდე დაწყებული ჯვარიდან ანაკლიამდე ენგურისათვის „უნაგირის“ დადგმა არავის გაუბედავს. არსად სამანქანო ხიდი არ იყო. გაღმა-გამოღმა სოფლების ერთადერთი დამაკავშირებელი მხოლოდ ბორანი იყო. და სწორედ ამ ბორნით გადმოდიოდნენ ომში მიმავალი გაღმა სოფლების ბიჭები. ისინი მიდიოდნენ ერთი-მეორის მხრებზე ხელ-ხელ გადადებულები, ზოგი მთვრალი, ზოგიც ფხიზელი, სახელდახელოდ შეკერილი საკვოიაჟებით. მაშინ სოფელი ლია მათთვის თავისებური ზონალური თავშეყრის ადგილი იყო. იყო სიმღერა, ცეკვა, თამაში, ცრემლი... ცხადია, თავიდან ბავშვები ამ ყველაფერს როგორც სანახაობას ისე ვუყურებდით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენც მივხვდით, თუ რაში იყო საქმე.

ერთ დღეს ბავშვებმა გადავწყვიტეთ, ჩვენ დაგვევლო ხელი მათი ბოხჩებისათვის და წალენჯიხის კომისარიატში ფეხით მიმავალნი სოფლის ფერდობზე აგვეცილებინა. ასეც მოხდა. ოც-ოცი ბავშვი ტრადიციულად თითქმის ყოველდღე ვაცილებდით მათ. **ისინი მოკლე გზით ადიოდნენ საცალფეხო ბილიკზე და ჩვენ მათ სწორედ იქ ვშორდებოდით, სადაც დღეს დანიელ კანკიას მიერ გაკეთებული მემორიალია. მადლობა ბატონ დანიელს ასეთი კარგი ინიციატივისთვის.**

ვფიქრობ, ეს იყო სოფლის მოსწავლე-ბავშვების პირველი პრაქტიკული გამოხმაურება ომში მიმავალი ახალგაზრდობის პატრიოტული შემართებისადმი. მაშინ გავიგონე პირველად სიტყვები „გამწვევი პუნქტი“, „პირველი ეშალონი“, ყველაზე მაღალი თანამდებობა რაიონში სამხედრო კომისარი „ნ.კ.“ და სხვ. ერთ კვირაში „ნ.კ.“-ს მნიშვნელობაც გავიგე. კერძოდ, წალენჯიხის რაიონულ კომისარიატში მობილიზებულს ეძლეოდა ცნობა ჯარის ნაწილში წარსადგენად. მას ხელს აწერდა მართლაც უცნაური შემოკლებით — „ნ.კ.“ რაიონის სამხედრო კომისარი **ნოე კარტოზია.** ამიტომ „ნ.კ.“-ზე ხან მასხრობდნენ, ხან კი მთელი პატივისცემით საუბრობდნენ. „ნ.კ.“-ს ხელმოწერა ზოგისთვის ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასვლას, ხოლო ბედნიერთათვის ისევ ნოეს ხელში მოხვედრას ნიშნავდა.

ომის პირველი წელი იმითაც დამამახსოვრდა, რომ მეორე დღესვე სოფლის მაღაზიიდან გაქრა პირველადი მოხმარების საგნები — ასანთი, მარილი, ძაფი, ნემსი, ნავთი. ცხადია, ვისაც ფული ჰქონდა, იმ ოჯახებმა მოიმარაგეს საჭირო ნივთები. ჩვენი ოჯახისთვის კი ყოველივე ასეთი „მარაგი“ ცოტაზე მეტი ფუფუნება იყო. სოფელში შეწყდა პურის ცხობა. მახსოვს, დედაჩემის ბიძაშვილმა გერმანე სამუშაომ, რომელიც მაშინ კოოპერატივის საწყობში მუშაობდა, მიხმო და გამატანა 10 კილოგრამამდე პურის ფქვილი. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენს ოჯახს წინ მძიმე ზამთარი ელოდა.

ძალაუნებურად სოფლის ცხოვრების ნირი ომის ყაიდაზე გადავიდა. დაიწყო მომჭირნედ ყოფა. ლამფის სინათლე აქა-იქ ჯერ კიდევ ენთო, სადღაც ჭრაქი ბჟუტავდა. სოფლის კოოპერატივის ნავთის დიდი რეზერვუარი პირწმინდად დაიწრიტა. თავისი ადგილი დაიკავა შუაცეცხლმა, გაჩნდა კაჟის კვესი და აბედიც. არა ერთხელ გამოვცადე „მედაჩხირე“ (მეცეცხლური) მეზობლის ფასი. ოჯახის ქალებმა ტუნგოს ნაყოფისაგან დაიწყეს სარეცხი საპნის მოხარშვა. სიძნელეებს ადამიანებმა მისი დაძლევის ხერხების ძიება დაუპირისპირეს. თუმცა 1942 წელი ამ მხრივ ყველაზე მძიმე გამოდგა. მთელი იმერეთი სიმინდის საშოვარზე სამეგრელოს მოაწყდა. დაიწყო ბარტერული გაცვლა. ერთიმეორეში იცვლებოდა სიმინდი და ძვირფასეულობა. ამას დაემატა უშუალოდ ომის საფრთხე. ჩვენი სოფელი თითქმის ფრონტისპირა გახდა. ორმოცდაორის ზაფხულში ჰიტლერელები კავკასიის მთებს მოადგნენ. ზუგდიდი-მესტიის გზა სამხედრო მანქანებით აივსო. მახსოვს ამ გზაზე ჯარისკაცებით, ტექნიკით დატვირთული სატვირთო მანქანები. მარტო ერთ დღეს 60 ასეთი მანქანა დავთვალე. მე და ჩემს ძმას მაინც ბავშვურად გვიხაროდა ასეთი სურათის ხილვა და მთელი სიღრმით ვერ ვხედავდით იმ საფრთხეს, რაც მაშინ გვემუქრებოდა. **ამ დროს სოფელში ფიზიკურად მამაკაცი არ იყო. დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები. მთელი სიმძიმე ქალებზე იყო გადასული. მახსოვს, დედებთან ერთად ბავშვები ნიჩბითა და ბარით სამხედრო ინსტრუქტორის მითითებით ყოველ მოსახვევში, სტრატეგიულ ადგილებში როგორ ვთხრიდით სანგრებს, ვაგებდით ამბრაზურს და ვშველოდით ქალებს მისი მავთულხლართებით შემოკავებაში.**

ყოველივე ამის გავლენით ლუსიანემ და მე ჩვენი სახლის უკან, ტყის პირას, დავიწყეთ საკუთარი თავშესაფრის გაკეთება. მთელი კვირა ვთხრიდით თავშესაფარს და ათას ბავშვურ გეგმებს ვაწყობდით ფაშისტების შემოსვლის შემთხვევისათვის. ამ ბავშვურ ამბებს ემატებოდა ყოველდღიური საკოლმეურნეო შრომა, რომელიც ომის დროს ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. კვლავ იკრიფებოდა ხარისხიანი ჩაი. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო: 1942 წლის აგვისტო იწურება თუ სექტემბერია. ჩვენი სკოლა წითელი არმიის ნაწილებს აქვს დაკავებული. სოფელში მოქმედებს გამანადგურებელი ბატალიონი. სოფლის თავზე რამდენჯერმე შემოიჭრა ჰიტლერელთა თვითმფრინავი. ჩქვალერში, გაღმა სოფელ ფახულონში, დესანტიც ჩამოსვეს. იყო პანიკაც. დედაჩემი და მეზობელი ქალები ჩაის პლანტაციიდან შესვენებაზე გამოვიდნენ. იქვე, აღმართზე, ზარანდიების უბნის თავზე და კაკლის ძირას ჩამოსხდნენ. დღემდე მახსოვს მათი გარინდული სახეები, როცა უსმენდნენ ენგურის გაღმა ფახულონიდან გამუდმებული სროლის ხმას. სწორედ იმ დღეს დესანტთან ბრძოლაში დაიღუპა საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ნიჭიერი ორგანიზატორი სარდიონ გერგედავა. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

დიახ, როგორც ზემოთ აღვნიშნე,

მესტიის მიმართულებით მიდიოდა ჯარი, ტექნიკა, უღელტეხილების ყინულოვან ბილიკებზე ტყვია-წამლის ტვირთის გადასაზიდად კახეთიდან მოჰყავდათ ასობით ვირი. სამაგიეროდ ჯარისკაცები ჩრდილოეთ კავკასიიდან მოერეკებოდნენ ათიათასობით ცხვრის ფარას, მსხვილფეხა, თანაც ჯიშიან პირუტყვს, რომ იგი ხელში მტერს არ ჩავარდნოდა. და ყველაფერი ეს ხდებოდა ჩემი სახლის წინ მიმავალ გზაზე, სადღაც 25 მეტრში. ჩემი შორეული გადასახედიდან, როცა გონების თვალს ვავლებ ყოველივე ამას, დღესაც მაოცებს საათივით აწყობილი ორგანიზებულობა, რომელსაც უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მტერზე გამარჯვებაში. ცხადია, ოფიციალურად ამ გამარჯვების ერთადერთი სულისჩამდგმელი ქართველი კაცი იყო, რომელსაც სტალინი ერქვა. მაგრამ მის გვერდით ბევრი სხვაც გახლდათ.

ვლადიმერ მზარელუას მონათხრობი

ომამდე ხუთი-ექვსი წლით ადრე, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გენერალ ვლადიმერ მზარელუას წალენჯიხაში ჩეკას უფროსად უმუშავია. მას თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი კავკასიის დაცვაში, როგორც ცნობილი მე-18 არმიის სამხედრო საბჭოს წევრსა და ამ არმიის კონტრდაზვერვის უფროსს. მას წალენჯიხაში პატივს სცემდნენ. ბევრიც მისი პირადი მეგობარი იყო. და აი, ვალოდია მზარელუა და საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ერმალო ჯაფარიძე 1977 წელს ოფიციალურ ღონისძიებასთან დაკავშირებით სტუმრად წალენჯიხაში არიან. მოხდა ისე, რომ წალენჯიხიდან თბილისში აღნიშნულ სტუმრებსა და მე ერთად მოგვიწია ღამე მანქანით მგზავრობა იმ ანგარიშით, რომ დილით თბილისში ვყოფილიყავით. თავიანთი სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდიდან ბევრის მნახველი ეს ორი სტუმარი გზაში ერთი-მეორეზე უკეთეს ეპიზოდებს ყვებოდნენ საკუთარი ცხოვრებიდან. აი, რა თქვა მან:

— 1942 წლის ზაფხულია. ჩრდილო კავკასიის მთისპირეთში ისეთი ცხარე ბრძოლებია, დენთის ნისლი დგას. სსრ კავშირის თავდაცვის კომიტეტის დავალებით კავკასიის ფრონტის სარდლობასთან შეხვედრებზე ვინ არ ჩამოდიოდა — ლ. მ. კაგანოვიჩი, ს. მ. ბუდიონი და სხვები და სხვები. მაგრამ აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდა ლავრენტი ბერია. მოზდოკში სკოლის შენობაში მოიწვია, ე. წ. მფრინავი თათბირი 10-15 წუთით. აქ იყვნენ კავკასიის ფრონტის ზედა ეშელონების მეთაურები, სარდლები, სამხედრო საბჭოს წევრები.

— ყველანი ვართ? — იკითხა ბერიამ. დიახ, იყო ლესელიძისა და სხვათა პასუხი. ბერიამ მოკლედ განაცხადა: — როგორც კი ამიერკავკასიის მიწას ფეხს დაადგამს ფაშისტი, თქვენივე ხელით მაშინვე გაიჭრება თქვენივე საფლავი. გასაგებია?! — კვლავ იკითხა ბერიამ. არ მახსოვს რა ვუპასუხეთ. მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, თუ მტერს არ შევაჩერებდით, ეს ქადილი შეუსრულებელი არ დარჩებოდა. ყველას კონკრეტული დავალება მოგვცა და წავიდა. დაიწყო ბრძოლები დევიზით — „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“. მთავარ ქედზე მიუვალ ადგილებზე ბრძოლას აწარმოებდნენ წითელარმიელთა ალპინისტური ნაწილები, ძირითადში სვანები. ჩაიკეტა ყველა გასასვლელი ბილიკი.

— ამასობაში ახლოვდებოდა ზამთარი, — განაგრძობდა თხრობას მზარელუა. მეც თადარიგს შევუდექი. წალენჯიხაში შევუთვალე ჩემს მეგობარ მოსე (კვაჯას ძე) კვარაცხელიას, რომ ერთი-ათ ცალამდე ნაბადი (ჯვარელების გაკეთებული) ჩვენთვის პირდაპირ ფრონტზე გამოეგზავნა. ასეც მოხდა. ოქტომბერი იწურება. ჩვენმა სარდალმა ლესელიძემ შეტყობინება მიიღო, რომ ნაშუადღევს კვლავ ეწვევა ბერია. ჩვენც შევუდექით სამზადისს. მე დამევალა შეხვედრის „მეორე ნაწილი“. ვართ ყაბარდოში მდინარე ბაქსანის ხეობაში. მთებში თოვლი მოვიდა. მტერი გატეხილია. უკვე დარწმუნებული ვართ — იგი ვერ ეღირსება სამხრეთ კავკასიის მიწას — მით უფრო, საქართველოს. ბერიამ მისთვის ჩვეული ოპერატიული თათბირი ჩაატარა. ახლა კი მე ვთხოვე მას სავახშმოდ ჩვენთან წამოსვლა. მაქვს რძეში მოხარშული ციკანი, მწვადი და ხინკალი. ყველაფერი ეს გაშლილია წალენჯიხიდან გამოგზავნილ ნაბადზე. ცივა. ბერიას ჩვენებური ნაბადის ისტორია მოვახსენეთ. ესიამოვნა და მასაც ჯვარელების ნაბადი მოწიწებით მოვახურე. აღმოჩნდა ისე, რომ სახელდახელო ვახშამზე მხოლოდ ქართველები ვიყავით. ბერიამ ეს უმალ შენიშნა. ლესელიძემ მაშინვე მე-18 არმიის პოლიტსამმართველოს უფროსს ლ. ი. ბრეჟნევს უხმო. ბერია პირველივე წუთიდან მოხიბლა რუსმა სტუმარმა, რომელიც მშობლიური კერძივით მირთმევდა ციკნის ხორცს და ბლომად აყოლებდა აჯიკას.

გავიდა ხანი. ომიც დამთავრდა. მზარელუა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრად მუშაობს. შუაღამე გადასულია, რეკავს ვეჩე. ტელეფონის ხაზზეა ბერია. იგი მოკლედ ეკითხება მზარელუას აჯიკის მჭამელის, რუსი გენერლის ზოგიერთი მონაცემის თაობაზე. საუბარი მთავრდება. მაგრამ დასმული კითხვების პასუხები ამოუცნობი დარჩა. მალე ბრეჟნევი მოლდავეთის ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს. ამით პოლიტიკური განტოლება ამოხსნილ იქნა.

აი, რა შედეგის მომტანია ადამიანისთვის ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო ფაქტი. სად მეგრული აჯიკა და სად... მთავარია, პირველად ვინ რა თვალით შემოგხედავს. ასეთი რამ კი ადამიანის ცხოვრებაში ხშირად გადამწყვეტია. ორი ადამიანის მომავალ ურთიერთობაში თითქმის ყოველთვის მთავარია პირველი შეხვედრა.

სოფლის სამკითხველო და მოხუცი პატრიოტები

ომის წლებში სოფლის ცენტრი, ისე როგორც ამჟამად, ორად იყო გაყოფილი. ზუგდიდი-მესტიის გზის ერთ მხარეს იყო შემოკავებული დიდი ეზო ევკალიპტის დიდი ხის ნარგავებით, ასევე დიდი ცაცხვის ხითა და რამდენიმე ნაძვით. ეზოში ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებული იყო: მოზრდილი კლუბი, ხის სახლები, ფოსტა, სამკითხველო, აფთიაქი, სასოფლო საბჭო და სოფლის სამედიცინო ამბულატორია; მეორე მხარეს — ლია-წალენჯიხის გზის კუთხეში: სოფლის მაღაზია, საპარიკმახერო, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კანცელარია; ეზოს გარეთ — გვანჯი და მიხაკო კუხალაშვილების სახარაზო, საწყობი, მაკარ ზარანდიას სასადილო.

ამჯერად სოფლის სამკითხველოზე შევჩერდები. მისი უფროსი იყო თამარ ფიფია და ბიბლიოთეკარი ვენია გოგოხია. ორივენი ძალიან თბილი და თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ. სკოლასაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მკითხველისთვის უხვად იყო ჟურნალ-გაზეთე-

ბიც. ასე რომ, სოფელში ვისაც კითხვა უყვარდა, წიგნი არ აკლდა.

ჩემთვის და, ალბათ, ბევრი ჩემი თანასკოლელისთვის სამაგალითო იყო უფროსკლასელი ვანო ქობალია. იგი ჩემზე 5-6 წლით უფროსი გახლდათ. სწავლობდა ჩინებულად. სულ მუდამ წიგნით ხელში მახსოვს. შემდგომ იყო ჩემი მასწავლებელიც და სასკოლო კომკავშირის კომიტეტის მდივანიც. იგი სასწავლებლად მალე წავიდა თბილისში. ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ფილოსოფიაში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და გახდა პროფესორი. დღეს მის სახელს ჩვენი სკოლა დამსახურებულად ატარებს. სამწუხაროა, რომ იგი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. მაგრამ წავიდა აღიარებული და ვალმოხდილი. ნათელი და პატივი მის ხსოვნას.

სწორედ ვანო ქობალიამ მიმიყვანა პირველად სოფლის სამკითხველოში და სწორედ მისი რჩევით წავიკითხე ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“. ომის პერიოდში სამკითხველო იყო ასაკოვანი ადამიანების, განსაკუთრებით ძველი ბოლშევიკების თავშესაყარი. სამკითხველოს კედელზე მათ ბედად შემორჩენილი იყო უზარმაზარი ევროპის რუკა. დაახლოებით დღის 2-3 საათზე დამტარებელ ლადი მარღიას წალენჯიხიდან მოტანილი ჰქონდა ფოსტა. ხანდაზმულები სწორედ მას ელოდებოდნენ, რათა წაეკითხათ გაზეთ „კომუნისტში“ საკდესის საინფორმაციო „ცნობა“. ამის შემდეგ ისინი მიდიოდნენ ხსენებულ რუკასთან და ეძებდნენ მტრის მიერ აღებულ ქალაქებს. აქ იყვნენ გერგედავა, ფეო ფიფია, სამსონ პაჭკორია, ივანე მებონია, ნიკო ანთია, ევგენი ზარანდია და სხვ. მე, როგორც გეოგრაფიის „მცოდნე“, ჯოხით ხელში ვეხმარებოდი მათ საინფორმაციო მასალებში დასახელებული პუნქტის მონახვაში. მათი ქება ფრთებს მასხამდა და ყოველ დღე ვიყავი ამ ასაკოვანი პატრიოტების სამსახურში. 1942 წლის დეკემბრამდე ამ გეოგრაფიულ რუკაზე სულ უკან-უკან ვიხევდით. უნდა გენახათ, რა სახეები ჰქონდათ მათ თითოეული ქალაქის თუ ოლქის მტრის მიერ დროებით დაკავებაზე. ან როგორ საღად მსჯელობდნენ ისინი ქვეყნის ბედსა და მომავალზე. მე წილად მხვდა ბედნიერება, ამ ადამიანებთან ერთად მონაწილეობა მიმეღო „უკან დახევაში“, ასევე, არა მარტო მაშინდელი საბჭოეთის დაპყრობილი ადგილების, არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფაშიზმისაგან გათავისუფლებაში. მათთან ერთად „ვმონაწილეობდი“ ბერლინის აღებაშიც.

დიდი ხანია, ჩემ მიერ ჩამოთვლილი მოხუცი პატრიოტები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ჩემს ხსოვნაში დღესაც ცოცხლობენ ისინი სწორედ ისეთები, როგორებიც იყვნენ მაშინ.

გამარჯვების დღე! მაინც ტირიან ქალები?!

ომის დროს პოლიტიკურ აგიტაციას და აგიტატორებს მთელი სოფელი ჰქონდა მოცული. თავისი აგიტატორები ჰყავდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, თავისი აგიტატორები — კომკავშირს. ყოველ მათგანს სხვადასხვა დონის კრებებზე თხოვდნენ ანგარიშს, ისახებოდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებები... ამ დროს სახელმწიფოებრივი წესრიგი იყო ისეთ მაღალ დონეზე, რომ სოფელში ჭორს, ყურმოკრულ სიტყვას ვერსად გაიგონებდით. მაშინაც, როცა მტერი კავკასიას მომდგარი იყო, სახლები დღე და ღამ არ იკეტებოდა. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ქურდობის, ყაჩაღობის ერთი შემთხვევაც არ მახსოვს. ცხადია, ეს მხოლოდ მილიციის დამსახურება არ იყო. ამაში ლომის წილი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, საერთო მორალურ ატმოსფეროს ჰქონდა.

1945 წელია. ხალხი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ელოდება. მე სასკოლო კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ. ჩვენმა ორგანიზაციამ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში მიღწეული წარმატებისათვის საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი მიიღო. მას ხელს აწერდა ნ. მიხაილოვი. ამით აღფრთოვანებულმა კომკავშირის კომიტეტის წევრებმა გადავწყვიტეთ, რაღაც ინიციატივით კვლავაც გამოგვეჩინა თავი და გამოვაცხადეთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღის აღსანიშნავად სწავლისა და შრომის ერთთვიური. ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირა კომკავშირის რაიკომმა. იგი ფართოდ გავრცელდა მთელი რაიონის ახალგაზრდობაში. მაგრამ ერთთვიური ცოტა ადრე მოგვივიდა. ჩვენ „დაგეგმილი გვქონდა“, რომ გამარჯვებას მარტში აღვნიშნავდით. თურმე ანგარიში სწორი არ გამოგვივიდა. მაინც უნდა გვეპატიოს. მაშინ გამარჯვების დღის მალედადგომის სწრაფვა მარტო ახალგაზრდობაში როდი იყო. დიდი მოლოდინის მალე გაცხადებისადმი მოუთმენლობის განწყობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა.

და აი, დადგა ნანატრი დღე — 9 მაისი. სოფელშიც ცას სწვდება ლევიტანის მჭექარე ხმა — „ლაპარაკობს მოსკოვი. გილოცავთ გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებას!“ ვიღაცას გრძელ ჭოკზე დროშის ტარი მიუკრავს და სოფლის ცაცხვის კენწეროზე აუტანია. მღერის სასკოლო გუნდი, არის ცეკვა-თამაში. განსაკუთრებით ხმაშეწყობით გამორჩეულად მღერიან იპოლიტე, მაკარი, ჩათუ ქარდავები. ფანდურზე უკრავს ტატი გაბედავა, არის სროლა — ილია ჭელიძეს, მილიციის ყოფილ მუშაკს, სპეციალურად ამ დღისათვის გაკეთებული დინამიტის ყუმბარები ვედროთი მოუტანია. სანთებელით უკიდებს ბიკფორდის ზონარს და გამაყრუებლად ზედიზედ აფეთქებს. ერთიც მე მერგო და გამოუცდელობით კინაღამ ხელში ამიფეთქდა. ბედზე გადავრჩი. სკოლა არავის ახსოვს და არც — ჩაის პლანტაცია... არის მხოლოდ ზეიმი. მაგრამ არის ქალთა ჯგუფი, რომელიც ერთიმეორეზე მწარედ მოთქვამენ და ცრემლად იღვრებიან. მათ თურმე, კარგახანია, მეუღლეების სამკუთხა წერილები არ მიუღიათ. პაშა ქოქოსაძე თავის ივანეს ახსენებს, მარო ჭელიძე — კაკოს განიცდის, ვერა ჭანტურია — დომენტის, დები — ვალენტინა და პისტი ბერიშვილები შიშით ვერაფერს ამბობენ თავიანთ საყვარელ ძმაზე, შესანიშნავ ვაჟკაცზე, განათლებულ ინტელიგენტზე, სოფლისა და რაიონის თვალზე — ვალიკო ბერიშვილზე. ვინ იცის, რამდენი იყო ასეთი. მიუხედავად ამისა, ცრემლსა და დარდს, იმედი და სიხარული მაინც ჯაბნიდა.

ჩემი სოფელი ლია ამ დღეს ფაშიზმზე, მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებაში თავის წილ გამარჯვებას ზეიმობდა. ვინ იცის, მას შემდეგ რამდენი ზეიმი, ღირსშესანიშნავი მოვლენა ეწვია სოფელს, მაგრამ 1945 წლის 9 მაისის ზეიმის მსგავსი აქ ჯერ არც არაფერი ყოფილა და არც არავის უნახავს.

სტალინი — ღვთის მოშიში თუ ღვთის მგმობელი?..

საბჭოთა კავშირში ულაპარაკოდ დიდი დევნა იყო ეკლესიის, ამაზე კამათი არც ღირს. კრემლის პოლიტიკის გავლენის ქვეშაც ხვდებოდა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები, მაგრამ საერთო ჯამში ამბიონიდან ჭეშმარიტება მაინც მიეწოდებოდა მრევლს. იყო სამღვდელოების მხრიდან დადებითი შეფასებები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ასევე განსაკუთრებულად ცუდად მოხსენიება დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი პოლიტიკის, თითქოს ისინი საბჭოთა იმპერიაზე უარესები იყვნენ და ა.შ. ეს ყველაფერი კრემლის ჩაწვეთებული იდეოლოგიის ანარეკლი იყო, რასაკვირველია, მაგრამ მრევლს ეკლესია ჩვეულებრივად ასწავლიდა კაცთმოყვარებას, ქრისტიანული ცხოვრების წესს, ეკლესიურობას, აღსარებასა და ზიარებას, ანუ ჭეშმარიტება რჩებოდა ჭეშმარიტებად და აპოლიტიკური ადამიანისათვის, რომელიც უბრალო მაზიარებელი იყო ჩვეულებრივად რჩებოდა ეკლესია ჭეშმარიტების გზის მასწავლებელ შუქურად და ასე ვთქვათ ცხონების გზას ანახებდა მრევლს, რაც ეკლესიის უმთავრესი ფუნქციაა.

რაც შეეხება კონკრეტულად ი. სტალინის პიროვნებას მის გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმაა და აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ამას, ალბათ, რაღაც საფუძველი აქვს. ჯერ ერთი იგივე აზრი არ გამოთქმულა სხვა საბჭოთა მაღალჩინოსნებზე (ვ.ლენინი, ნ. ხრუშჩოვი და ა.შ.). კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, **რამ აიძულა სტალინი დაახლოებოდა ეკლესიას ომის უმძიმეს წუთებში? რამ აღადგენინა პატრიარქობა რუსეთში, რომელიც კალისტრატე ცინცაძემ აკურთხა? რამ აიძულა გასაუბრებოდა ბერებს და ნება დაერთო სამჯერ შემოევლო მომლოცველთა ჯგუფს მოსკოვისათვის და ღვთისმშობლის ხატით შემოეფრინათ თვითმფრინავით?** ძალიან უცნაური ფაქტებია, რაც გაფიქრებინებს, რომ სტალინს, რაღაც გარკვეული რწმენა გააჩნდა ანდა მეორე მსოფლიო ომის დროს განუახლდა იმ დიდი განსაცდელის გამო, რაც საბჭოთა სახელმწიფოს თავს დაატყდა. მოსკოვის აღების, ომის წაგების ან სტალინის ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, ზოგადი ოკუპაციის გარდა, ფაშისტები აუცილებლად საჯაროდ დახვრეტდნენ სტალინს; არადა, ცოტამ თუ იცის, რომ სტალინს ფაქტიურად დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია (მიატოვა ბოლო გამოცდის წინ), ოჯახში მას დედა, არც მეტი არც ნაკლები, მღვდლად ზრდიდა, ბავშვობაში კი სტალინი გატაცებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით და დაწერა კიდეც ყველასთვის ცნობილი ლექსი „დილა“, ანუ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“... მასში, ალბათ, არსებობდა რაღაც, რომელიც გარკვეულ მომენტში ღვთისკენ უბიძგებდა.

მაცხოვრის სახელობის ტაძრის დანგრევის შესახებ დადგენილებას ხელი მოაწერა სამმა ადამიანმა: კაგანოვიჩმა, მოლოტოვმა და ხრუშჩოვმა. სტალინი სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა, რომ წინააღმდეგობა არ გაუწია ამ ფაქტს. „ინდუსტრიალიზაციას ძალიან სჭირდებოდა ოქრო. ეს რომ არა, ასეთ ცოდვას არასოდეს დავიდებდი“, — ამბობდა იგი. და ხშირად იხსენებდა იმასაც, რომ ზემოაღნიშნულ სამეულს წითელ მოედანზე ნეტარი ბასილის ტაძრის დანგრევის ნება არ მისცა.

30-იანი წლების დასაწყისში დაიხურა ჟურნალი „ათეისტი“. ეს ურწმუნო, მტრულად განწყობილ ადამიანთა საზოგადოების მოღვაწეობის გაწყვეტის სიგნალად იქცა. ამ საზოგადოების წევრები მანამდე უწესოდ იქცეოდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიებში. ამ საზოგადოების ბევრი ხელმძღვანელი დაატიმრეს. გადარჩა მხოლოდ ემელიანე იაროსლავსკი. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში ხულიგანი ათეისტები სტალინური რეპრესიების მსხვერპლად შერაცხეს და მოხდა მათი რეაბილიტაცია.

დიდი სამამულო ომის დროს უმაღლეს შტაბში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს სტალინი თათბირს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ღმერთი გვფარავდეს!“

სტალინმა ჯვარი დაიწერა თავის პირველ ცოლზე — ეკატერინე სვანიძეზე. იგი მორწმუნე იყო, მაგრამ არა რელიგიური: ეკლესიაში არ დადიოდა, ხატებს და რელიგიური დანიშნულების სხვა ნივთებს სახლში არ ინახავდა.

1953 წლის გლოვის დღეებში პატრიარქმა ალექსიმ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შინაარსის მიმართვა გაუგზავნა: „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გამოვხატავ გულწრფელ თანაგრძნობას ხალხთა ბედნიერების დიდი აღმშენებლის, დაუვიწყარი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გარდაცვალების გამო“.

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲙᲘ — ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲣᲫᲓᲝᲛᲚᲐᲓ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲖᲔ ᲘᲓᲝ“, — ᲬᲔᲠᲓᲐ Ბ. Გ. ᲑᲔᲚᲘᲜᲡᲙᲘ.

ი. ბ. სტალინი პარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი 31 წლის განმავლობაში იყო, აქედან 20 წელი — ლენინის გარეშე. ეს პოსტი 42 წლისამ ჩაიბარა და სიკვდილამდე, 73 წლის ასაკამდე, იყო ამ თანამდებობაზე. ისტორიაში ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ვინც ასეთი ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრებით იცხოვრა.

სიცოცხლეში სტალინს საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიად ბელადს, დიდ მხედართმთავარს, კომუნიზმის მედროშეს, ერთა მამასა და კაცობრიობის გენიოსს უწოდებდნენ.

გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინს სამეურნეო და არასამეცნიერო თხზულებებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში, მრავალ სტატიაში დიქტატორს, სემინარისტს, მემწვადეს, დემონს, კერძო საკუთრების მტერს, კავკასიელი ყაჩაღის ფსიქოლოგიის ექსტრემისტს, კრემლის ნადირს, უდიდეს უნიჭოს და ა.შ. ეძახდნენ.

სტალინი ახალგაზრდობაში

ხოლო ობიექტურ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ი. ბ. სტალინს აღიარებს მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელსაც პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ ისეთი ქვეყნების ხელმძღვანელები, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲐᲐᲨᲔᲜᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ, ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ �პᲐᲠᲢᲘᲐ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ, ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ,

მოსპო უმუშევრობა და სიღარიბე, უზრუნველყო უფასო სწავლა და ჯანმრთელობის დაცვა, მოსპო ორგანიზაციული დანაშაული და უპატრონო ბავშვები, დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურას, ხელოვნებას. აღზარდა გამოჩენილ ხელმძღვანელთა და სამხედრო მეთაურთა პლეადა. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა უდიდეს სისხლისმღვრელ ომში.

1942 წელს, ნიუ იორკში გამოსვლისას, ლორდმა ბივერბრუკმა თქვა: **„სტალინის პერიოდში კომუნიზმმა დასავლეთის ყველა ხალხის აპლოდისმენტები და აღფრთოვანება მოიპოვა. სტალინის პერიოდში კომუნიზმმა ჩვენ მოგვცა პატრიოტიზმის მაგალითი, რომლის ანალოგი ისტორიაში არ მოიძებნება. მის პერიოდში კომუნიზმმა მსოფლიოს საუკეთესო გენერლები მისცა. ქრისტიანების დევნა? არა. იქ რელიგიური დევნა არ არის. ეკლესიის კარი ღიაა. ეროვნებათა დევნა? სრულიადაც არა. ებრაელები იქ ისევე ცხოვრობენ, როგორც სხვები. პოლიტიკური რეპრესიები? დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა უკვე ნათელია, რომ ისინი, ვინც დახვრიტეს, რუსეთს გერმანელებს მიჰყიდდნენ“.**

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია გარკვეულწილად ცნობილია, მაგრამ დღემდე არ არის გამოკვლეული, რა როლი ითამაშა ასეთი არაორდინალური პიროვნების ჩამოყალიბებაში რელიგიამ. სტალინი ხომ ქრისტიანად დაიბადა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწამდა უზენაესი და სურდა, მღვდელი გამხდარიყო.

დედამისი ცდილობდა, შვილისთვის ღმერთის ღრმა რწმენა შთაეგონებინა, თვალს ადევნებდა მის მიერ ქრისტიანული მორალის წესებისა და მოთხოვნების დაცვას; დარღვევებისთვის კი სჯიდა.

1888 წელს, მღვდელ ჩარკვიანის დახმარებით, იოსები დედამ გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა.

სასულიერო სასწავლებელი პირველდაწყებით განათლებას აძლევდა ბავშვებს და ამზადებდა მათ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსახურებისთვის. სასწავლებელს ოთხი კლასი ჰქონდა, რომლის პროგრამაც გიმნაზიის ოთხი კლასის შესაბამისი იყო. სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

იოსებმა ძალზე მალე გამოავლინა განსაკუთრებული ნიჭი. ის ჭკვიანი, ამაყი, ფიზიკურად ჯანმრთე-

ლი იყო და არავის არაფერში ჩამორჩებოდა. ოთხივე კლასი ხუთებზე დაამთავრა.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იოსებ ჯუღაშვილს მისცეს ქების სიგელი, მიუხედავად იმისა, რომ მამამისს სასულიერო ხარისხი არ ჰქონდა.

თხუთმეტი წლის ასაკში იოსები წარმატებით აბარებს გამოცდებს ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იღებენ უფასოდ რჩენის უფლებით.

სემინარიში ექვსი კლასი იყო და საშუალო სასწავლო დაწესებულებებს მიეკუთვნებოდა. **იოსები მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით სწავლობდა საეკლესიო სლავურ ენას, სჯულის კანონს, ლათინურ და ბერძნულ ენებს, ისტორიასა და ლიტერატურას. სწავლების არსებული სისტემა ხელს უწყობდა მას ფენომენალური მეხსიერების ჩამოყალიბებაში.**



„ახალგაზრდა სტალინი“
ი. თოიძის ნახატი

სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში სტალინმა მიიღო ერთადერთი სისტემური განათლება, რაც მოზრდილ ასაკში მისი თვითგანათლების საფუძვლად იქცა და მისი ხასიათისა და აზროვნების ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა.

ქრისტიანობის დამკვიდრებას ხომ თან ახლდა წარმართების წინააღმდეგ ბრძოლა, სტაროვერების დევნა, მწვალებელთა განადგურება. მართლმადიდებლური ეკლესია არავის აძლევდა რელიგიურ დოგმათა განმარტებების უფლებას, საეკლესიო წეს-ჩვეულებათა დაცვას, სასულიერო ცენზურისა და განათლების საკითხებს. ყველა ქრისტიანს ეკრძალებოდა არაქრისტიანულ რელიგიაზე გადასვლა, სხვა რწმენის აღიარება. დაუშვებელი იყო წარმართებთან ქორწინებაც.

სემინარიაში, საგნების შესწავლის გარდა, სემინარისტი დღეში ორჯერ კითხულობდა ლოცვებს, კვირასა და რელიგიურ დღესასწაულებზე ვალდებული იყო, ღვთისმსახურებას დასწრებოდა, რომელიც 4 საათს გრძელდებოდა. დადგენილი ნებისმიერი წესის დარღვევისთვის სემინარისტებს კარცერში ჩასმითაც კი სჯიდნენ. წმიდა მამები განუხრელ თვალთვალს ახორციელებდნენ: ამოწმებდნენ ნივთებს და ტანსაცმელს, ჩუმად ყურს უგდებდნენ სემინარისტების საუბრებს და ჰყავდათ მსტოვრები.

სემინარისტებს ეკრძალებოდათ საერო ბიბლიოთეკებიდან წიგნებით სარგებლობა. ამის გამო იოსებს მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა სემინარიის ხელმძღვანელობასთან, რის შესახებაც გვაუწყებს დისციპლინარული ჟურნალის 1896 წლის ნოემბრის ჩანაწერი:

„როგორც აღმოჩნდა, ჯუღაშვილს აქვს სააბონენტო ფურცელი „იაფფასიანი ბიბლიოთეკიდან“, რომლის წიგნებითაც ის სარგებლობს. დღეს კონფისკაცია გავუკეთეთ ჰიუგოს „ზღვის მუშაკებს“, სადაც აღმოვაჩინე აღნიშნული ფურცელი.

ინსპექტორის თანაშემწე ს. მურახოვსკი.

დაისაჯოს ხანგრძლივად კარცერში ჯდომით — მე იგი უკვე გავაფრთხილე ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წლის“ გამო.

სემინარიის ინსპექტორი, ბერმონაზონი ჰერმოგენი.

სემინარიაში გამეფებულმა გარემომ მოზარდში განავითარა მოწესრიგებულობა, გულჩათხრობილობა. მას ელვისებურად შეეძლო გადაწყვეტილებების მიღება. როგორც სემინარიის მასწავლებლის, ასევე, ამხანაგების მიერ დასმულ ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მის მიერ შემუშავებული კონსპირაციის საფუძველზე, შეძლო სემინარიაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში დაემალა სწრაფვა მხატვრული, ხოლო მოგვიანებით კი — პოლიტიკური ლიტერატურისადმი.

იოსებს უყვარდა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა; ხოლო რუსი მწერლებიდან — სალტიკოვ-შჩედრინი, გოგოლი, ტოლსტოი. იგი ეცნობა კ. მარქსის („კაპიტალის“ წაკითხვის შემდეგ), დარვინის, კანტის, პლეხანოვის იდეებს.

მოგვიანებით, გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან საუბარში ის იტყვის: „სემინარიაში არსებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდებისადმი პროტესტის გამო, მსურდა, რომ რევოლუციონერი გამოვსულიყავი და გამოვედი კიდეც მარქსიზმის, როგორც ჭეშმარიტად რევოლუციური სწავლების მიმდევარი“.

სემინარიაში იოსებმა დაწყებითი მუსიკალური განათლება მიიღო. ჰქონდა სასიამოვნო ხმას, იყო გუნდის ხელმძღვანელი, თავისუფლად მღეროდა ნოტებით. ხატავდა, წერდა ლექსებს, რომლებიც იბეჭდებოდა „კვალში“, „ივერიაში“. ლექსი „დილა“ მოგვიანებით „დედა ენაშიც“ შეიტანეს.

ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა. იოსები ხდება მე-19 საუკუნის რაციონალიზმის მიმდევარი, სჯერა მეცნიერების პროგრესის, რომელიც ყველა მითს ანადგურებს. სოციალისტების გაცნობა მასში ამ რწმენას ამყარებს. ბერებმა რაღაც იეჭვეს, მაგრამ სოციალისტებთან მისი კავშირის დამტკიცება ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, 1899 წლის 29 მაისს იოსებ ჯუღაშვილი სემინარიიდან გარიცხეს.

მას მღვდელმსახურების უფლება ჩამოერთვა, მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტი წლის მანძილზე სწავლობდა ღვთისმეტყველებას. რუსეთში რელიგია სახელმწიფოს სამსახურში შედიოდა და მეფე მასზე პირად ზედამხედველობას ახორციელებდა. უმაღლეს თანამდებობებზე კანდიდატებს მონარქი ამტკიცებდა. ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილი არ იყო. არსებობდა უმკაცრესი იერარქია.

რუსეთის სასულიერო პირებს ნიკოლოზ მეორესადმი მიწერილ საკუთარ წერილში დახასიათება მისცა თავადმა ალექსანდრე მიხეილის ძემ: „გონიერი ძალაუფლება უნდა შედგებოდეს, პირველ რიგში, სუფთა, ლიბერალური და მონარქიული პრინციპების ერთგული ადამიანებისა და არა — მემარჯვენე ან კიდევ უარესი, უკიდურესად მემარჯვენეებისგან, რადგან ამ კატეგორიის პიროვნებებისთვის ცნება ძალაუფლებას ნიშნავს: „პოლიციის მეშვეობით მართვას, საზოგადოებრივი ძალებისთვის თავისუფალი განვითარების აკრძალვითა და, ხშირ შემთხვევაში, არაფრის მაქნის სასულიერო პირთათვის განუსაზღვრელი თავისუფლების მინიჭებას“.

რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება სასულიერო პირებისადმი ნეგატიური იყო. ადამიანები შესანიშნავად ხედავდნენ, რომ ისინი ჩაფლული იყვნენ ანგარებაში, ლოთობდნენ, ეწეოდნენ გარყვნილებასა და ჩადიოდნენ სხვა ცოდვებს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ეკლესია სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან გაათავისუფლა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 20 იანვარს, საბჭოთა სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დეკრეტი სინდისის თავისუფლების შესახებ. ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ნებისმიერი რელიგიის აღიარება და შეეძლო ათეისტი ყოფილიყო.

სტალინი ალილუევასთან ერთად

დეკრეტმა ეკლესიისგან სკოლაც გამოყო. მრევლი და შესაწირი მცირდებოდა. ეკლესიის იერარქები და რიგითი მღვდლები, რომლებიც მთელი ცხოვრება მეფის მმართველობას ემსახურებოდნენ და ექსპლუატატორული წყობის შემადგენელი ნაწილი იყვნენ, თავიანთი მდგომარეობისა და კეთილდღეობის დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ. მათგან ბევრი დაადგა რევოლუციასთან ბრძოლის გზას, რითაც მათ მიმართ ხალხის სიძულვილი გააძლიერეს. ბრძენმა პატრიარქმა ტიხონმა, განკვეთის მუქარით აუკრძალა ერისკაცებსა და ღვთისმსახურებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო სიცოცხლის ბოლო დღეს კი მოუწოდა „რუსეთის ღვთივდაცული ეკლესიის ყველა შვილს, ხალხთა კეთილდღეობის აღმშენებლობის ამ საპასუხისმგებლო პერიოდში შემოუერთდნენ უზენაესის მიმართ აღვლენილ ჩვენს ლოცვებს, რათა ის შეეწიოს მუშათა და გლეხთა ძალაუფლებას საზოგადოების საკეთილდღეოდ მის მოღვაწეობაში“. სამწუხაროდ, ეს მოწოდება ყველამ როდი გაიზიარა, რასაც მთლიანად ეკლესიის დევნა და ღვთისმსახურთა რეპრესიები მოჰყვა.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ბრძოლამ პიკს იმ პერიოდში მიაღწია, როცა ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა საეკლესიო მწიფოში სხვადასხვა რწმენის ადამიანებმა დაიკავეს. მთავრობაში, საგანგებო კომიტეტში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში რუსები თითქმის არ იყვნენ.

სტალინი არასოდეს მონაწილეობდა ანტიეკლესიურ კამპანიაში, მაგრამ ძალა მაშინ მის მხარეზე არ იყო. ტროცკისთან და მის მიმდევრებთან მრავალი წლის უსასტიკესი ბრძოლა დასჭირდა, რათა ეკლესიების დანგრევის აკრძალვისა და დაპატიმრებული მღვდლების გათავისუფლების შესახებ პირველი დადგენილება მიეღოთ. ტროცკიზმის სრული განადგურების შემდეგ, 1939 წელს კი გამოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით მეორე დადგენილებაც. ორივეს ხელს სტალინი აწერდა.

ამ წლების განმავლობაში ეკლესია საბოლოოდ გადავიდა სახალხო პოზიციებზე, მთელი მისი მოღვაწეობა მიეძღვნა ახალი, სოციალისტური სამშობლოს მსახურებას, ცხოვრობდა მოკრძალებულად და რწმენით და ხალხი ტაძრებს დაუბრუნდა.

ფაშისტების თავდასხმის პირველივე დღეს მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტმა სერგიმ გამოაქვეყნა მოწოდება რუსეთის ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისადმი:

„ეკლესია აკურთხებს ყველა მართლმადიდებელს ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვრების დასაცავად, ღმერთი მოგვანიჭებს ჩვენ გამარჯვებას!“

1941 წლის 26 ივნისს მოწოდება წაიკითხეს მოსკოვის უფლის გამოცხადების სახელობის ტაძარში რუსეთის მხედრობის გამარჯვებისთვის გამოთხოვის შესახებ სა-

დღესასწაულო ლოცვის დროს. ლოცვის შემდეგ მიტროპოლიტმა სერგიმ ბრძანა: „ჩვენი სამშობლო განსაცდელშია და ის მოგვიწოდებს ჩვენ: „ყველანი აღვსდგეთ მშობლიური მიწის, მისი ისტორიული სიწმინდეების, უცხოელი დამპყრობლებისგან მისი დამოუკიდებლობის დასაცავად. სირცხვილი მას, ვინც გულგრილი დარჩება მისი მოწოდების მიმართ“.

1943 წლის 25 თებერვალს მიტროპოლიტმა სტალინს წერილი გაუგზავნა: „მორწმუნეები წითელი არმიის დახმარების სურვილით გამოეხმაურნენ ჩემს მოწოდებას: დიმიტრი დონელის სახელობის სატანკო კოლონის აგების შესახებ. სულ შეაგროვეს 600.000 მანეთი. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის ნივთები... მიიღეთ ყოველივე, როგორც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირთა და მორწმუნეთა საჩუქარი წითელი არმიის იუბილესთან დაკავშირებით“.

1943 წლის სექტემბერში სტალინი შეხვდა სამ მიტროპოლიტს. მიტროპოლიტმა სერგიმ დაიწუწუნა, რომ ეკლესიას მღვდლები აკლია. „რატომ არა გყავთ კადრები? სად წავიდნენ ისინი?“ — ჰკითხა სტალინმა. „კადრები სხვადასხვა მიზეზების გამო არა გვყავს, — დიპლომატიურად უპასუხა სერგიმ. — მაგალითად, ჩვენ ვამზადებთ მღვდელს, ის კი საბჭოთა კავშირის მარშალი ხდება“. სტალინმა ჩაიცინა. „თქვენ ახალი კადრები უნდა მოამზადოთ“. — თქვა მან. მიტროპოლიტებმა მღვდლების მოსამზადებელი კურსების გახსნა სთხოვეს. „რომელი კურსები! — შესძახა სტალინმა, — თქვენ სასულიერო სემინარიები და აკადემიები გჭირდებათ. ეს საქმე ბავშვობიდან უნდა ისწავლო“.

მიტროპოლიტებმა აღნიშნეს, რომ ცუდი არ იქნებოდა საეკლესიო კალენდრის გამოშვება, სადაც რელიგიური შინაარსის ტექსტები იქნებოდა დაბეჭდილი, პასუხად კი სტალინმა მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის აღდგენა შესთავაზა.

სერგიმ საეკლესიო კრების მოწვევისა და ახალი პატრიარქის არჩევის სურვილი გამოთქვა. „ხომ არ იქნება მთავრობა ამის წინააღმდეგი?“ „ეს თქვენი, საეკლესიო საქმეა“. — უპასუხა იოსებ ბესარიონის ძემ. საუბრის ბოლოსთვის მიტროპოლიტი ძალიან იყო დაღლილი. სტალინმა მას ხელკავი გაუკეთა, კიბეებზე ჩაიყვანა და გამომშვიდობებისას უთხრა: „მეუფეო, ეს არის ყველაფერი, რისი გაკეთებაც ამჟამად თქვენთვის შემიძლია“.

ომის რამდენიმე და ომისშემდგომ პირველ წლებში ეკლესიას დაუბრუნდა 14000 ტაძარი, 85 მონასტერი, გაიხსნა 2-2 სასულიერო სემინარია და აკადემია. 1945 წელს მოქმედებდა 22 ათასი მართლმადიდებლური ეკლესია. ეს შესაძლებელი გახდა ი. სტალინის პირადი ჩარევის შედეგად.

დიდი სამამულო ომი იმ დროს დასრულდა, როცა ეკლესია აღდგომას დღესასწაულობდა. მოსკოვის ქუჩებში გამარჯვების სალუტის ზალპები გრიალებდა, ხოლო აღდგენილ ეკლესიებში სადღეგრძელო მისალმება „ქრისტე აღსდგა!“ გამარჯვების მილოცვით მთავრდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ სფეროში სტალინი არასოდეს უშვებდა, რომ რუსეთისთვის უცხო კონფესიებს ქვეყნის ტერიტორიაზე ფართო მოღვაწეობის თავისუფლება მიეღოთ. **სტალინი დაეხმარა ეკლესიას საზოგადოებაში მისი ბუნებრივი ადგილის დაბრუნებაში.**

ბევრი ადამიანი, ვისაც სტალინთან ჰქონდა ურთიერთობა, მოწმობს, რომ სტალინი საკუთარ თავს ღმერთის მორჩილად მიიჩნევდა.

უინსტონ ჩერჩილმა 1942 წელს სტალინს ჰკითხა, აპატიებდა თუ არა იგი საბჭოეთის წინააღმდეგ 1918-1920 წლებში განხორციელებულ ანტანტის ინტერვენციაში მონაწილეობას. სტალინმა უპასუხა: „ეს ყველაფერი უკვე წარსულშია. ღმერთი გაპატიებთ“.

ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვს მან ერთხელ უთხრა: **„წამება მოგიწევთ. იესო ქრისტეც ეწამა და საკუთარი ჯვარიც კი ზიდა, შემდეგ კი ზეცად ამაღლდა. თქვენც ეწამეთ, შემდეგ კი ამაღლდებით“.**

ინტერესმოკლებული არ იქნება სტალინის პასუხი გენერალ ნ. დ. იაკოვლევის შეკითხვაზე, „რა მოვიმოქმედოთ იმ ხმლებთან დაკავშირებით, რომლებიც სასწყობებშია შემონახული და ზედ წარწერა აქვს „რწმენის, მეფისა და სამშობლოსთვის“. შეიძლება თუ არა, ისინი დავარიგოთ?“ სტალინმა ჰკითხა, ბასრი იყო თუ არა ის ხმლები — „თუ ჰო, გაეცით, იბრძოლონ „რწმენის, მეფისა და სამშობლოსათვის“.

სტალინი-პოლიტიკოსი ყოველთვის ცდილობდა, ხალხში მართლმადიდებლობის საუკეთესო თვისებების შენარჩუნებას. იგი ვერ იტანდა ინდივიდუალიზმს, გრძნობებით სიამოვნების კულტს, მომხვეჭელობის წყურვილს, კოსმოპოლიტიზმსა და სიზარმაცეს. მას სჯეროდა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობისა, სადაც სოციალისტური იდეები გამომუშავდებოდა და მათი ათვისება მოხდებოდა. ეს იყო მისი ოცნება.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

ქართული კალაპოტი

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს სრული ელექტროფიკაციისათვის მზადება. ენგურჰესი, რომლის მშენებლობა ვასილ მჟავანაძემ დაიწყო, საბჭოთა კავშირის ყველაზე მასშტაბიანი პროექტი იყო, რომელზეც ქართველი ენერგეტიკოსები მუშაობდნენ. სწორედ ენგურჰესის წყალობით დაიწყო საქართველოს სრული ელექტროფიკაცია და დიდ ქალაქებში, დაბებსა თუ სოფლებში უწყვეტად იყო სინათლე.

როგორ შენდებოდა ენგურჰესი

1954 წლის დასაწყისია. სულ რაღაც ექვსი თვეა გასული, რაც ვასილ მჟავანაძე საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტზეა, საქმე ბევრია და, პირველ რიგში, ელექტროფიკაციის საკითხი დგას.

ვასილ მჟავანაძე თავის კაბინეტში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს — გივი ჯავახიშვილს იწვევს სათათბიროდ და ენგურზე კაშხლის აშენების პერსპექტივაზე ესაუბრება. რაღა თქმა უნდა, შესანიშნავი პერსპექტივაა, იწონებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თუმც მისი განხორციელებისათვის რთული გზა იქნება გასავლელი, წინ ხომ კრემლია?!

ენგურჰესი ჯერჯერობით მხოლოდ იდეაა, რომელსაც ენერგეტიკოსები განიხილავენ, შემდეგ უნდა მომზადდეს პროექტი და, რაც ყველაზე რთულია, ამისათვის ფინანსები კრემლმა უნდა გამოყოს. ხრუშჩოვის დაყოლიება — ასეთი მასშტაბური პროექტისათვის საკავშირო ხაზინიდან თანხები გამოყოს, იოლი არ იქნება. მომენტი უნდა დაიჭირო და ისე მიაწოდო პროექტი, რომ უარი ვერ თქვას; სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, იტყვის: — რაში გჭირდებათ ქართველებს ამხელა კაშხალი, აუცილებელი არ არის ყველა ოჯახში სინათლე იყოს. თქვენ, ქართველები, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობთ. ციმბირელებმა რა ქნან?! წელიწადში ერთი თვეც არ ათბობთ მზე, თქვენ, ქართველებს მანდარინიც გეყოფათ და სხვ.

ოთარ ჭითანავა (ენერგეტიკოსი, ენგურჰესის მშენებლობის მონაწილე): „ვასილ მჟავანაძემ და გივი ჯავახიშვილმა ხრუშჩოვს, შეიძლება ითქვას, დასტყუეს თანხა, რომლითაც ენგურჰესის მშენებლობა უნდა დაეწყოთ. შვილივით უყვარდა ვასილ მჟავანაძეს ეს მშენებლობა, თითქმის სულ იქ იყო. ყველა ინჟინერსა და მშენებელს თვითონ არჩევდა და პირადად ეცნობოდა. სწორედ იქ გავიცანი ვასილ პავლოვიჩი. ამ მშენებლობასთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს გიამბობთ:

ზუგდიდში შეიქმნა ენგურჰესის ხელმძღვანელობის ცენტრი — პარტიისა და კომკავშირის ქალაქკომები. ამ სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად თბილისიდან ცეკას მდივანი რეზო ფრუიძე ჩამოვიდა. ცეკამ პარტიის ქალაქკომის პირველ მდივნად წარადგინა ალექსანდრე ჭითანავა, ჩემი მოგვარე, გაგრის რაიკომის მდივანი, კომკავშირის პირველ მდივნად კი — მე. ჯერ, რა თქმა უნდა, გაიკითხეს ნათესავები ხომ არ ვიყავით, შემდეგ კი ბიუროს სხდომაზე მჟავანაძეს წარუდგინეს ჩვენი კანდიდატურები. მჟავანაძემ იკითხა:

— ნათესავები ხომ არ არიან?

— არა, მოგვარეები არიან, — უპასუხა ფრუიძემ.

— მაშინ, იმ ჭითანავას რომ მოვხსნი, ამას დავნიშნავ.

გაიცინა მჟავანაძემ და მისმა სიტყვებმა ყველა გაამხიარულა. მინდოდა, მეკითხა — მალე თუ აპირებთ ალექსანდრე ჭითანავას მოხსნას, მე რომ დამნიშნოთ-მეთქი, მაგრამ ვერ შევბედე ხუმრობა.

ენგურჰესზე მუშაობდნენ ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ კონსტანტინე დადიანი, ლევან გაჩეჩილაძე, გიზო ჩუბინიძე და ნიკოლოზ ესაკია — ენგურჰესის მშენებლობის ყველაზე კოლორიტული ფიგურა.

18 წლის მანძილზე ენგურჰესი ინტენსიურად შენდებოდა და მას მთელი საქართველო აშენებდა.

ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ: ერთ დღეს, ენგურჰესზე მჟავანაძე ჩამოვიდა. მშენებლობის დაწყებიდან დაახლოებით ათი წელია გასული. ადგილობრივ მცხოვრებთ, რომელთაც ადრე მიწურები ჰქონდათ, ირგვლივ ორსართულიანი სახლები წამოეჭიმათ. ვიღაცამ მჟავანაძეს უთხრა, გარშემო დიდი სახლები რომ არის აშენებული, ენგურჰესიდან მოპარული ცემანტითაა. გადახედა მჟავანაძემ სახლებს, სახეზე სიამოვნება დაეტყო, მართლაც ლამაზი სახლები იყო, და თქვა:

— ცემენტი ბევრია, ენგურჰესს რომ სჭირდება იმაზე მეტი. ხალხმა სახლები თუ აიშენა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, კუთხე გალამაზდა, ოჯახები გამრავლდა, საქართველო დამშვენდა.

ენგურჰესი გრანდიოზული მშენებლობა იყო და სწორედ ამ გიგანტის წყალობით განხორციელდა საქართველოს სრული ელექტროფიკაცია“.

რას შემალავდა მჟავანაძე კრემლს

თავის დროზე ვასილ მჟავანაძეს ძალიან ბევრი საყვედურობდა, რომ იგი ყურადღებას არ აქცევდა ნავთობის მოპოვების განვითარებას. ამის გამო, გეოლოგების ჯგუფმა საკავშირო მთავრობაში, მოსკოვში იჩივლა — ძიებები ჩავატარეთ და საქართველოში დიდძალი ნავთობი აღმოვაჩინეთ, მაგრამ ადგილზე ხელს არ გვიწყობენო. მიზეზი თურმე ცეკას პირველი მდივანი ყოფილა. ვასილ მჟავანაძე პირადად შეხვედრია გეოლოგებს, საქართველოს „გოსპლანის“ მუშაკებს და უთქვამს: მთელი რუსეთი ნავთობს მიაქვს, რა გინდათ ამ ქართულ ნავთთან, იყოს მიწაში, რა იცით, რა

დროს გამოგვადგებაო. იხსენებს თავის ინტერვიუში ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ „რესპუბლიკის“ რედაქტორი ჯემალ ნინუა.

ჯემალ ნინუა (ეპიზოდი წიგნიდან „ასეთი იყო ჩემი საქართველო“): „ძველად სარკინეთი იმ ადგილებს ერქვა, სადაც სამოცდაათიან წლებში მადნეულის უზარმაზარი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ჩადგეს. სპილენძი, თუთია, ტყვია, ბარიტი და, რაც მთავარია, ოქრო და ვერცხლი — ყველა ეს სიმდიდრე აქ არის. მაშინ ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებზე ნაკლებად ფიქრობდნენ, მოსკოვს ხან სახსრები არ ჰქონდა და ათას რამეს იმიზეზებდნენ, რომ უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური პრობლემებისათვის თავი აერიდებინათ.

ამ დროისათვის, მოსკოვში, ფერადი მეტალურგიის სამინისტროში მთავარ ექსპერტად მუშაობდა კონდრატე მაწკეპლაძე. იგი სსრ კავშირის ოქროს სამრეწველო მოპოვების ერთ-ერთი გრანდი გახლდათ. განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული. 30 წლისა უკვე შორეული აღმოსავლეთის ოქროს სარეწებს ხელმძღვანელობდა. 18 წელი იაკუტიის ოქროს საბადოების უფროსი იყო და იქ გახდა სოციალისტური შრომის გმირი. შემდეგ მოსკოვში გადმოიყვანეს და მთელი საბჭოეთის ფერადი მეტალურგიის კურირება დაავალეს. საოცრად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ამ კაცს.

როდესაც სარკინეთში უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება გართულდა, მჟავანაძეს სწორედ კონდრატე მაწკეპლიძისათვის მიუმართავს — „რა გინდათ ამ საქართველოს ოქროსაგან? მადანი და ოქრო რომ მიგაქვთ, ქვეყანა ხომ არ უნდა დააქციოთო?“ — ჯიქურ მომმართა, თითქოს მე ვწყვეტდი ამ საქმესო,“ — ღიმილით იხსენებდა ბატონი კონდრატე ამ ეპიზოდს ჩემთან საუბარში. მაშინ გავიგე, რომ დიდად გაისარჯნენ თურმე, რათა ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებებისათვის დაფინანსება გაეზარდათ და საქართველოსათვის სასარგებლო ზოგიერთი სხვა საკითხიც გადაეწყვიტათ.

მახსოვს, ახალგაზრდობის შეკრებაა ბორჯომში, მჟავანაძეს ვხვდებით და მაშინ ასეთი რამ თქვა მჟავანაძემ: „კალაპოტია მთავარი, თორემ წყალი ყველგან ბევრია!“. ქართულ კალაპოტს გულისხმობდა, ქართულ კალაპოტს აშენებდა და ქართული განვითარების გზით მიყავდა ქვეყანა“.

ქართველ მეცნიერთა ეპოქა

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მშენებლობა, სამეცნიერო კადრების ზრდა. ამაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. პერსპექტიული ქართველი მეცნიერები, რომლებიც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში იყვნენ გაბნეულნი — მოსკოვში, ლენინგრადში, ციმბირის სამეცნიერო ცენტრებში, საქართველოში ჩამოყავს და საუკეტესო პირობებს უქმნის სამუშაოდ. სულ რაღაც შვიდ წელიწადში საქართველოს მეცნიერთა კოჰორტა ერთ-ერთი წამყვანი ხდება მთელ საბჭოეთში.

გურამ ხარატიშვილი (კიბერნეტიკოსი, აკადემიკოსი): „50-იანი წლებიდან მეცნიერული პოტენციალის მკვეთრი ზრდა დაიწყო საქართველოში. იქმნებოდა ახალი მეცნიერული კერები, რომელთა დაარსება უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ყოველ ასეთ გადაწყვეტილებას, საქართველოს ხელისუფლების შუამდგომლობის საფუძველზე, საკავშირო მთავრობა იღებდა. ამ ჯებირის გადალახვა ერთობ რთული იყო. ახალ სამეცნიერო დაწესებულებას სჭირდებოდა შენობა, შტატი, აღჭურვილობა, დაფინანსება, რაც, აგრეთვე, მოსკოვის პრეროგატივა იყო. ყოველი ინსტიტუტის დაარსება ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავდა. სწორედ ასეთ ვითარებაში საქართველოში დაარსდა:

1956 წელს — არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი (1970 წლიდან მართვის სისტემების ინსტიტუტი), გამოთვლითი ცენტრი — მათემატიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც იმ დროისათვის უახლესი და უნიკალური გამოთვლითი მანქანით აღიჭურვა;

1957 წელს — გ. წულიკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი;

1958 წელს — საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პრობლემებს სწავლობდა;

1959 წელს — ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორი, რომლის მშენებლობა 1957 წელს დაიწყო და პირველი კვლევითი რეაქტორი იყო ამიერკავკასიაში;

1960 წელს — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველი იყო;

1963 წელს — მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორია, რომელი 1971 წელს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტად გარდაიქმნა;

შეიქმნა მთელი რიგი დარგობრივი ინსტიტუტები, მათ შორის — თბილისის „ანალიზხელსაწყო“, გორის „რიიავტომატპრომი“ საცდელი წარმოებითურთ;

აშენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი და იქვე დაარსდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც მისი დამაარსებლის — ილია ვეკუას სახელს ატარებს;

აშენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი სპეციალური შენობა, სადაც აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკიდან 1956 წელს მიღებული ძველი ქართული ხელნაწერების მიკროფილმები (70 ათასი გვერდი) ინახება;

შეიქმნა ნახევარგამტარებზე დაფუძნებული ელექტრონული ელემენტებისა და მოწყობილობების ფლაგმანი საქართველოში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“ თავისი წარმოებით, რომელიც მრავალათასიან კოლექტივს აერთიანებდა;

მაშინდელი საქართველოს მეცნიერულ პოტენციალს წარმოადგენდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, ივანე ბერიტაშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, გიორგი წერეთელი, ევგენი ხარაძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, კირიაკ ზარიევი და სხვანი.

მარიკა კახაძე

გრიგოლ რობაქიძე

ტოლსტოის დღეები

გრიგოლ რობაქიძე

I

გელენჯიკი. შუა აგვისტო.

ყოფილი სატახტო ქალაქი ჩერქეზეთის. ზღვის-პირია. თითქო პოსეიდონის გაავებულში ბედაური მიხლია ტორებით მთას გახელებული: მთა შეურღვევია — გაჩენილა ნატერფალი ფლოქის. ეს სრუტეა გელენჯიკის (თექვსმეტი ვერსი ირგვლივ).

გელენჯიკი: „თეთრი რძალი“ (ალბათ, ჩერქეზულად).

სუნთქვა გადასული ხალხის, რაინდულის.

ყვითელი მზე და ხვლიკის-ფერი ზღვა. ვისვენებ. ვარ მოცილებული: მეგობრებს, ნაცნობებს, წიგნებს, საკუთარ თავსაც. (უკანასკნელი არ არის მართალი: ვმართავ სცენებს ახალი დრამისას, ისე, როგორც კინორეჟისორი აკეთებს ფილმის კადრებს).

მსოფლიოსთან მაკავშირებს მხოლოდ „იზვესტია“.

უეცრად „ტოლსტოის დღეების“ ამბავი — (ტოლსტოის ასი-წლის თავი დაბადებიდან სრულიად დამავიწყდა). საიუბილეო კომიტეტი შედგომია სამზადისს.

მოწვეულ არიან უცხოელნი: რომენ როლლან, ანრი ბარბიუს, სტეფან ცვაიგ, ბერნჰარდ კელლერმან, ტომას მან, ჰაინრიხ მან, გელსუორსი, ბერნარდ შოუ, კნუტ ჰამსუნ, დიუამელ, რაბინდრანატ ტაგორ, მაჰატმა განდი. მრავალი სხვა: მწერალი და სწავლული.

მსურს დავესწრო დღესასწაულს. მინდა ნახვა რომენ როლლანის და სტეფან ცვაიგის. განსაკუთრებით უკანასკნელის — (გასაგებია: მისი სახელი ძალიან დაკავშირნებულია ჩემი რომანის გამოსვლასთან ევროპაში).

ვსწერ წერილს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართ.

* * *

აგვისტოს ბოლო.

წერილზე პასუხი არ მოდის.

ვფიქრობ: ალბად ტფილისში პრეზიდიუმიდან აღარავინაა — სიცხეებია და წასული იქნებიან.

ვუგზავნი დეპეშს სტეფან ცვაიგს ზალცბურგში: დაესწრება თუ არა მოსკოვში ტოლსტოის იუბილეს.

მესამე დღეს ვკითხულობ „იზვესტიაში“: სტეფან ცვაიგ წამოვა მოსკოვისაკენ სექტემბრის შვიდს ან რვას.

სექტემბრის 6.

პასუხი ტფილისიდან არაა.

ვემზადები მოსკოვში გასამგზავრებლად.

მოვიდა ცვაიგის პასუხიც: დაესწრება.

შინ მეუბნებიან: ნუ ჩქარობ, ხვალ გაემგზავრე, მაინც მოასწრებ. არ ვუჯერი. (კარგი ვქენ, რომ არ დავუჯერე: მეორე დღეს გელენჯიკ-ნოვოროსიისკის გზატკეცილზე რამოდენიმე ავტობუსი გაეძარცვავთ ზედიზედ).

მივყივარ ზღვის-პირას ავტობუსით.

გზა კარგია და სანახაობაც გვარიანი.

ნოვოროსსიისკში მძვინვარებს „ნორდ-ოსტი“. აქ „ცემენტს“ ამზადებენ. მტვერი საშინელია. „ნორდ-ოსტის“ დროს ნოვოროსსიისკი აუტანელია (როგორც ბაქო).

საღამოს გავიდა ჩქარი მატარებელი.

უბედური შემთხვევა.

კრასნოდარის ახლო, ღამით, მატარებელი დაეტაკა თივით დატვირთულ ურემს. ურემი დაამსხვრია. ერთი ცხენი იქვე გასრისა. მეორეს ფეხი მოამსხვრია. მეურმენი? მათ ეძინათ (ორ ახალგაზრდას) მაღლა თივაზე (თივაზე ძილი ღამით მაგარია). ცხენები თავისით იკვლევდენ გზას. დატაკებისას ერთი მეურმე განზე გადავარდა (არ დაშავებულა, დაიბეგვა მხოლოდ), მეორე ორთქმავალის ცხვირზე მოექცა (არ დასახიჩრებულა: მხოლოდ „კანტუზია”).

სექტემბრის 8.

ახლოვდება მოსკოვი. გელენჯიკის ხსოვნა იკარგება. ნისლი მატულობს. მზე იმალება. მოსკოვთან მზე აღარ ჩანს. თვითონ მოსკოვში წვიმაა. დაბრუნებული მოაგარაკენი იწყევლებიან.

საღამოა უკვე. ვურეკავ ტელეფონით ნაცნობებს. ვერავინ გამოვიხმე: ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან საგრილოდან თუ ევროპიდან.

გავემართე სერგეი გოროდეცკისთან.

გავიგე მასთან ყველაფერი, რაც კი დღესასწაულს ეხება.

წავედით „დიდ თეატრში“. მიდიოდა „თავადი იგორ“. იქ გავიცანი ამხ. შულმანი, „გლავისკუსსტვოს“ მდივანი. მან ყველაფერი გადმომცა დაწვრილებით.

სექტემბრის 9.

გაზეთების ცნობა: დღეს მოელიან უცხოელ მწერლებს. მათ შორის: კელლერმანსა და ცვაიგს.

გავემართე ბალტიის სადგურისაკენ.

იქ უკვე მოსულიყვნენ „ვოკსის“ — (საკულტურო კავშირის საზოგადოება) — წარმომადგენელნი. აგრეთვე: ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, „როსტა“ და კინო-გადამღები.

1 საათსა და 10 წუთზე მოვიდა ჩქარი მატარებელი.

მე ვეძებ ცვაიგს, არ არის.

მითხრეს: ხვალ მოვაო.

გადმოხტა ბერნჰარდ კელლერმან. შუა ტანის. ცოტა კორძიანი. თმა თითქმის სულ შევერცხლილი. დასიცხული. სახე ბრინჯაოსი. მეტ-

ყველება მაგარნი. სიტყვა მჯერი. გარეგან: უბრალო (ჩაცმულობით — კიდევ უფრო).

გავეცანით.

ახრიალდა კინო-აპარატი. ფოტოგრაფებს სად გაექცევი?

კელლერმან იღიმება. გადაიღეს ყოველი მისი ნაბიჯი.

ჩასვეს ავტოში და წაიყვანეს „გრანდ ოტელში“.

ამავე მატარებლით ჩამოვიდა ა.ვ. ლუნაჩარსკი.

მითხრა: ვისბადენში ვიყავი ერთი თვით. უნდა დავსწრებოდი ტოლსტოის დღეებს რასაკვირველია. არ ვიცი, როგორ მოაწყეს სამზადისი...

„უთუოდ ყველაფერი რიგზე იქნება“ — ვუპასუხე.

სექტემბრის 10.

იმავ მატარებლით მოვიდა სტეფან ცვაიგ.

იგივე საზოგადოება დამხვედრი.

ფოტოგრაფები არ ზოგავენ აპარატებს. რეპორტიორები თავს ესხმიან.

შევხვდი. ძალიან გაეხარდა. ერთი-მეორე არ გვენახა არასოდეს, თუმცა თითქმის ორი წელია, მუდმივი მიწერ-მოწერა გვაქვს გამართული.

მომახარა:

„თქვენი რომანი ამ დღეებში გამოვა. წინასიტყვაობა წამოსვლის წინ დავსწერე. ვჩქარობდი: მოწვევის ბარათი გვიან მივიღე“.

გავემართეთ „გრანდ-ოტელისაკენ“.

არც ერთი ფოტოგრაფია არ გადმოცემს ცვაიგის სახეს. ამის შესახებ, რამოდენიმე დღის შემდეგ კიდეც გავეხუმრე: „ჰერრ ცვაიგ, ფოტოგრაფია ვერ ახირხებს თქვენ გადაღებას. ძველ რწმენას თუ დავუჯერებთ, ეს კარგია“...

„როგორ?..“

„ძველი რწმენით, სახის ობიექტივაცია (გამოსახვა თუ გამოკვეთა) სიცოცხლეს უკლებს პიროვნებას, ართმევს რაღაცას, აცლის“...

„ჰა�ა... მაშ, ახალგაზრდად მთვლით ეხლაც“...

ცვაიგ იცინის.

მართლაც: იგი 47 წლისაა და 37 წლისად გეჩვენებათ. თმაში თეთრს ვერ მოუძებნით. ტანით: საშვალოზე მაღალი. მსუბუქი. ნაზი (ხელები ქალის ხელებს უგავს). შავგვრემანი. თვალებში: ხალისი (შორიდან მოსჩანს სევდა). პირველი შეხედვით: მწერალს, პოეტს არ ჰგავს. ჩვეული ევროპიელი, ჩრდილი, თავაზიანი (მეტად), ჩაცმულობა — კარგი (თვალში არ გეცემა). სუფთა. დაკვირვებული. პირველი შეხედვით კიდეც გაგიკვირდებათ: ეს კაცი წერს ამ ნოველებს და ამ მონოგრაფიებს?! მაგრამ ეს „გარეგანი ხედვაა“. შიგადაშიგ ცვაიგს სახე ეცვლება. ხანდახან, გაკვრით, ჩნდება სულიერი დაძაბულობა. ეს მალულად ხდება: ასე ვთქვათ — „განზე“. უნდა „შეისწრო“: მხოლოდ მაშინ ხედავ მისი სახის ნამდვილ მეტყველებას.



ლევ ტოლსტოი

მოვათავსეთ „გრანდ-ოტელში“.

ცვაიგ გახარებულია, აღფრთოვანებულია. ამბობს:

“როგორც იქნა, მოველ რუსეთში, დოსტოევსკისა და ტოლსტოის რუსეთში. მაგრამ უბედურება ის არის. რომ ენა არ ვიცი ამ დიდი ხალხის. ეს კატასტროფაა ჩემი სიცოცხლის: რამდენი თემებია ეხლა რუსეთში?..“

ბევრი ვიბაასეთ. ვეკითხები:

„რად არ მოვიდა რომენ როლანი?..“

„ავად არის, თორემ უთუოდ დაესწრებოდა ზეიმს“...

სამ საათზე სტენოგრაფისტი უნდა მოსულიყო.

გამოვეთხოვე...

ექვს საათზე შევიარე: „დიდ თეატრში უნდა წავსულიყავით. „სიტყვა უკვე დაემზადებინა წარმოსათქმელი.

მეუბნება:

„ფრაკი არ წამომიღია, არც სმოკინგი“...

„აქ არაა საჭირო: არც ფრაკი და არც სმოკინგი“...

შევედით თეატრში. გაკვირვებულია შენობით. გაგვიყვანეს სცენაზე...

საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა ა.ვ. ლუნაჩარსკიმ. მთელმა საბჭოთა კავშირმა იცის, რომ ლუნაჩარსკი ძალიან მჭერმეტყველი მოლაპარაკეა: ძნელ თემებზედაც. ამ საღამოს მის წინ მეტად რთული თემა იდგა. ერთი მხრით: ტოლსტოი, უუდიდესი ფენომენი კულტურის. მეორე მხრით: კომუნიზმი, რომელიც ტოლსტოიზმს ვერ ეგუება. საზეიმო სიტყვაში უთუოდ კრიტიკაც უნდა შეჭრილიყო. ეს კი ძნელია მოსახერხებელია. და უნდა ითქვას მართალი: ა.ვ. ლუნაჩარსკიმ პირნათლად სძლია ყოველი სიძნელე. რამდენი წინ მიდიოდა, იმდენი უფრო დიდი სიძნელე იმართებოდა. ხოლო იმდენადვე ძალუმი იყო მეტყველის შეტევა. ეს სიტყვა ყველამ იცის გაზეთებით და აქ არ მოვიყვან მას. ვიტყვი მხოლოდ: მარქსიზმის მეთოდით მისვლა ტოლსტოისთან მეტად ორიგინალური ფორმებით იყო გაყვანილი. ჩვენ ვაფასებთ ტოლსტოის, — დაასრულა მეტყველმა, — მაგრამ ვიმეორებთ ლენინის სიტყვას: „აქედან — აქამდე“...

სტეფან ცვაიგ აკვირდებოდა ლუნაჩარსკის სიტყვას. „ძალიან მაგარი ორატორი ყოფილა“, — ჩამჩურჩულა. შიგადაშიგ მთხოვდა, სიტყვის ზოგიერთი ადგილი გადამეცა. მეც ვუთარგმნიდი. ამავე დროს შენიშვნებს აკეთებდა: ალბად ორატორული მანერისა და ხერხის შესახებ. თანვე რვეულს ფურცლავდა; წარმოსათქმელ სიტყვას ასწორებდა.

მეორე სიტყვა პროფ. საკულინმა აიღო. გარეგნობით სლავიანოფილს ჰგავს, ძველს: კირეევსკის თუ აკსაკოვს თუ ხომიაკოვს. ლაპარაკობდა ტოლსტოიზე როგორც ხელოვანზე. ტოლსტოი არ უარყოფდა ხელოვნებას, — ამბობდა იგი: ტოლსტოის სძაგდა მხოლოდ გადაგვარებული ხელოვნება და სხვა.

სტეფან ცვაიგს დაღლილობა ეტყობა. ათვალიერებს პროფილებს. ვიღაცას თვალი მოჰკრა:

„შეხედეთ იმ კაცს... რა პროფი-

ლია... სწორუპოვარი... გასაოცარი, გასაოცარი“...

გავიხედე: შავი კაცი, ნამლევა, დიდი თმა და მოზრდილი წვერი, მიმქრალი, თითქო სანთლისაგან ჩამოქნილი, ფერი — ყვითელი პერგამენტი, თვალები ანთებული. ზის თავისთვის: თითქო თვალღია სიზმარშია, სახე ადამიანის, რომელსაც „ამ სოფელთან“ აღარაფერი დარჩენია.

“ბიბლიიდან არის ამოვარდნილი, ან უკეთ: თქვენი იერემიიდან“...

მივუგე ცვაიგს (“იერემია“ ცვაიგის ტრაგედიაა).

ცვაიგ თვალს ვერ აცილებს ამ ბიბლიურ სახეს...

აკადემიკოსი ოლდენბურგი ავად იყო და არ მოსულა. მას უნდა წაეკითხა „ტოლსტოი და მეცნიერება“. მის მაგიერ ილაპარაკა შაკიმ. მხოლოდ თემა სხვა იყო: „ტოლსტოი და პედაგოგიკა“. სიტყვა მოსაწყენი გამოვიდა. იწყეს მთქნარება.

გათავდა პირველი ნაწილი ზეიმის.

დაუკრეს ბეეტჰოვენის მეხუთე სიმფონია, რომელიც ტოლსტოის ძალზე უყვარდა.

„დიდი თეატრის“ ორკესტრმა თავი ისახელა. სტეფან ცვაიგ სმენად იქცა. შიგადაშიგ ვერ ითმენდა და აფრთოვანებით ჩურჩულებდა: „გასაოცარია, გასაოცარი“...

ერთ ალაგას მეც წავიჩურჩულე:

„მუსიკა — აი ნამდვილი ხელოვნება“...

„შეიძლება — ერთად ერთიც“...

გაისმა ცვაიგის სიტყვა.

დასრულდა სიმფონია და „დიდი თეატრი“ აგრიალდა ტაშით. განსაკუთრებით ბევრს უკრავდნენ უცხოელები...

ა.ვ. ლუნაჩარსკიმ გამოაცხადა: სიტყვა ეძლევა ავსტრიელ მწერალს სტეფან ცვაიგს. ადგა უკანასკნელი — გაისმა ტაშის გრიალი. მივიდა კათედრასთან — ტაშის გრიალი გრძელდება. ცვაიგ აღელვებულია და საზოგადოებას თავს უკრავს — გრიალი კიდევ უფრო ძლიერდება. შეხვედრა გადაიქცა ნამდვილ ოვაციათ. ასეთი ოვაციით მას ალბად ევროპაშიაც არ შეხვედრიან არასდროს. ცვაიგს ეტყობა აღელვება, მაგრამ ისეთი, რომელიც აფრთოვანებას კიდევ უფრო მეტ ფრთებს ასხამს.

იწყო ლაპარაკი. იგი არ არის „ორატორი“, მაგრამ „მეტყველი“ კარგია მაინც: ინტიმური, მიმწვდომი. ხმა — ნელი, მშვიდი. არავითარი ჟესტიკულაცია, მხოლოდ: წელში თუ მხრებში იღუნება ხანდახან. თემა იყო ასეთი: „ტოლსტოი და უცხოეთი“. ცვაიგმა მაგარი ზოლებით გადაშალა, თუ როგორ ბარბაროსული ძლევამოსილებით შეიჭრენ ევროპაში დოსტოევსკი და ტოლსტოი: დოსტოევსკი — ეს ანთებული ნერვი რუსეთის სულის, ტოლსტოი — ეს გაწოლილი ველი რუსეთის სიფართოის. გახსნა ლიტერატურული კვანძი ტოლსტოის. გაიხსენა ორი „მორალური გენია“, რომელიც „სხივად მოიღო“ ტოლსტოიმ: დასავლეთში — რომენ როლლან და აღმოსავლეთში — მაჰატმა განდი.

„ტოლსტოი თავის კაბინეტში“ (ვ.ნ. მეშკოვის ნახატი, 1910 წ.)

გაათავა სიტყვა. ტაში. გადათარგმნეს — კიდევ ტაში.

შემდეგ გამოვიდა ბერნჰარდ კელლერმანი. შეხვდენ დიდი ტაშისცემით. მან წაიკითხა მოკლე „სიტყვა“, პოეტურ ფორმებში გამოკვეთილი. ტოლსტოის ფენომენს „ბიბლიურად“ სახავდა. თუმცა კითხულობდა „სიტყვას“, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც დიდი დასტოვა.

გაიხსნა მისალმება. ზეიმი გრძელდება. ცვაიგს დაღლილობა ეტყობა.

ოლგა დავიდოვნა კამენევა, „ვოკსის“ თავმჯდომარე, მეკითხება: თქვენ როდის ილაპარაკებთ? — მწერალთა კავშირში, — მივუგე.

ცვაიგ აღარ იცდის. გავედით.

ეტყობა: „მიღებით“ გახარებულია, შემთვრალებულს ჰგავს.

ვიწყეთ „ყიალი“ ქუჩებში. შეექცევით ყურძენს. მივადექით „ივერსკაიას“. ცვაიგ შეჩერდა. სალოცავი ჩაკეტილი იყო. სანთელი ბჟუტავდა. ცვაიგმა იცის, რომ ძველად „იბერია“ სახელი იყო საქართველოსი. უკანასკნელიც შეიჭრა სიტყვაში.

გავედით „წითელ მოედანზე“. მოჩანს ლენინის მავზოლეი. „მე უფრო დიდი მეგონა“, — ამბობს ცვაიგ. მავზოლეი აცხადებს (დამშვიდებით და გაცეცხლებით) უტეხ სიძლიერეს. „რომ შეიძლებოდეს ნახვა”: ჩურჩულებს ცვაიგ. იქვე მილიციონერია. გვეუბნება: ნახვა შეიძლება ყოველდღე 5-დან 6-მდე გარდა ოთხშაბათისა. გავყევით ქვევით. ცვაიგ აკვირდება კრემლის კედლებს. მოსწონს. მივუახლოვდით „ვასილი ბლაჟენნის“ ეკლესიას. ცვაიგ ათვალიერებს მის აღნაგობას, გაკვირვებულია: მოსწონს მეტად. შიგადაშიგ წარმოსთქვამს დანელებული აფრთოვანებით: „რუსეთი, რუსეთი“. ვეღარ მოვითმინე:

“წამოდით საქართველოში და კათედრალებს ისეთს გაჩვენებთ, რომ... ხო დამპირდით გერმანიაში?”

“ჩემი მოსვლა რუსეთში არ არის უკანასკნელი... უთუოდ მოვალ კიდევ. მაშინ აქედან საქართველოსაც ვეწვევი.. უთუოდ... ოოჰ, ლეგენდარული „სამხედრო გზა“ საქართველოსი!”

ცვაიგ რომანტიკაში გადავიდა.

გამოვბრუნდით. აკვირდება მაღაზიებს და ფასებს კითხულობს.

დიდხანს ვიხეტიალეთ.

ვახტანგ ჭაბუკიანი

„...მთელი სპექტაკლის მანძილზე არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს ვახტანგ ჭაბუკიანს, მაგრამ ისე ძერწავდა სახეს თავისი სხეულის მოძრაობით და სულს ჰფენდა თავისი გულით ისე, რომ მე მესმოდა ოტელოს მონოლოგი, მესმოდა მისი გმინვა, მისი კვნესა, მისი ტირილი... მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ქედს ვიხრიდი მისი თვალისმომჭრელი ნიჭის წინაშე და ახლა მე იგი უკვე შევიყვარე შექსპირის ტრაგედიის არაჩვეულებრივი, განუმეორებელი სახის შექმნისათვის“.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი
ვერიკო ანჯაფარიძე

ოტელოს როლში

ვახტანგის მამა მიხეილ ჭაბუკიანი დურგალი გახლდათ. წვრილშვილის პატრონი თავისი ხელობით ოჯახს ძლივს ინახავდა. ვახტანგი ვერის მესამე დაწყებით სკოლაში სწავლობდა და თან შევალიეს სახელოსნოში შეგირდად მუშაობდა.

თბილისში სახელგანთქმული ფრანგი იურისტის — ლეონიდ შევალიეს შვილი, მარიამი პირველი იყო, ვინც პატარა ბიჭუნას ნიჭიერება შეატყო და შეეცადა მისი განვითარებისათვის ხელი შეეწყო. ალტრუისტული იდეებით გატაცებულმა მარიამ შევალიემ ყოფილ ტერგუკასოვის (ამჟამად გურამიშვილის) ქუჩაზე სუსანა ხითაროვასთან ერთად ღარიბთა შვილებისათვის გახსნა სახელოსნო, სადაც შეგირდებს მუქთად ასწავლიდნენ და შესრულებულ სამუშაოში გასამრჯელოსაც აძლევდნენ. პატარა ვახტანგი დამ ლენამ შევალიესთან მიიყვანა. სახელოსნოში მისი მეორე და თამარიც მუშაობდა. პატარა ბიჭუნა დიდხანს ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, როგორც კი დროს მოიხელთებს ცეკვავს, ციბრუტივით ტრიალებს, შევალიემ გადაწყვიტა ამაშიც დახმარებოდა და თბილისში ერთადერთი კერძო ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელთან მის მეგობარ მარიამ პერინისთან მიიყვანა. ვახტანგ ჭაბუკიანი პერინის სტუდიის მოწაფე გახდა, თან სახელოსნოშიც მუშაობდა.

ჯერ ხუთი-ექვსი თვეც არ იყო გასული, რაც ვახტანგი პერინის სტუდიაში მეცადინეობდა, რომ შევალიემ თავის სახელოსნოს საცეკვაო დილა მოაწყო. მონაწილეობა შევალიეს სახელოსნოს შეგირდებს უნდა მიეღოთ. პროგრამაში იყო როგორც სოლო ნომრები, წყვილად ცეკვა, ისე კორდებალეტიც: მთელი თვე ამეცადინებდა პატარა ბალეტმეისტერი შევალიეს შეგირდებს. მარიამ შევალიე სიცოცხლის ბოლომდე იგონებდა ამ დღეს: „მე ასეთი სასტიკი და ენერგიული პედაგოგი არ მინახავს, როგორც პატარა ვახტანგი იყო. რეპეტიციებზე ერთ ილეთს ხშირად ათჯერ და ოცჯერ ამეორებინებდა მოწაფეს.

ვახტანგი ოპერის დიდი მოტრფიალეც გახდა. მან უკვე იცოდა, რომ ოპერის თეატრში სიმღერასთან ერთად ცეკვავენ კიდეც. მაგრამ უფულობის გამო არ შეეძლო ბილეთის ყიდვა. ერთხელ მეგობრებისაგან გაიგო, რომ „აბესალომ და ეთერში“ სცენაზე პატარა გოგო-ბიჭებიც გამოჰყავთ, სპექტაკლის მონაწილენი კი თეატრში უკანა კარიდან შედიან. დაუდარაჯდა პატარა მსახიობებს, შეერია მათ და... ისე შეიპარა, დარაჯმა ვერც კი შენიშნა. ზოგჯერ ქაღალდში აგურებს გაახვევდა, ვითომ ტანსაცმელი მიჰქონდა თეატრში და ისე შეიპარებოდა ხოლმე. გაიცნეს და რამდენჯერმე „აბესალომ და ეთერში“ მართლა გამოიყვანეს. როლი არასოდეს არ „გაუფუჭებია“, დიდი ზეიმით შემოჰქონდა სცენაზე ანთებული შანდალი და მიჩნეულ ადგილზე დგებოდა.

ერთხელ შემთხვევით გოგონას ტანსაცმელი ჩააცვეს. ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, მოქმედებას ხომ არ „ჩაშლიდა“. მით უმეტეს სწორედ იმ დღეს მისი და, თამარი ცეკვავდა...

დიდი ხანი არ გასულა რაც თამარმა დაამთავრა პერინის სტუდია და ბალეტის მსახიობი გახდა. სცენაზე გამოსვლისთანავე მან დიდი წარმატება მოიპოვა.

ვახტანგის გატაცება მხოლოდ თეატრით არ ამოიწურებოდა. ისე შეუყვარდა კინო, რომ მზად იყო ერთი და იგივე სურათი რამდენჯერმე ენახა.

ამასობაში მისი ორი და გათხოვდა, რამაც სრულიად შეცვალა მათი ოჯახური მდგომარეობა. მიხეილი დაავადმყოფდა და ძველებურად ვეღარ მუშაობდა. ოჯახს დახმარება სჭირდებოდა, ვახტანგი კი ჯერ კიდევ პატარა იყო.

შევალიეს სახელოსნოში დადგმული ცეკვების წარმატებამ ვახტანგი წაახალისა და უფრო ფართო გეგმები დაისახა. მან პერინის სტუდიელებისაგან შეადგინა მოცეკვავეთა ჯგუფი. მოამზადა სხვადასხვა ბალეტებიდან ფრაგმენტები და საცეკვაო ნომრები. პროგრამაში იყო ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, რომანოვსკის „ტყის ფერიები“, „დღესასწაული სევილიაში“ და სხვა საბალეტო ნომრები. საკვირველია, რომ არც ერთი მათგანი ადრე სცენაზე არ ენახა. მხოლოდ გაკვეთილებზე ჰქონდა ფრაგმენტები ნანახი. მიუხედავად ამისა, ეს ცეკვები თავისებურად გადაამუშავა, იშოვნა ყველა ამ ნომრის ნოტები, და პროგრამა მზად იყო.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე საკრებულოს ბაღის დირექციას შეუთანხმდა და საბალეტო ჯგუფის პირველი გამოსვლა გადაწყდა. აფიშები იტყობინებოდა: დანიშნულია საბალეტო ცეკვები ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით! მონაწილეობენ: ელენე ჩიკვაიძე, ლილი გვარამაძე, თვითონ ვახტანგ ჭაბუკიანი და სხვები. ზაფხულობით ამ საკრე-

ბულოს ბაღში ხალხთმრავლობა იყო, იმ საღამოსაც, მთელი ბაღი სავსე იყო ხალხით. დიდი წარმატება მოჰყვა ამ ყველაფერს. კლუბის მამასახლისმა თხოვა ვახტანგს, გაემართა ასეთი საცეკვაო საღამოები. საკრებულოდან არტოს კლუბის დირექციამ მიიწვია ვახტანგის მოცეკვავეთა ჯგუფი, იქიდან ხარფუხის კლუბმა და ნელ-ნელა საკმაოდ პოპულარულები გახდნენ თბილისის კლუბებსა და საზაფხულო ბაღებში.

ჰონორარს მარკების მიხედვით ინაწილებდნენ, რაც ვახტანგს ოჯახის რჩენაში ეხმარებოდა. 1924-25 წლის სეზონში ოპერის თეატრში ჩაირიცხა, დირექციამ ხელფასი — თვეში 30 მანეთი დაუნიშნა.

„...ჩემთვის მეტად ძვირფასია თბილისის ოპერის თეატრში გატარებული წლები — ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში თეატრის შემოქმედებითი საამქროების მუშაობა და მათ შორის ბალეტის კოლექტივი, რომელმაც არაჩვეულებრივ სიმაღლეს მიაღწია ერთ-ერთი შესანიშნავი პედაგოგისა და დამდგმელი რეჟისორის, უბადლო ოსტატის ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. აი, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საბალეტო ხელოვნების ეს უნიკალური მსახიობი თავის მშობლიურ ქალაქს ემსახურება. სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ჭაბუკიანი „ქეთო და კოტეში“ ცეკვავდა“, — დირიჟორი სამუილ ტოლერმანი.

თუკი რამე ლიტერატურა არსებობდა თბილისში ბალეტის შესახებ, ვახტანგმა ყველა გადაიკითხა.

იმ პერიოდში რუსთაველის თეატრის შენობის სარდაფში რესტორანი „ქიმერიონი“ არსებობდა.

სწორედ ამ რესტორანში გამოჩნდა (ფულის საშოვნელად) მოცეკვავე ჭაბუკი, და თავისი ცეკვით ყველა მოაჯადოვა. ასე შეგროვდა ლენინგრადში წასასვლელი ფული და შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს მატარებლით იგი პეტრეს ქალაქში გაემგზავრა.

საბალეტო სკოლაში იმთავითვე მოიხიბლნენ ვახტანგ ჭაბუკიანის ფიზიკური მონაცემებით, ვულკანისებური ტემპერამენტით.

1923 წლიდან კადრების ნაკლებობასთან დაკავშირებით პეტროგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელთან საღამოს კურსები მოეწყო. ამრიგად ვახტანგი ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელთან არსებული საღამოს კურსების მოსწავ-

„ქორეოგრაფიული დუეტი“
ტატიანა ვეჩესლოვა
და ვახტანგ ჭაბუკიანი

ლეა. მაგრამ ბინა თვითონ უნდა ეშოვნა...

ზუსტად ამ დროს ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა ვახტანგის უფროსი დის — ეკატერინეს მეუღლე გორდონი. ვიბორგის მხარეზე მედიცინის ქალაქში საერთო საცხვრებელში მას ერთი პატარა ოთახი მისცეს, სადაც მეუღლით დასახლდა. ვახტანგსაც მიუჩინეს პატარა კუთხე. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ყოფნისას ჭაბუკიანს თბილისიდან წამოღებული გროშები გამოელია. სიძის კმაყოფაზე მუდამ ხომ არ იქნებოდა...

ლენინგრადში იმ დროს ჩასული იყო საქართველოს კინომრეწველობის მაშინდელი დირექტორი გერმან გოგიტიძე. მისი თხოვნით, ვახტანგი კინო „კაპიტოლიაში“ მიიწვიეს სეანსებსა და სეანსებს შორის საცეკვაოდ. ამით ისინი მაყურებელს იზიდავდნენ. კონცერტები კინოდარბაზში იმართებოდა ეკრანის წინ ესტრადაზე. ვახტანგმა პირველივე გამოსვლაზე ისეთი ფურორი მოახდინა, რომ იმის შემდეგ „კაპიტოლიაში“ ხალხის ტევა არ იყო.

1929 წელს ვახტანგმა ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დარჩა.

მისი დებიუტი ლენინგრადის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე თ. ლოპუხოვის მიერ დადგმულ „შჩელკუნჩიკში“ მოხდა. თუმცა ამ ბალეტმა (რომელიც აღადგინეს 1928 წლის 27 ოქტომბერს), კატასტროფული მარცხი განიცადა და სულ მალე მოიხსნა რეპერტუარიდან. მეორე პარტია, რომელიც ვახტანგს დაეკისრა, იყო ზამთრის მფრინველი — გრიგის მუსიკაზე ა. გაუკის და ლოპუხოვის მიერ დამუშავებული ბალეტ „ყინულოვან ქალწულში“.

როგორც ყველა დებიუტანტი, ვახტანგი პირველად ღელავდა და ვერ ამჟღავნებდა თავის დიდ შესაძლებლობას. საბოლოოდ მაინც მაყურებელი და არა რეცენზენტი სწყვეტს, მისაღებია თუ არა ესა თუ ის პიესა. თეატრების ისტორიიდან მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, როცა კრიტიკოსების მიერ დაწუნებული პიესა ოქროს ფონდში მოხვედრილა, ხოლო მათ მიერ ათვალისწუნებული მსახიობი უკვდავთა რიცხვში შესულა. რეალიზმის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მას ხალხი იღებს. ფორმალისტურ ტრიუკებს კი გმობს და ზურგს აქცევს.

გალინა ულანოვა წერდა: „...ისეთი პარტნიორი, როგორიც არის სერგეევი, ჩემს საცეკვაო ინტერპრეტაციაში ოდეტას სახეს მეტ ლირიზმს მატებს, ხოლო ჭაბუკიანი ჩემს ცეკვას ენერგიას და ტემპერამენტს“.

ამავე სეზონში ვახტანგს მოუხდა ჩაიკოვსკის „ქოშებში“ დიდი კლასიკური ცეკვის შესრულება. გადმოცემით, მაინცდამაინც არც ამ დადგმას ჰქონია წარმატება და არც თვითონ ვახტანგს.

იმ დროს ერთ-ერთი უდიდესი ბალერინა ელენე ლუკომი წერდა: „...ბალეტში დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორთან ერთად ცეკვის დაუფლებას, იპოვნი მასში ისეთი ადამიანი, რომელიც შენს არტისტულ ინდივიდუალობასთან ახლოს არის და რომელსაც შესწევს ძალა თავისი განსაკუთრებული მხატვრული მანერა შეუფარდოს მეორე შემსრულებლის თავისებურებას. ასეთ იდეურ პარტნიორად არ შემიძლია არ გამოვყო ჭაბუკიანი (გმირული ხასიათის თვალსაჩინო მოცეკვავე), რომელთანაც ერთად ხშირად ვცეკვავდი და რომელიც ყოველთვის ააშკა-

რავებდა თავის დიდ უნარს საცეკვაო დუეტებში“!

სახლიდან კარგი ამბები მოვიდა. „ყველანი კარგად ვართ, — წერდა დედა, — ლენინის ქუჩაზე ახალი კეთილმოწყობილი ბინა მივიღეთო, მთავრობის წევრი სახალხო კომისარი საშა გეგეჭკორი დაგვეხმარაო...“

ერთ მშვენიერ დღეს ლენინგრადის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში მიიღეს მიმართვა, თბილისის ოპერის თეატრიდან ვახტანგ ჭაბუკიანის საგასტროლოდ მოწვევის შესახებ. სიხარულით დათანხმდა, ხუთი წლის წინათ იგი ამ თეატრის სტაჟიორი-ფიგურანტი იყო, დღეს კი გასტროლიორად იწვევენ.

1932 წლის 12 აპრილს თბილისის მაყურებელმა პირველად იხილა „დონ-კიხოტი“ ოპერის სცენაზე. ბაზილის პარტიას თვითონ გასტროლიორი ასრულებდა, ხოლო კიტრის პარტიას — ლენინგრადის საოპერო თეატრის ახალგაზრდა ბალერინა და ვახტანგის თითქმის განუყრელი პარტნიორი ტატიანა ვეჩესლოვა. ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ ბალეტს ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ დირექცია იძულებული გახდა, სეზონის დახურვა გადაედო. თბილისის ოპერის თეატრში მანამდე არ ყოფილა შემთხვევა ერთი ბალეტი 25 დღის განმავლობაში 10-ჯერ დადგმულიყო. 12 აპრილს დაიწყო „დონ-კიხოტის“ დადგმა და 7 მაისამდე გაგრძელდა. ყოველ საღამოს სალაროს წინ წარწერა იუწყებოდა: „ყველა ბილეთი გაყიდულია“.

„ლაურენსია“, ფრონდოზოს როლში

სცენა გ. კილაძის „სინათლედან“

ვახტანგი ლენინგრადში დაბრუნდა. მისი რეპერტუარი ფართოვდება: ვაჭარი და მონა ა. ადანის „კორსარში“, წყლის გენია „კუზიან კვიცში“, აკრობატი — რ. გლიერის „წითელ ყაყაჩოში“ და სხვ. მაგრამ არ შეიძლება, არ ავღნიშნოთ ა. ადანის „ჟიზელი“, რომლის გმირი გრაფი ალბერი სცენარის მიხედვით ეგოისტი და თავქარიანია. თანდათანობით მასში გარდატეხა ხდება — იგი სინანულს ეძლევა და იტანჯება. ვახტანგ ჭაბუკიანმა კი „ჟიზელში“ ისევე როგორც „გედის ტბაში“ ზიგფრიდის დახატვისას, წინააღმდეგ სცენარისა, ალბერი თავიდანვე გმირული საწყისებით აღჭურვა. მისი გმირი პირდაპირ გულმართალი და ვაჟკაცურია. ვახტანგის ალბერი უფრო მებრძოლი გმირია, ვიდრე რომანტიკული და ელეგიური პერსონაჟი. ამასთან იგი ალბერის გმირულ ხასიათს სწორედ რომანტიკული და ელეგიური საწყისებიდან ხსნიდა. სწორედ ამაში გამოიხატებოდა მისი მიზანდასახულობა, მისი კრედო... ზოგადად, იმდროინდელი ბალეტი მოითხოვდა მამაკაცის როლების წინა პლანზე წამოწევას, მათი სახით სისხლსავსე გმირებისა და არა მოცეკვავე ქალთა „კავალრების“ ჩვენებას.

1922 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან, 1924 წელს ინგლისთან, საფრანგეთსა და იტალიასთან, 1925 წელს იაპონიასთან და ა.შ. 1933 წლის ნოემბერში — ამერიკასთან, პირველი კონცერტი ნიუ-იორკში 12 იანვარს გაიმართა. მეორე დღესვე „ნიუ-იორკ დეილი მირორი“ წერდა:

„... ვახტანგ ჭაბუკიანი და ტატიანა ვეჩესლოვა ორივენი დაჯილდოვებული არიან ფართო და სხვადასხვა ხასიათის შესაძლებლობით. იშვიათად შეხვდებით მათსავით ჩამოსხმული ტანის ადამიანებს. რაოდენი სილამაზე და ენერგია იყო მათ ცეკვაში... მეც სხვებთან ერთად აღტაცებული ვიყავი. არ ვიცი, რამ შეიძლება აღადგინოს კლასიკურ ბალეტისადმი რწმენა, ვიდრე საბჭოთა სამყაროდან ჩამოსული ამ ქალიშვილისა და ჭაბუკის ცეკვაა“. სან-ფრანცისკოში, სპექტაკლის შემდეგ „მაქსიმ გორკის საზოგადოებამ“ ვეჩესლოვას და ჭაბუკიანს დაფნის ფოთლებისაგან გაკეთებული დიდი გვირგვინი მიართვა, რომლის წითელ ლენტზე ოქროს ასოებით იყო წარწერა: „სან-ფრანცისკოს პროლეტარიატი მიესალმება საბჭოთა მსახიო-

ბებს, საბჭოთა ხელოვნების მშვენიერ წარმომადგენლებს“. ანტისაბჭოთა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამშვიდებდა თავის მკითხველებს და წერდა: „ამ საბჭოთა მოცეკვავის პოლიტიკური გავლენა არავითარ საგანგაშო მდგომარეობას არ ქმნის. ჭაბუკიანის თავისუფალი და მშვიდობიანი ცეკვა უაღრესად ძლიერია. წარმოდგენა ღირსია იმისა, რომ კვალიფიცირებულ იქნას თეატრალურ რევოლუციად“.

ამერიკაში ყოფნის დროს ვეჩესლოვას და ჭაბუკიანს საგასტროლოდ იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის იმპრესარიოები. მათ ჩამოსვლას ლენინგრადში დიდი ზეიმით შეხვდნენ, მაგრამ... ვახტანგს სადგურშივე გადასცეს წერილი მამისა და დის გარდაცვალების შესახებ.

სამხრეთ ამერიკაში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნება თბილისში

სულ რამდენიმე დღე დაჰყო ვახტანგმა თბილისში და დედასთან ერთად ლენინგრადში დაბრუნდა. „...ვცდილობდი — წერდა თავის დღიურში ვახტანგი — დედისათვის გამექარვებინა დარდები. ყველა ზომას მივმართავდი, რომ როგორმე შემემსუბუქებინა მის თავს დატეხილი უბედურება. მამას კი სათანადოდ ვერ გადავუხადე ამაგი. როდესაც პრემიერი გავხდი (პრემიერ-მინისტრი არ გეგონოთ) და ჩემი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მამა უკვე გარდაცვლილი იყო“.

თბილისის ოპერის თეატრში დაისვა საბალეტო დასის გაძლიერების საკითხი, მით უმეტეს, რომ მოსკოვში დანიშნული ქართული ხელოვნების დეკადის დროც ახლოვდებოდა. ოპერის დირექციამ დაიწყო მოლაპარაკება ვახტანგ ჭაბუკიანთან თბილისში გადმოსვლის შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა. ჩამოსვლისთანავე ვახტანგი დაინიშნა ოპერის თეატრის ქორეოგრაფიული ნაწილის გამგედ. მოსკოვში საჩვენებლად შეარჩიეს „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „დარეჯან ცბიერი“ და „ქეთო და კოტე“. ცეკვებიდან მხოლოდ ოთხი ნაწილისაგან შემდგარი „ხორუმი“.

ქართული ხელოვნების დეკადის შემდეგ პირველი პრემიერა, რომელშიც ვახტანგმა მიიღო მონაწილეობა, იყო „პარტიზანების დღეები“. ამის შესახებ იგი წერდა: „...დიდი ხანი არ არის, რაც ვმუშაობდი ბალეტ „პარტიზანების დღეებში“ ქერიმის სახეზე. ამ პარტიამ მაინცდამაინც ვერ დამაკმაყოფილა, იმიტომ, რომ მასში უფრო მეტია ტრადიციული ცეკვები, ვიდრე მძაფრი მოქმედება. ქერიმში არ იგრძნობა დრამატული დაძაბულობა და ამიტომ შეუძლებელია ამ პერსონაჟის დიდი სიღრმით და გულწრფელად წარმოსახვა“. შემდეგ „მზეჭაბუკის“ დადგმას შეუდგა, მას სახელი შეუცვალეს და „მთების გული“ უწოდეს.

„მთების გული“ მტკიცედ დამკვიდრდა ოპერის სცენაზე. თეატრში ყოველთვის ანშლაგი იყო, როცა ჯარჯის პარტიას ვახტანგ ჭაბუკიანი ასრულებდა. ამ დროს მისი ყველაზე სანუკვარი მეგობარი, რომელსაც პირველს უზიარებდა ყველა ტკივილს თუ სიხარულს, მისი დედა ელენე ქრისტიანეს ასული ლიახი გარდაიცვალა.

ა. კრეინი „ლაურენსია“
ლაურენსია — ვ. წიგნაძე,
ფრონდოზო — ვ. ჭაბუკიანი

მისი ლენინგრადელი მეგობრები გადმოგვცემენ, რომ გარდაცვალების პირველ თვეებში, ყოველ ცისმარე დღეს, დარი იყო თუ ავდარი, ვახტანგს ნახავდით ძვირფას სამარესთან მდგომს — ფერმიხდილს, ქუდმოხდილს. შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ამ არაჩვეულებრივმა პიროვნებამ შექმნა, მაგრამ „ოტელოს“ გვერდს მაინც ვერ ავუვლით.

„...ოტელომ, რომელიც მითამაშია რამდენიმე ასეულ სპექტაკლში და რომლის ტანჯვას და სიყვარულს ყოველთვის განვიცდი, ჭაბუკიანის შესრულებით გამახარა, მატირა და ახლებურად ამაფორიაქა. არ შემიძლია ვთქვა, რომელი სცენა იყო უკეთესი: სიყვარულის, სიხარულის თუ ეჭვიანობით ტანჯვის. ის ყველაფერს დიდი სიძლიერით გადმოგვცემს. ჯვრისწერის, დეზდემონას დახრჩობისა და ოტელოს თვითმკვლელობის სცენა ერთმანეთზე უკეთესია. დიახ, ეს ნამდვილი შექსპირია“,

— წერდა აკაკი ხორავა.

მანანა ჟვანია

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) ნატურალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახლდათ. 1768 წელს იგი პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მიიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღო აკადემიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში. გიულდენშტედტს წილად ხვდა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო.
უცხოელ მოგზაურთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად დატოვებულ ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.
ამ ცნობებში მოიპოვება უხვი მასალა ქვეყნის სოციალური ვითარების, პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და სხვათა შესახებ.

გაგრძელება (დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2-4)

თათრული მხარე ბამბეკი ანუ ბამბაკი

მდებარეობს თბილისის სამხრეთით, სომხითის პროვინციაში, ზევით ქციის შენაკად დებედაზე, არარატის მთისწინეთში, მის დასავლეთით მდებარე ბორჩალოსა და სამხრეთ-დასავლეთით თურქულ მხარეს — აირუმლის შორის, რომლის მთავარი ქალაქია ყარსი.

მის მოსახლეობას, როგორც ბორჩალოსა და ყაზახში, თურქმანი (თარაქამა) თათრები წარმოადგენენ, მათ შორის არიან სომხებითც.

ისინი ცხოვრობენ ისევე გაჩანაგებულ, გაუდაბურებულ ქვეყანაში და არიან ისევე არასაიმედო ქვეშევრდომები ქართლის მეფისა ერეკლესი, როგორც ბორჩალოელები და ყაზახელები. მათი სოფლების სახელები მე ვერ გავიგე.

სომხური მხარე ტაშირი

მდებარეობს სომხითში, თბილისიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, მაშავერას შენაკადის — ფოლადაურის ზემოთ და სამხრეთით ესაზღვრება თურქულ მხარეს აირუმლის ანუ ყარსს, აღმოსავლეთით — ბამბეკს.

სპარსეთის შაჰმა ნადირმა ის სასტიკად გაანადგურა. მისი მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენ, შემდეგ — თურქმანი (თარაქამა) თათრები.

ის არარატის მთიანეთში მდებარეობს და გაჩანაგებულ მდგომარეობაშია; ქართლის მეფის მფლობელობა მასზე არამტკიცეა, მოკლედ, ყველაფრით — ფიზიკური, პოლიტიკური და ეკონომიური პირობებით — ემსგავსება სომხითის მხარეს. მისი მთავარი სოფლიდან ახტალამდე ერთი დღის სავალია.

რუკებზე ამ მხარეში გულისხმობენ თაურს, ტაშირისს.

მისი სოფლებიდან მეფეს ეკუთვნის: აღტაში, ურუტი, აიდარბეგი, დოლბანდლუ, ბალახური, სადაც სპილენძის საბადოებია; თელუ და მისხანა, სადაც აგრეთვე სპილენძის მადნებია.

სხვა რამის თქმა, ისევე როგორც ოჯახების რაოდენობისა, დანამდვილებით არ შემიძლია.

აქ, თუ ამ მხარის მეზობლად, თურქულ მხარეში, არის **ტბა პალაკაციო**.

სომხითურ-სომხური მხარე ყაიყული ტარარატის მთის იქით მდებარეობს და დასავლეთით ესაზღვრება თურქულ ოლქებს.

ის ყველაფერში ტაშირს ჰგავს, ნადირ-შაჰის მიერ ჩადენილ განადგურებაშიც კი.

მხარე დემურჩი-ჰასანლუ

მისი თათრები საერთოდ იწოდებიან დემირჩ-იაუსაულად და შეადგენენ 500 ოჯახს. მათი 10000 ოჯახი ცხოვრობდა იორზე, კახეთში, სადაც მათ მხარეს ერქვა ყარაღა და სადაც უმთავრესად მოჰყავდათ ბრინჯი, რადგან წყალდიდობისას იორიდან ბრინჯის ველებზე წყალი იოლად გადმოდიოდა. ნადირშაჰმა კი დაარბია მათი საცხოვრებლები და დაფანტა ისინი. ხელახლა თავმოყრილთაგან დაასახლეს 5 სოფელი თელავთან, კახეთში, ხოლო უმეტესობა მეფემ სამელუხში (ალბათ სომხითში) დაასახლა, სადაც მათ კვლავ შექმნეს მხარე დემურჩი. მათი სოფლებია: 1. ქესალო; 2. ყაფანახჩი; 3. ქეშალო; 4. ილიმარლუ (ილმაზლო); 5. ნაზარლუ და 6. სარვანი.

თურქულ-ქართული მხარე ბაიდური

ის მდებარეობს სომხითში, სამხრეთით ქციასა, ანუ ნახატირსა და ჩრდილოეთით მტკვრის მარცხენა შენაკად ალგეთს შორის, ორივე მდინარეზე თემირშე-ჰასანლუს მხარის ზემოთ, რომელსაც ის ჰგავს მდებარეობით დაბლობში, მთავარ მთასა და მთისწინეთს შუა, გაუდაბურებული მდგომარეობით, მცხოვრებთა რაოდენობით და ხასიათით (მდგომარეობით), მეფის ბატონობის აღიარებით; მოკლედ ჰგავს ყველაფრით, იმ განსხვავებით, რომ დიდი ხანია ინარჩუნებს თავის ადგილს. მის სოფლებს შორის სნარნეუთი (მარნეული) — ალგეთზე მდებარე, თბილისიდან 35 ვერსზე, — 1768 წ. შეიქმნა 40 სომხური და 30 თათრული ოჯახისგან; პირველნი არიან ამავე სახელობის გაჩანაგებული სოფლიდან, მეორენი ასევე გაძარცულ სოფელ გენშადან.

სოფელი გიაურარხი ასევე 1768 წელს შესდგა განადგურებული სოფლის აკბაჰალის მცხოვრებთაგან. 1772 წ. აქ იყვნენ 60 თათრული და 15 სომხური ოჯახი.

მხარეებში — ყაზახში, ბორჩალოში და ბაიდარში, ისევე როგორც განჯაში, ერევანში, ერზერუმში და ყარსში და აგრეთვე შირვანსა და შამახიაში, ლაპარაკობენ თურქულად, ან თათრულად, თურქულ დიალექტზე; თურქული და ჩვეულებრივი თათრული დიალექტი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გურთი, ქურთი ანუ კურდები, არის მრავალრიცხოვანი და ძალიან გავრცელებული თურქმან თარაქამა — თათრული ხალხი, რომელთაგან 6000 ოჯახისგან შემდგარი ერთი ურდო ცხოვრობს არარატის მთიანეთში, სომხითის სამხრეთ საზღვართან; ზამთრობით ბინადრობენ სოფლებში, ზაფხულობით — მთაში. მათ აქვთ იგივე წყობა, ენა და რელიგია, რაც სომხითის თათრებს, და მხოლოდ

იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ხან თავისუფალნი არიან, ხან თურქთა ქვეშევრდომნი, ქართველთა კი — არასდროს. შფოთიანობისას ისინი ხანდახან უერთდებიან სომხითის თათრებს და ამით ძალიან საშიშნი ხდებიან ქართლის მეფისთვის. მათ შორისაც ბევრი არიან სომხები.

სპარსული მხარე ერივანი ესაზღვრება სამხრეთის სომხითის მხარეს ბამბაკს და ემსგავსება მას ყველაფერში. მისი მცხოვრებლები სწორედ თურქმანული (თარაქამა) თათრები არიან. თუმცა ეს მხარე ეკუთვნოდა სომხითს, მაგრამ სპარსელებმა მოგლიჯეს მას და დაიკავეს.

ამ მხარეში არის დიდი ტბა გოქჩა, ხოლო მის ერთ-ერთ კუნძულზე არის სომხური მონასტერი სევანი.

აირუმლოს მხარე უფრო დასავლეთით სამხრეთიდან ესაზღვრება სომხითს და, როგორც ერივანი სპარსელების მიერ, ისე აირუმლო თურქების მიერ იყო მიტაცებული და დაკავებული. ის თავისი მდებარეობით, სახელდობრ, არარატის მთისწინეთზე, თავის მცხოვრებლებით, რომლებიც თურქმანული (თარაქამა) თათრები არიან, აგრეთვე თავისი რწმენით, ენით და წყობილებით ემსგავსება სომხითის იმ მხარეებს, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აქვს ქალაქი ყარსი, რომელიც ამ მხარეებში არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

განჯის მხარე მდებარეობს სომხითის აღმოსავლეთით, იმ კუთხეში, რომელსაც ქმნის არეზი მტკვართან.

ეს მხარე დასახლებულია თურქმანი (თარაქამა) თათრებით; წინათ ის სომხითის მხარეში შედიოდა, ჩამოშორდა სპარსეთში ამტყდარი არევდარევის დროს, განთავისუფლდა და საკუთარი ხანი გაიჩინა, თუმცა ქართლის მეფე თავის ბატონობას ავრცელებს მასზე. ამჟამად (1772) მეფე და ხანი კარგ დამოკიდებულებაში არიან; ასე მაგალითად, გასულ ზამთარში უკანასკნელი (ხანი — გ.გ.) ცოტა ხნით ესტუმრა ერეკლეს თბილისში.

ყველაზე საუკეთესო პუნქტი ამ მხარისა არის ქალაქი განჯა. ყველა დანარჩენი სოფლებია. აქამდე

შუა ანუ შიდა ქართლი

ეს პროვინცია, როგორც მთავარი ნაწილი ქართლისა, საერთოდ იწოდება „ქართლი“, ანუ ევროპულად „კარდუელ“.

ის, როგორც კახეთი, მდებარეობს ჩრდილოეთით კავკასიის ალპურ ქედსა, ოსების მეზობლად, და სამხრეთით მტკვარს შორის, რომლის მარჯვენა მხარეზეც ზემო და ნაწილობრივ ქვემო ქართლი მდებარეობენ.

აღმოსავლეთით არის კახეთი, ხოლო დასავლეთით გამკვეთი ქედი, რომელიც კავკასიის მთავარ ქედს აერთებს მის სამხრეთ მთისწინეთთან და რომლის მეორე მხარეს იმერეთია.

ეს პროვინცია ირწყვება ქედიდან ჩამომავალი მდინარეებით — მტკვრის მარცხენა შენაკადებით — არაგვით, ქსნით, ლეხურათი, პატარა და დიდი ლიახვებით და სურამულათი და ყველა მათი შენაკადებით. ის გარეგნულად — მთების მდებარეობით, ნიადაგით, ჰავით, მოკლედ ყველაფრით, კახეთს წააგავს. სახლების მშენებლობის სისტემა ქართლში სხვაა კახეთთან შედარებით; ქართლში გლეხთა სახლები წარმოადგენენ მიწურებს. მათ შესახებ ჯერ კიდევ ადრე იყო აღნიშნული.

რაც შეეხება მოსახლეობას და მის მცირერიცხოვნობას, განადგურებათა მრავალ კვალს და მცირედ მოშენებულობას, ამაშიც მთლიანად კახეთს ემსგავსება. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია — გორი, ქრცხინვალი და სურამი.

ამ პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი უკავიათ ოსებით დასახლებულ მხარეებს. ამ პროვინციის მხარეებია: ოსური მხარე გუდა, არაგვს ზემოთ, 7 სოფლით. ეს ოსები, ისევე როგორც სხვა ოსურ რაიონებში მცხოვრებნი, არიან ქართლის მეფის კარგი და წყნარი ქვეშევრდომები, ჰყავთ თავიანთი არჩეული უფროსი და მთლიანად სარგებლობენ ქართველებით დასახლებული მხარეების უფლებებით. ზოგიერთი მომდევნო ოსური მხარეები ემორჩილებიან არა პირადად მეფეს, არამედ ქართლის თავადებს. ოსეთის მხარეებს მე აგრეთვე დავასახელებ ოსეთის პროვინციის მოხსენების დროს.

მხარე ხადა ანუ კიულე

მდებარეობს ზემოთ არაგვზე, ფიქალიან მთებში, გუდას ქვევით. მისი სოფლებია 1. ზაქათკარი; 2. კაიშაურთკარი; 3. ციხიანი; 4. წკერე; 5. მიღურე; 6. ჯაღუმიანი; 7. სეთურთკარი; 8. ჩონჩო და 9. მლეთე — ყველა დასახლებულია ქართველებით; 10. ახალსოფელისა და 11 ჩონჩოს მოსახლეობა ოსებია.

მხარე ხევსურეთი

ეს მხარე არის მღალ მთიანეთში კიდევ უფრო ზევით არაგვზე; მთლიანად ოსებითაა დასახლებული, მაგრამ ისინი არიან ქართლის მეფის არასაიმედო ქვეშევრდომები, ამიტომ მე ვერ შევძელი მიმეღო მათზე ზუსტი ცნობები.

მხარე გუდამაყარი

მას უჭირავს ამავე სახელის მდინარის, არაგვის მარცხენა შენაკადის მიდამოები მაღალ ფიქალიან და მასთან ახლოს მდებარე კირიან მთებში.

მისი სოფლები ზევიდან ქვევით არიან:

1. ბაკურხევი; 2. წბაურთა; 3. პატარა გუდა; 4. ფახვიჯა; 5. ჭოჭოხი; 6. კიტოხი; 7. მაქართა; 8. გოგანაურთა; 9. ჭალა; 10. ლიდა; 11. ჩოხი; 12. ათნოხი; 13. დუმაცხო. მოსახლეობა ქართველებია და შეადგენენ 80 ოჯახს.

მხარე გარეშემო, არაგვზე, გუდამაყრის ქვემოთ. მისი მოსახლეობა, რომლის სოფლებს და რიცხვს ვერ გეტყვით, არის ქართული.

მხარე მრევლი, არაგვზე, გარეშემოს ქვემოთ, რომლის სოფლებია: 1. ნადიბაანი; 2. ჩოხელიანი; 3. კეკიანი; 4. ობგანი; 5. გოგნაური.

მხარე ცხაოტი, მხარე გარეშემოს ქვემოთ, არაგვზე.

სოფლები თვით არაგვზე შემდეგია:

1. ქავთარაანი; 2. ჯიგრაანი; 3. ძმიანი; 4. ჭიკაანი; 5. კობაანი; 6. ჩირიკი; 7. ხევშა და 8. წიფორი.

არაგვის მარჯვნივ და ახლოს:

9. ამირნი (ამირთკარი); 10. ჩოხელი; 11. ხარხეთი, სადაც დიდი ეკლესიაა.

მდინარე გარეშემოზე:

12. ქიმბარიანი; 13. არახვეთი.

არაგვის აღმოსავლეთით, ანუ მარცხნივ:

14. კარა (თუ კორა); 15. ლაკათხევი; 16. მიკარამი; 17. არკანი; 18. ბექიანი; 19. ხანდო; 20. ჭართალი; 21. მანასური; 22. პავლეური; მოსახლეობა ქართველებია.

მხარე ფშავი მდებარეობს არაგვის მარცხენა შენაკად ფშავის მდინარეზე, ზემოთ, მაღალ მთებში, თუშეთის დასავლეთით და ხევსურეთის აღმოსავლეთით. თუმცა მისი მოსახლეობა ქართველებია, მაგრამ არასაიმედო ქვეშევრდომებია ქართლის მეფისა; ამიტომ მე არ შემიძლია რაიმე ვთქვა დაბეჯითებით მათ შესახებ.

მხარე საერისთაო არის არაგვზე, ფშავის ქვემოთ. მისი სოფლებია: 1. ანანურის ციხე არაგვის მარჯვენა ნაპირზე. მას მიაკუთვნებენ ქალაქთა

რიცხვს. იქ არის აგურით ნაშენები დიდი ეკლესია, გარედან ქვიშაქვის ფილაქნებით და დიდი გუმბათით. შენობა სიგრძით არის 28 ნაბიჯი, სიგანით — 23. მასში, ერთ კედელზე, არის გრძელი ქართული წარწერა. ამ ეკლესიაში ამასთანავე არის 15 წლის წინათ გარდაცვლილი არაგვის ერისთავისა და თუშეთის მოურავის ჯიმშერ ჩოლოყაშვილის საფლავი, აგრეთვე, გიორგი ერისთავის საფლავიც, ორივეს აქვს ქართული წარწერები. ამ დიდი ეკლესიის გარდა არის კიდევ ერთი ძველი ეკლესია, რომელშიც ასევე არის ქართული წარწერა.

2. ავენისი; 3. ქაისხევი; 4. არხალი; 5. არღუნი; 6. ციხე აპუნი; 7. ჟინვანი; 8. აფხავი; 9. პხუნდავი; 10. ციხე არანისი; 11. აში; 12. ეთვალისი; 13. ლაფაურთკარი; 14. იორი; 15. პოტეყვავილი; 16. კობიანთკარი; 17. კამლიდოკ; 18. დუშეთის ციხე, ზევით მარჯვენა შენაკადზე; 19. პატარა დუშეთი, იმავე მდინარეზე; 20. წინდუშეთი; 21. ბოდავი; 22. ჩილურტი, გაპარტახებული სოფელი; 23. ჩინთი; 24. ბოდორნა. 25. ზიგნაკორა, გაჩანაგებული სოფელი; 26. საშაბურო; 27. მჭადისჯვრის ციხე; 28. განადგურებული სოფელი ბაზალეთი; 29. ბულაჩაური; 30. ჩნიტი (ალბათ ჩინთი — გ.გ.), გავერანებული; 31. მლაშე; 32. საკრამული; 33. ნაოზა, დანგრეული ციხე; 34. საგურამო.

არაგვის მარჯვენა შენაკად ნარეკვავზე; 35. ლორდსუბანის მონასტერი; 36. მჭადისჯვარი, მონასტრიანი სოფელი; 37. ტონჩა; 38. გრემისხევი; 39. კოდმანი, დანგრეული ციხე; 40. იწრია; 41 წინდუშეთი; 42. ჩილურტი; 43. ჩალტუკო; 44. ციხისძირი, წინათ განთქმული, ამჟამად დანგრეული; 45. ქანდა, ციხისძირთან; 46. საგურამო, ნარეკვავის შესართავის პირდაპირ.

ნარეკვავს ქვემოთ, მარჯვენა ნაპირზე: 47. ღართისკარი; 48. ნაციხვარი; 49. პონშელა (იქნებ ფონთხელა — გ.გ.) და 50 ტომთაური, სამი განადგურებული ციხე. არაგვისა და მტკვრის შესართავის დასავლეთის კუთხეში; 51. მარცხენა მხარეს მცხეთა, სიმაგრე.

მოსახლეობა უმთავრესად ქართველებია, არიან ცოტა სომხებიც. ამ მრავალრიცხოვან სოფელთაგან ზოგი დარბეულია.

ქალაქი დუშეთი (№18) — მდებარეობს გზაზე მოზდოკიდან თბილისისკენ.

მხარე ქართლი, ანუ გაღმამხარი არის მდინარის იქითა მხარეს, სახელდობრ თბილისიდან. ის მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეზე, იორსა და არაგვს შორის, დასახლებულია ქართველებით, აქა-იქ სომხებით და აქვს შემდეგი სოფლები:

1. გომიჯვარი; 2. თელათგორი, 1 ვერსზე თბილისიდან, 3. კავთიხევი, თბილისიდან 3 ვერსზე; 4. ახალქალაქი; 5. ხანდაკი; 6. ყარაღაჯი; 7. დოესი; 8. ქვახვრელი; 9. გრაკალი; 10. მეტეხი; 11. სასირეთი; 12. გომი; 13. ნიჩბისი; 14. ჩოჩეთი; 15. საციციანო; 16. ჭარახეთი; 17. კარდანახი; 18. გირელიციხე (=გველიციხე) მდ. ჭერემხევზე. ეს პუნქტი დაცულია ოთხკუთხა კედლით, რომლის ოთხივე მხარე 100 ნაბიჯის სიგრძითაა და არის მეფის მეუღლის, დედოფლის, მამული. სახლები ქართლურად არის ნაშენი, სახელდობრ, მიწურებია და მათთან ახლოს დაყენებულია საქონელი, ასე რომ კაცი შეიძლება მოკვდეს მისი სუნისგან. როცა შაჰ-აბასმა აქედან 3 ვერსზე მდებარე ქალაქი ჭერემი დაანგრია, მაშინდელმა დედოფალმა თამარმა მისი მცხოვრებლებისაგან შეადგინა ეს სოფელი; 19. ბაკურციხე; 20. გურჯაანი, განადგურებული; 21. კოლაქი; 22. ვეჯინი, კედლით და ქვემეხით; 23. სარკინე; 24. წადისყური (წალასყური) და 25. კუმისი.

ოსური მხარე ვანათი.

ქცხას, ჭამურსა და ლომისას ზევით, ყველა ქსანს ზემოთ, ემორჩილებიან ქართლის მეფეს და ქართლის თავადებს. ამ მხარეებიდან ოსთაგან დასახლებულია: ცხრაზმა ანდა ცხრაზმული.

ამავე სახელის ქსნის შენაკადზე, ლომისას ქვევით, ქართველებით დასახლებული სოფლები: 1. დადიანეთი; 2. ზოდეხი; 3. აბუთკარი; 4. თოხთა; 5. მახიარეთი; 6. დაბაკნეთი; 7. უკანამხარი; 8. ჩანშე; 9. ჩიტიანთკარი და 10. წინუბანი.

ჭურთა ანუ ჟამური. ქმნის შენაკად ჭურთაზე. მისი სოფლებია: 1. დელკანი; 2. ნგოშე; 3. ხამატატკან; 4. ჩაგოლ; 5. კუპპეკან; 6. ჩიმეიკან; 7. ბაგინი; 8. მიდაკუკან; 9. გორგა; 10. ძეგოიანი; 11. თოგოიანი; 12. მასიკეკან; 13. ჯავათკარი; 14. სიდა; 15. კუცხოეთი; 16. ველისი;? 17. მასიკციხე; 18. საბარკლეთი; 19. ქალაქა; 20. სკატე; 21. ჭურთა; 22. ცქუნეთი; 23. ჯანგანთკარი; 24. კორა; 25. ცალკაკი; 26. შმორი; 27. ქარელთკარი; 28. ბულხავი; 29. შატაკიანთკარი; 30. ბეგოთკარი; 31. ყველდაბა; 32. ხნიბალი; 33. ძაბოეთი; 34. იპეეთი (იკეთი); 35. მოჭალ(ი)ეთი; 36. დორეთკარი; 37. გავაზი; 38. ილურთკარი; 39. ფუჭიანთკარი; 40. მეწყერი;

ესენი არიან ერთმანეთში არეული ქართული და ოსური სოფლები, რომლებიც კარგად ეთვისებიან ერთმანეთს.

ოსური მხარე საფერშეთი ქსანს ზემოთ, მთლიანად ოსურია და მეფეს ექვემდებარება.

ქსანზე ზევიდან ქვევით კიდევ არის სოფლები: 1. ლარგვი, მონასტერი; 2. ლეგაშენი; 3. საქორეთი; 4. ქვენი, ციხე; 5. იპნევი; 6. იკოთი; 7. წირქოლი ციხე; 8. ირეტვა (ერედა); 9. ყანჩავეთი; 10. ახალგორი, ციხე; 11. ბოლი; 12. ძეგლევი; 13. ახმაჯი; 14. ოძისი, ციხე; 15. ილიტოზა; 16. ლამისყანა, ციხე; 17. ქსოვრისი, ციხე; 18. ციხისძირი; 19. სხალტბა; 20. მუხრანი, ციხე; 21. ღართისკარი, განადგურებული; 22. კორინთა; 23. ალევი; 24. საძეგური; 25. ცხავატრი; 26. ცხრაზმა; 27. ქარჩოხი; 28. ყანჩავეთი; 29. ქურთა; 30. ნახიდი; 31. საქორეთი; 31. შველიეთი; 33. ხარბალი; 34. გოლგოლეთი; 35. ქენქათკარი; 36. მიდელათკარი; 37. ხოზოეთი; 38. კვერიეთი; 39. თინიკაანთკარი.

ყველა ეს სოფლები ემორჩილებიან ქსნის ერისთავს, რომელსაც მათი უმეტესობა ეკუთვნის. ბერძენმა კეისარმა იუსტინიანემ ეს მხარე გადასცა როსტომს, ოსს, გამოაცხადა ის თავადად და ერისთავად, მისცა მას ბეჭედი და აჩუქა ძვირფასი საპატიო სამოსელი. ნაჩუქარი სოფლების რიცხვი იყო 38: წირქოლი, ახალდაბა, ბურული და ა.შ., რომელთაგან შემდგომ ზოგი განადგურდა, ზოგი გადატანილ იქნა, ზოგსაც სახელი შეეცვალა. ახლანდელი ქსნის ერისთავი დავითი, როსტომიდან მოყოლებული, ამ ხნის განმავლობაში, არის 275.

ლეხურაზე არის ნაწილობრივ განადგურებული სოფლები: 1. ბოსელთა; 2. ქოლოთი, ციხე; 3. ჩაკო, დანგრეული; 4. წირი, დანგრეული; 5. კვანტი; 6. ბერშუეთი, დანგრეული; 7. ცხალო; 8. ჭალა, ციხე; 9. სამთავისი, ციხე; 10. კასპი, განადგურებული ციხე.

მხარეები და სოფლები დიდ და პატარა ლიახვზე, თუ ჩემი შენიშვნების მიხედვით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ვივლით. მეჯუდის მიდამოებში: 1. ციხილები; 2. ბოსელთა; 3. სხლები; 4. ჯავახთკარი; 5. ქოლოთი, ციხე; 6. იკორთა; 7. კულბითი, ციხე; 8. შატათგორი; 9. ახალუბანი; 10. ციხე მეჯვრი; 11. ქვემო მეჯვრისხევი; 12. სათემო; 13. ციხე ახრისი; 14. ზერტი; 15. თორტიზა, ციხე; 16. კვარხითი; 17. სვენეთი, ციხე; 18. მეჯვრისხევი.

იკორთა (№6) განთქმული, გამაგრებული მონასტერია, სადაც არის ერისთავების სამარხები.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲘᲐᲮᲕᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ:

ოსური მხარე გუნგო, სათავესთან. მის შესახებ იხ. ოსებთან;

ოსური მხარე პაჩურ, პატარა ლიახვის ზემო შენაკადზე. იხ. ოსები.

ოსური მხარე გუფთა, პატარა ლიახვის მარცხნივ. იხ. ოსები.

ოსური მხარე გნასური, პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს. იხ. ოსები.

ოსური მხარე კობაისი, პატარა ლიახვის მარჯვენა მარეს. იხ. ოსები.

ოსური მხარე გრია, პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, კობაისის ქვევით. მის შესახებ იხ. ოსებთან.

ამ ოსური მხარეებიდან შემდეგნი არიან ქართველებით დასახლებული ადგილები, ნაწილობრივ სომხებთან შერევით: 1. საცხენისი; 2. სათიხარა; 3. კარბი; 4. სათემო; 5. ქიწნისი; 6. კულბითი; 6. ძევერა; 8. ფლავი; 9. შერთული; 10. მეჯვრისხევი, ციხე; 11. ქვემო მეჯვრისხევი; 12. ახრისი, ციხე; 13. კვარხითი; 14. თორტიზა, ციხე; 15. სობისი; 16. სველნეთი, ციხე; 17. ბერბუკი, ციხე; 18. არბო; 19. ტყვიავი; 20. მერეთი; 21. ქსუისი; 22. კულბითი; 23. ფლავისი; 24. არცევი; 25. შახოდხონ; 26. აძვი; 27. ახალუბანი; 28. ზერტი; 29. ბელოთი, ციხე; 30. საბოლოკე; 31. ელტურა; 32. დვალურა; 33. ხადუნსხევი, ციხე; 34. ტკსუისი; 35. ფრისი; 36. არკკვისი; 37. ერედვი; 38. ტბეთი; 39. არბო; 40. ბროწლეთი; 41. თერგვისი; 42. მარანა, ციხე; 43. შერთული, ციხე; 44. ტყვიავი.

მხოლოდ მცირე ნაწილი არის მარცხენა ნაპირზე. ზემოთკენ მარჯვენა ნაპირზე: 45. ვანათი; 46. ფავლენისციხე; 47. კარბი; 48. ტირძნისი; 49. ერედვი, ციხე; 50. ზღუდერი; 51. ტყვიავი; 52. დიცი; 53. მეღვრეკისი; 54. მაჩაბლიანი, ციხე; 55. შანბიანი; 56. წიფონრი; 57. ბაღები (თუ აბახი — გ.გ.); 58. ზონკარი; 59. ლეკოანი.

ᲓᲘᲓ ᲚᲘᲐᲮᲕᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲐᲠᲘᲡ:

ოსური მხარე ურტსვალად, დიდ ლიახვზე, ზევით, ფიქალიან მთები. იხ. ოსეთი.

ქართულ-ოსური მხარე სპა, დიდი ლიახვის ზემოთ და მარცხნივ, წინას საპირისპროდ. იხ. ოსები.

ქართულ-ოსური მხარე ჯონახი, ამავე სახელის მდინარეზე, რომელიც ზემოთ, ლიახვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. იხ. ოსები.

ქართულ-ოსური მხარე გუდა, ზემოთ, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, სპის მხარის ქვემოთ. იხ. ოსები.

ქართულ-ოსური მხარე ჯავათკარი, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, გუდის ქვემოთ. იხ. ოსები.

ქართულ-ოსური მხარე ჯაუკომი, მდ. ფაწაზე, დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადზე.

ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში, რომლებსაც ე კუთვნიან შემდეგი, არა ყველა ქართველებით დასახლებული სოფლები ლიახვის ქვემო დინებაზე, რომელთაც მე ზუსტად ვერ გადმოგცემთ: 1. თამარაშენი; 2. თაქთაქიანი, ორივე ციხეებია; 3. ქვემო თაქთაქიანი; 4. სვერი; 5. აჩაბეთი; 6. ქურთა, დანგრეული ციხე; 7. კეხვისციხე, დანგრეული; 8. ქრცხინვალი, ოსურად კრება, რომელსაც ქალაქად სთვლიან; 9. ზემო ნიქოზი; 10. ქვემო ნიქოზი; 11. ქურთა, დანგრეული ციხე; 12. ფხვენისი; 13. ახალდაბა; 14. შინდისი; 15. ვარიანი; 16. საქაშეთი; 17. არაშენდა, დანგრეული ციხე; 18. რუისი; 19. ურბნისი; 20. ტინისხიდი.

ყველა მდინარის მარჯვენა მხარეზე.

21. მეღვრეკისი; 22. მეჯვრისხევი.

ასევე მარჯვენა მხარეზე:

23. კეხვი; 24. აჩაბეთი, ციხე; 25. თამარაშენი; 26. თაქთაქიანი; 27. უდონეთი, ციხე; 28. დგვრისი; 29. ზემოხვითი, ციხე; 30. ქვემო ხვითი, ციხე; 32. საქაშეთი; 33. არაშენდა, ციხე და 34. ტინისხიდი, დანგრეული ციხე მტკვართან შერთვის ადგილას, მარჯვენა ნაპირზე.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ:

35. ანაკარი; 36. გუსალა; 37. გუფთა; 38. სვერი; 39. ჩირივი; 40. ძარცემი; 41. ხეითი; 42. მეღვრეკისი; 43. ერგნეთი; 44. კარალეთი, ციხე; 45. ხელთუბანი, ციხე და ე.წ. ქალაქი და გორი, ცოტა განზე შესართავთან. ის ითვლება ქართლის ქალაქად.

სურამულას მხარე მოიცავს ქართულ მხარე საწერეთლოს.

ის ეკუთვნის იმერეთის თავადს წერეთელს და, მაშასადამე, ამდენად იმერეთს, თუმცა მდებარეობს ქართლში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება იმერეთის მხარე რაჭა. ამ მხარეში, ზემოხსენებულ მდინარეზე არიან:

1. სურამის ციხე; 2. იტრია; 3. ციხე ოსიაური; 4. ციხე სატივე; 5. დანგრეული ციხე მოხისი; 6. ძაღინა, სადაც სპილენძის მადნებია; 7. ციხე აბისი და 8. სამწერისი.

დანარჩენი ადგილების შესახებ დანამდვილებით ვერას გეტყვით. მოსახლეობა არის იმერელი ქართველები და მათ შორის ბევრია სომეხი.

ᲗᲐᲗᲠᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲑᲐᲛᲑᲔᲙᲘ, ᲐᲜᲣ ᲑᲐᲛᲑᲐᲙᲘ

ის მდებარეობს თბილისის სამხრეთით, სომხითის პროვინციაში, ზევით ქციის შენაკად დებედაზე, არარატის მთისწინეთში, მის დასავლეთით მდებარე ბორჩალოსა და სამხრეთ-დასავლეთით თურქულ მხარეს — აირუმლის შორის, რომლის მთავარი ქალაქია ყარსი.

მის მოსახლეობას, როგორც ბორჩალოსა და ყაზახში, თურქმანი (თარაქამა) თათრები წარმოადგენენ, მათ შორის არიან სომხებითაც.

ისინი ცხოვრობენ ისევე გაჩანაგებულ, გაუდაბურებულ ქვეყანაში და არიან ისევე არასაიმედო ქვეშევრდომები ქართლის მეფისა ერეკლესი, როგორც ბორჩალოელები და ყაზახელები.

მათი სოფლების სახელები მე ვერ გავიგე.

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲢᲐᲨᲘᲠᲘ

მდებარეობს სომხითში, თბილისიდან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, მაშავერას შენაკადის — ფოლადაურის ზემოთ და სამხრეთით ესაზღვრება თურქულ მხარეს აირუმლის ანუ ყარსს, აღმოსავლეთით — ბამბეკს.

სპარსეთის შაჰმა ნადირმა ის სას-

ტიკად გაანადგურა. მისი მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენ, შემდეგ — თურქმანი (თარაქამა) თათრები.

ის არარატის მთიანეთში მდებარეობს და გაჩანაგებულ მდგომარეობაშია; ქართლის მეფის მფლობელობა მასზე არამტკიცეა, მოკლედ, ყველაფრით — ფიზიკური, პოლიტიკური და ეკონომიური პირობებით — ემსგავსება სომხითის მხარეს. მისი მთავარი სოფლიდან ახტალამდე ერთი დღის სავალია.

რუკებზე ამ მხარეში გულისხმობენ თაურს, ტაშირისს.

მისი სოფლებიდან მეფეს ეკუთვნის: აღტაში, ურუტი, აიდარბეგი, დოლბანდლუ, ბალახური, სადაც სპილენძის საბადოებია; თელუ და მისხანა, სადაც აგრეთვე სპილენძის მადნებია.

სხვა რამის თქმა, ისევე როგორც ოჯახების რაოდენობისა, დანამდვილებით არ შემიძლია.

აქ, თუ ამ მხარის მეზობლად, თურქულ მხარეში, არის **ტბა პალაკაციო**.

სომხითურ-სომხური მხარე ყაიყული ტარარატის მთის იქით მდებარეობს და დასავლეთით ესაზღვრება თურქულ ოლქებს.

ის ყველაფერში ტაშირს ჰგავს, ნადირ-შაჰის მიერ ჩადენილ განადგურებაშიც კი.

მხარე დემურჩი-ჰასანლუ

მისი თათრები საერთოდ იწოდებიან დემირჩ-იაუსაულად და შეადგენენ 500 ოჯახს. მათი 10000 ოჯახი ცხოვრობდა იორზე, კახეთში, სადაც მათ მხარეს ერქვა ყარაღა და სადაც უმთავრესად მოჰყავდათ ბრინჯი, რადგან წყალდიდობისას იორიდან ბრინჯის ველებზე წყალი იოლად გადმოდიოდა. ნადირშაჰმა კი დაარბია მათი საცხოვრებლები და დაფანტა ისინი. ხელახლა თავმოყრილთაგან დაასახლეს 5 სოფელი თელავთან, კახეთში, ხოლო უმეტესობა მეფემ სამელუხში (ალბათ სომხითში) დაასახლა, სადაც მათ კვლავ შექმნეს მხარე დემურჩი. მათი სოფლებია: 1. ქესალო; 2. ყაფანახჩი; 3. ქეშალო; 4. ილიმარლუ (ილმაზლო); 5. ნაზარლუ და 6. სარვანი.

თურქულ-ქართული მხარე ბაიდური

ის მდებარეობს სომხითში, სამხრეთით ქციასა, ანუ ნახატირსა და ჩრდილოეთით მტკვრის მარცხენა შენაკად ალგეთს შორის, ორივე მდინარეზე თემირშე-ჰასანლუს მხარის ზემოთ, რომელსაც ის ჰგავს მდებარეობით დაბლობში, მთავარ მთასა და მთისწინეთს შუა, გაუდაბურებული მდგომარეობით, მცხოვრებთა რაოდენობით და ხასიათით (მდგომარეობით), მეფის ბატონობის აღიარებით; მოკლედ ჰგავს ყველაფრით, იმ განსხვავებით, რომ დიდი ხანია ინარჩუნებს თავის ადგილს. მის სოფლებს შორის სნარნეუთი (მარნეული) — ალგეთზე მდებარე, თბილისიდან 35 ვერსზე, — 1768 წ. შეიქმნა 40 სომხური და 30 თათრული ოჯახისგან; პირველნი არიან ამავე სახელობის გაჩანაგებული სოფლიდან, მეორენი ასევე გაძარცულ სოფელ გენშადან.

სოფელი გიაურარხი ასევე 1768 წელს შესდგა განადგურებული სოფლის აკბაჰალის მცხოვრებთაგან. 1772 წ. აქ იყვნენ 60 თათრული და 15 სომხური ოჯახი.

მხარეებში — ყაზახში, ბორჩალოში და ბაიდარში, ისევე როგორც განჯაში, ერევანში, ერზერუმში და ყარსში და აგრეთვე შირვანსა და შამახიაში, ლაპარაკობენ თურქულად, ან თათრულად, თურქულ დიალექტზე; თურქული და ჩვეულებრივი თათრული დიალექტი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გურთი, ქურთი ანუ კურდები, არის მრავალრიცხოვანი და ძალიან გავრცელებული თურქმან თარაქამა — თათრული ხალხი, რომელთაგან 6000 ოჯახისგან შემდგარი ერთი ურდო ცხოვრობს არარატის მთიანეთში, სომხითის სამხრეთ საზღვართან; ზამთრობით ბინადრობენ სოფლებში, ზაფხულობით — მთაში. მათ აქვთ იგივე წყობა, ენა და რელიგია, რაც სომხითის თათრებს, და მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ხან თავისუფალნი არიან, ხან თურქთა ქვეშევრდომნი, ქართველთა კი — არასდროს. შფოთიანობისას ისინი ხანდახან უერთდებიან სომხითის თათრებს და ამით ძალიან საშიშნი ხდებიან ქართლის მეფისთვის. მათ შორისაც ბევრი არიან სომხები.

სპარსული მხარე ერივანი ესაზღვრება სამხრეთის სომხითის მხარეს ბამბაკს და ემსგავსება მას ყველაფერში. მისი მცხოვრებლები სწორედ თურქმანული (თარაქამა) თათრები არიან. თუმცა ეს მხარე ეკუთვნოდა სომხითს, მაგრამ სპარსელებმა მოგლიჯეს მას და დაიკავეს.

ამ მხარეში არის დიდი ტბა გოქჩა, ხოლო მის ერთ-ერთ კუნძულზე არის სომხური მონასტერი სევანი.

აირუმლოს მხარე უფრო დასავლეთით სამხრეთიდან ესაზღვრება სომხითს და, როგორც ერივანი სპარსელების მიერ, ისე აირუმლო თურქების მიერ იყო მიტაცებული და დაკავებული. ის თავისი მდებარეობით, სახელდობრ, არარატის მთისწინეთზე, თავის მცხოვრებლებით, რომლებიც თურქმანული (თარაქამა) თათრები არიან, აგრეთვე თავისი რწმენით, ენით და წყობილებით ემსგავსება სომხითის იმ მხარეებს, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ აქვს ქალაქი ყარსი, რომელიც ამ მხარეებში არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი.

განჯის მხარე მდებარეობს სომხითის აღმოსავლეთით, იმ კუთხეში, რომელსაც ქმნის არეზი მტკვართან.

ეს მხარე დასახლებულია თურქმანი (თარაქამა) თათრებით; წინათ ის სომხითის მხარეში შედიოდა, ჩამოშორდა სპარსეთში ამტყდარი არევდარევის დროს, განთავისუფლდა და საკუთარი ხანი გაიჩინა, თუმცა ქართლის მეფე თავის ბატონობას ავრცელებს მასზე. ამჟამად (1772) მეფე და ხანი კარგ დამოკიდებულებაში არიან; ასე მაგალითად, გასულ ზამთარში უკანასკნელი (ხანი — გ.გ.) ცოტა ხნით ესტუმრა ერეკლეს თბილისში.

ყველაზე საუკეთესო პუნქტი ამ მხარისა არის ქალაქი განჯა. ყველა დანარჩენი სოფლებია.

შუა, ანუ შიდა ქართლი

ეს პროვინცია, როგორც მთავარი ნაწილი ქართლისა, საერთოდ იწოდება „ქართლი“, ანუ ევროპულად „კარდუელ“.

ის, როგორც კახეთი, მდებარეობს ჩრდილოეთით კავკასიის ალპურ ქედსა, ოსების მეზობლად, და სამხრეთით მტკვარს შორის, რომლის მარჯვენა მხარეზეც ზემო და ნაწილობრივ ქვემო ქართლი მდებარეობენ.

აღმოსავლეთით არის კახეთი, ხოლო დასავლეთით გამკვეთი ქედი, რომელიც კავკასიის მთავარ ქედს აერთებს მის სამხრეთ მთისწინეთთან და რომლის მეორე მხარეს იმერეთია.

ეს პროვინცია ირწყვება ქედიდან ჩამომავალი მდინარეებით — მტკვრის მარცხენა შენაკადებით — არაგვით, ქსნით, ლეხურათი, პატარა და დიდი ლიახვებით და სურამულათი და ყველა მათი შენაკადებით. ის გარეგნულად — მთების მდებარე-

ობით, ნიადაგით, ჰავით, მოკლედ ყველაფრით, კახეთს წააგავს. სახლების მშენებლობის სისტემა ქართლში სხვაა კახეთთან შედარებით; ქართლში გლეხთა სახლები წარმოადგენენ მიწურებს. მათ შესახებ ჯერ კიდევ ადრე იყო აღნიშნული.

რაც შეეხება მოსახლეობას და მის მცირერიცხოვნობას, განადგურებათა მრავალ კვალს და მცირედ მოშენებულობას, ამაშიც მთლიანად კახეთს ემსგავსება. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია — გორი, ქრცხინვალი და სურამი.

ამ პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი უკავიათ ოსებით დასახლებულ მხარეებს. ამ პროვინციის მხარეებია: ოსური მხარე გუდა, არაგვს ზემოთ, 7 სოფლით. ეს ოსები, ისევე როგორც სხვა ოსურ რაიონებში მცხოვრებნი, არიან ქართლის მეფის კარგი და წყნარი ქვეშევრდომები, ჰყავთ თავიანთი არჩეული უფროსი და მთლიანად სარგებლობენ ქართველებით დასახლებული მხარეების უფლებებით. ზოგიერთი მომდევნო ოსური მხარეები ემორჩილებიან არა პირადად მეფეს, არამედ ქართლის თავადებს. ოსეთის მხარეებს მე აგრეთვე დავასახელებ ოსეთის პროვინციის მოხსენების დროს.

მხარე ხადა, ანუ კიულე

მდებარეობს ზემოთ არაგვზე, ფიქალიან მთებში, გუდას ქვევით. მისი სოფლებია 1. ზაქათკარი; 2. კაიშაურთკარი; 3. ციხიანი; 4. წკერე; 5. მიღურე; 6. ჯაღუმიანი; 7. სეთურთკარი; 8. ჩონჩო და 9. მლეთე — ყველა დასახლებულია ქართველებით; 10. ახალსოფელისა და 11 ჩონჩოს მოსახლეობა ოსებია.

მხარე ხევსურეთი

ეს მხარე არის მაღალ მთიანეთში კიდევ უფრო ზევით არაგვზე; მთლიანად ოსებითაა დასახლებული, მაგრამ ისინი არიან ქართლის მეფის არასაიმედო ქვეშევრდომები, ამიტომ მე ვერ შევძელი მიმეღო მათზე ზუსტი ცნობები.

მხარე გუდამაყარი

მას უჭირავს ამავე სახელის მდინარის, არაგვის მარცხენა შენაკადის მიდამოები მაღალ ფიქალიან და მასთან ახლოს მდებარე კირიან მთებში.

მისი სოფლებია ზევიდან ქვევით:

1. ბაკურხევი; 2. წბაურთა; 3. პატარა გუდა; 4. ფახვიჯა; 5. ჭოჭოხი; 6. კიტოხი; 7. მაქართა; 8. გოგანაურთა; 9. ჭალა; 10. ლიდა; 11. ჩოხი; 12. ათნოხი; 13. დუმაცხო. მოსახლეობა ქართველებია და შეადგენენ 80 ოჯახს.

მხარე გარეშემო, არაგვზე, გუდამაყრის ქვემოთ. მისი მოსახლეობა, რომლის სოფლებს და რიცხვს ვერ გეტყვით, არის ქართული.

მხარე მრევლი, არაგვზე, გარეშემოს ქვემოთ, რომლის სოფლებია: 1. ნადიბაანი; 2. ჩოხელიანი; 3. კეკიანი; 4. ობგანი; 5. გოგნაური.

მხარე ცხაოტი, მხარე გარეშემოს ქვემოთ, არაგვზე.

სოფლები თვით არაგვზე:

1. ქავთარაანი; 2. ჯიგრაანი; 3. ძმიანი; 4. ჭიკაანი; 5. კობაანი; 6. ჩირიკი; 7. ხევშა და 8. წიფორი.

არაგვის მარჯვნივ და ახლოს:

9. ამირნი (ამირთკარი); 10. ჩოხელი; 11. ხარხეთი, სადაც დიდი ეკლესიაა.

მდინარის გარშემო:

12. ქიმბარიანი; 13. არახვეთი.

არაგვის აღმოსავლეთით, ანუ მარცხნივ:

14. კარა (თუ კორა); 15. ლაკათხევი; 16. მიკარამი; 17. არკანი; 18. ბექიანი; 19. ხანდო; 20. ჭართალი; 21. მანასური; 22. პავლეური; მოსახლეობა ქართველებია.

მხარე **ფშავი** მდებარეობს არაგვის მარცხენა შენაკად ფშავის მდინარეზე, ზემოთ, მაღალ მთებში, თუშეთის დასავლეთით და ხევსურეთის აღმოსავლეთით. თუმცა მისი მოსახლეობა ქართველებია, მაგრამ არასაიმედო ქვეშევრდომებია ქართლის მეფისა; ამიტომ მე არ შემიძლია რაიმე ვთქვა დაბეჯითებით მათ შესახებ.

მხარე საერისთაო არის არაგვზე, ფშავის ქვემოთ. მისი სოფლებია: 1. ანანურის ციხე არაგვის მარჯვენა ნაპირზე. მას მიაკუთვნებენ ქალაქთა რიცხვს. იქ არის აგურით ნაშენები დიდი ეკლესია, გარედან ქვიშაქვის ფილაქნებით და დიდი გუმბათით. შენობა სიგრძით არის 28 ნაბიჯი, სიგანით — 23. მის ერთ კედელზე არის გრძელი ქართული წარწერა. ამ ეკლესიაში ამასთანავე არის 15 წლის წინათ გარდაცვლილი არაგვის ერისთავისა და თუშეთის მოურავის — ჯიმშერ ჩოლოყაშვილისა და გიორგი ერისთავის საფლავები, ორივეს აქვს ქართული წარწერები. ამ დიდი ეკლესიის გარდა არის კიდევ ერთი ძველი ეკლესია, რომელშიც ასევე ქართული წარწერა ამშვენებს.

ქალაქი დუშეთი მდებარეობს გზაზე მოზდოკიდან თბილისისკენ.

მხარე **ქართლი,** ანუ **გაღმამხარი** არის მდინარის იქითა მხარეს, სახელდობრ თბილისიდან. ის მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეზე — იორსა და არაგვს შორის, დასახლებულია ქართველებით, აქა-იქ — სომხებით და აქვს შემდეგი სოფლები:

1. გომიჯვარი; 2. თელათგორი, ერთ ვერსზე თბილისიდან, 3. კავთიხევი, თბილისიდან 3 ვერსზე; 4. ახალქალაქი; 5. ხანდაკი; 6. ყარაღაჯი; 7. დოესი; 8. ქვახვრელი; 9. გრაკალი; 10. მეტეხი; 11. სასირეთი; 12. გომი; 13. ნიჩბისი; 14. ჩოჩეთი; 15. საციციანო; 16. ჭარახეთი; 17. კარდანახი; 18. გირელიციხე (გველიციხე) მდ. ჭერემხევზე. ეს პუნქტი დაცულია ოთხკუთხა კედლით, რომლის ოთხივე მხარე 100 ნაბიჯის სიგრძითაა და არის მეფის მეუღლის — დედოფლის მამული. სახლები ქართლურად არის ნაშენი, სახელდობრ, მიწურებია და მათთან ახლოს დაყენებულია საქონელი; ასე, რომ კაცი შეიძლება მოკვდეს მისი სუნისგან. როცა შაჰ-აბასმა აქედან 3 ვერსზე მდებარე ქალაქი ჭერემი დაანგრია, მაშინდელმა დედოფალმა თამარმა მისი მცხოვრებლებისაგან შეადგინა ეს სოფელი; 19. ბაკურციხე; 20. გურჯაანი, განადგურებული; 21. კოლაქი; 22. ვეჯინი, კედლით და ქვემეხით; 23. სარკინე; 24. წადისყური (წალასყური) და 25. კუმისი.

ოსური მხარე ვანათი. ქციას, ჟამურსა და ლომისასა და ქსანს ზემოთ ყველა ემორჩილება ქართლის მეფესა და ქართლის თავადებს. ამ მხარეებიდან ოსებით დასახლებულია: ცხრაზმა (ცხრაზმულა).

ამავე სახელის ქსნის შენაკადზე, ლომისას ქვევით, ქართველებით დასახლებული სოფლებია: 1. დადიანეთი; 2. ზოდეხი; 3. აბუთკარი; 4. თოხთა; 5. მახიარეთი; 6. დაბაკნეთი; 7. უკანამხარი; 8. ჩანშე; 9. ჩიტიანთკარი და 10. წინუბანი.

ჭურთა ანუ ჟამური. მისი სოფლებია: 1. დელკანი; 2. ნგოშე; 3. ხამატატკან; 4. ჩაგოლ; 5. კუპეკან; 6. ჩიმეიკან; 7. ბაგინი; 8. მიდაკუკან; 9. გორგა; 10. ძეგოიანი; 11. თოგოიანი; 12. მასიკეკან; 13. ჯავათკარი; 14. სიდა; 15. კუცხოეთი; 16. ველისი;? 17. მასიკციხე; 18. საბარკლეთი; 19. ქალაქა; 20. სკატე; 21. ჭურთა; 22. ცქუნეთი; 23. ჯანგანთკარი; 24. კორა; 25. ცალკაკი; 26. შმორი; 27. ქარელთკარი; 28. ბულხავი; 29. შატაკიანთკარი; 30. ბეგოთკარი; 31. ყველდაბა; 32.

ხნიბალი; 33. ძაბოეთი; 34. იპეეთი (იკეთი); 35. მოჭალ(ი)ეთი; 36. დორეთკარი; 37. გავაზი; 38. ილურთკარი; 39. ფუჭიანთკარი; 40. მეწყერი;

ესენი შერეული ქართული და ოსური სოფლებია, ხალხი კარგად ეთვისება ერთმანეთს.

ოსური მხარე **საფერშეთი** ქსანს ზემოთაა, მთლიანად ოსურია და მეფეს ექვემდებარება.

ქსანზე ზევიდან ქვევით კიდევ არის სოფლები: 1. ლარგვი, მონასტერი; 2. ლეგაშენი; 3. საქორეთი; 4. ქვენი, ციხე; 5. იპნევი; 6. იკოთი; 7. წირქოლი ციხე; 8. ირეტვა (ერედა); 9. ყანჩავეთი; 10. ახალგორი, ციხე; 11. ბოლი; 12. ძეგლევი; 13. ახმაჯი; 14. ოძისი, ციხე; 15. ილიტოზა; 16. ლამისყანა, ციხე; 17. ქსოვრისი, ციხე; 18. ციხისძირი; 19. სხალტბა; 20. მუხრანი, ციხე; 21. ღართისკარი, განადგურებული; 22. კორინთა; 23. ალევი; 24. საძეგური; 25. ცხავატრი; 26. ცხრაზმა; 27. ქარჩოხი; 28. ყანჩავეთი; 29. ქურთა; 30. ნახიდი; 31. საქორეთი; 31. შველიეთი; 33. ხარბალი; 34. გოლგოლეთი; 35. ქენქათკარი; 36. მიდელათკარი; 37. ხოზოეთი; 38. კვერიეთი; 39. თინიკაანთკარი.

ყველა ესენი ქსნის ერისთავს ემორჩილებიან. ბერძენმა კეისარმა იუსტინიანემ ეს მხარე გადასცა როსტომს, ოსს, გამოაცხადა ის თავადად და ერისთავად, მისცა მას ბეჭედი და აჩუქა ძვირფასი საპატიო სამოსელი. ნაჩუქარი სოფლების რაოდენობა იყო 38: წირქოლი, ახალდაბა, ბურული და ა.შ., რომელთაგან შემდგომ ზოგი განადგურდა, ზოგი გადატანილ იქნა, ზოგსაც სახელი შეეცვალა.

ლეხურაზე არის ნაწილობრივ განადგურებული სოფლები: 1. ბოსელთა; 2. ქოლოთი, ციხე; 3. ჩაკო, დანგრეული; 4. წირი, დანგრეული; 5. კვანტი; 6. ბერშუეთი, დანგრეული; 7. ცხალო; 8. ჭალა, ციხე; 9. სამთავისი, ციხე; 10. კასპი, განადგურებული ციხე.

მხარეები და სოფლები დიდ და პატარა ლიახვზე, თუ ჩემი შენიშვნების მიხედვით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ვივლით, მეჯუდის მიდამოებში არის: 1. ციხილები; 2. ბოსელთა; 3. სხლები; 4. ჯავახთკარი; 5. ქოლოთი, ციხე; 6. იკორთა; 7. კულბითი, ციხე; 8. შატათგორი; 9. ახალუბანი; 10. ციხე მეჯვრი; 11. ქვემო მეჯვრისხევი; 12. სათემო; 13. ციხე ახრისი; 14. ზერტი; 15. თორტიზა, ციხე; 16. კვარხითი; 17. სვენეთი, ციხე; 18. მეჯვრისხევი.

იკორთა განთქმული, გამაგრებული მონასტერია, სადაც ერისთავების სამარხებია.

პატარა ლიახვზე ზემოდან ქვევით არის:

ოსური მხარეები: გუნგო, სათავესთან. მის შესახებ; პაჩურ, პატარა ლიახვის ზემო შენაკადზე; გუფთა, პატარა ლიახვის მარცხნივ; გნასური, პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს; აქვე: კობაისი; გრია, (კობაისის ქვევით).

ამ ოსური მხარეებიდან ქართველებით დასახლებული ადგილებია, ნაწილობრივ სომხებთან შერევით: 1. საცხენისი; 2. სათიხარა; 3. კარბი; 4. სათემო; 5. ქიწნისი; 6. კულბითი; 6. ძევერა; 8. ფლავი; 9. შერთული; 10. მეჯვრისხევი, ციხე; 11. ქვემო მეჯვრისხევი; 12. ახრისი, ციხე; 13. კვარხითი; 14. თორტიზა, ციხე; 15. სობისი; 16. სველნეთი, ციხე; 17. ბერბუკი, ციხე; 18. არბო; 19. ტყვიავი; 20. მერეთი; 21. ქსუისი; 22. კულბითი; 23. ფლავისი; 24. არცევი; 25. შახოდხონ; 26. აძვი; 27. ახალუბანი; 28. ზერტი; 29. ბელოთი, ციხე; 30. საბოლოკე; 31. ელტურა; 32. დვალურა; 33. ხადუნსხევი, ციხე; 34. ტკსუისი; 35. ფრისი; 36. არკკვისი; 37. ერედვი; 38. ტბეთი; 39. არბო; 40. ბროწლეთი; 41. თერგვისი; 42. მარანა, ციხე; 43. შერთული, ციხე; 44. ტყვიავი.

მხოლოდ მცირე ნაწილია მარცხენა ნაპირზე. ზემოთკენ მარჯვენა ნაპირზეა: 45. ვანათი; 46. ფავლენისციხე; 47. კარბი; 48. ტირძნისი; 49. ერედვი, ციხე; 50. ზღუდერი; 51. ტყვიავი; 52. დიცი; 53. მეღვრეკისი; 54. მაჩაბლიანი, ციხე; 55. შანბიანი; 56. წიფონრი; 57. ბაღები; 58. ზონკარი; 59. ლეკოანი.

დიდ ლიახვზე ზემოდან ქვემოთ არის:

ოსური მხარე ურტსვალად, დიდ ლიახვზე, ზევით — ფიქალიანი მთები. ქართულ-ოსური მხარე სპა, დიდი ლიახვის ზემოთ და მარცხნივ, წინას საპირისპროდ. ქართულ-ოსური მხარე ჯონახი, ამავე სახელის მდინარეზე, რომელიც ზემოთ, ლიახვს მარჯვენა მხრიდან ერთვის;

ქართულ-ოსური მხარე გუდა, ზემოთ, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, სპის მხარის ქვემოთ;

ქართულ-ოსური მხარე ჯავათკარი, დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს, გუდის ქვემოთ. ქართულ-ოსური მხარე ჯაუკომი, მდ. ფაწაზე, დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადზე;

ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში, რომლებსაც ეკუთვნის შემდეგი სოფლები ლიახვის ქვემო დინებაზე, რომელთაც მე ზუსტად ვერ გადმოგცემთ: 1. თამარაშენი; 2. თაქთაქიანი, ორივე ციხეებია; 3. ქვემო თაქთაქიანი; 4. სვერი; 5. აჩაბეთი; 6. ქურთა, დანგრეული ციხე; 7. კეხვისციხე, დანგრეული; 8. ქრცხინვალი, ოსურად კრება, რომელსაც ქალაქად სთვლიან; 9. ზემო ნიქოზი; 10. ქვემო ნიქოზი; 11. ქურთა, დანგრეული ციხე; 12. ფხვენისი; 13. ახალდაბა; 14. შინდისი; 15. ვარიანი; 16. საქაშეთი; 17. არაშენდა, დანგრეული ციხე; 18. რუისი; 19. ურბნისი; 20. ტინისხიდი.

ყველა მდინარის მარჯვენა მხარეზე.

21. მეღვრეკისი; 22. მეჯვრისხევი.

ასევე მარჯვენა მხარეზე:

23. კეხვი; 24. აჩაბეთი, ციხე; 25. თამარაშენი; 26. თაქთაქიანი; 27. უდონეთი, ციხე; 28. დგვრისი; 29. ზემოხვითი, ციხე; 30. ქვემო ხვითი, ციხე; 32. საქაშეთი; 33. არაშენდა, ციხე და 34. ტინისხიდი, დანგრეული ციხე მტკვართან შერთვის ადგილას, მარჯვენა ნაპირზე.

მდინარის მარცხენა ნაპირზე:

35. ანაკარი; 36. გუსალა; 37. გუფთა; 38. სვერი; 39. ჩირივი; 40. ძარცემი; 41. ხეითი; 42. მეღვრეკისი; 43. ერგნეთი; 44. კარალეთი, ციხე; 45. ხელთუბანი, ციხე და ე.წ. ქალაქი და გორი, ცოტა განზე შესართავთან. ის ითვლება ქართლის ქალაქად.

სურამულას მხარე მოიცავს ქართულ მხარე საწერეთლოს.

ის ეკუთვნის იმერეთის თავადს — წერეთელს და, მაშასადამე, ამდენად იმერეთს, თუმცა მდებარეობს ქართლში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება იმერეთის მხარე რაჭა. ამ მხარეში, ზემოხსენებულ მდინარეზე არის:

1. სურამის ციხე; 2. იტრია; 3. ციხე ოსიაური; 4. ციხე სატივე; 5. დანგრეული ციხე მოხისი; 6. ძაღინა, სადაც სპილენძის მადნებია; 7. ციხე აბისი და 8. სამწერისი.

დანარჩენი ადგილების შესახებ დანამდვილებით ვერას გეტყვით. მოსახლეობა იმერელი ქართველებია, მათ შორის ბევრია სომეხიც.

დასასრული
შემდეგ ნომერში

ვანათი, VI საუკუნე,
გოლნისის რაიონი

გ.ქოქიაშვილის ფოტო

ძველი ბოლნისი, VI საუკუნე

გ.ძოძიაშვილის ფოტო